ლიასური ნალექები საქართველოს ბელტზე მცირე ფართობზე არის გავრცელებული და წყვეტილ გამოსავლებს ქმნის. საველე მუშაობის პერიოდში ჩვენ შევისწავლეთ ლიასური ნალექები ყველა ხეობაში, რომელიც კი მათ ჰკვეთს. სულ შესწავლილ იქნა 24 ხეობა. მასალას ვიღებდით ყველა მეტად თუ ნაკლებად განსხვავებული შრიდან, ხოლო როდესაც ერთგვარი თხელი შრეების მორიგეობა დასტებს ქმნიდა, ნიმუშს ვიღებდით დასტის ქვედა, შუა და ზედა ნაწილიდან. კონგლომერატული შრეების შესწავლისას ვიყენებდით კონგლომერატების კვლევის ცნობილ მეთოდებს, რომლის აქ აღწერა არ არის საჭირო. შესწავლული მასალის ლაბორატორიული დამუშავება ძირითადად 1947 წლის განმავლობაში წარმოებდა. ყველა ქანი, გარდა ფრაქციების მინერალოგიური ანალიზისა, შესწავლილ იქნა გამჭვირვალე შლიფებშიც. ასევე იქნა აღწერილი კონგლომერატის შემადგენელი ნაგორები ქვები.

ყველა ნიმუშისათვის გამოკვეთულია უხსნადი ნაშთის რაოდენობა და ნისი ცვალებადობა ქრილში ქვევიდან ზევით. გარდა ამისა, ორი გაშიშვლებიდან განსაზღვრულ იქნა კირქვებში  $MgO$ -ის რაოდენობის ცვალებადობა, რასაც შესაძლო იყო, აუზის მარილიანობის შეცვლის ხასიათის გასაგებად საჭირო მასალა მოეცა.

## II. ძირულის მასივის ლიასურის სტრატოგრაფია და ტექტონიკა

(ხოგადი მიმოხილვა)

ძირულის მასივში ლიასურის არსებობა პირველად მ. ნეიმაირმა და ვ. ულიგმა აღნიშნეს, მაგრამ ამ ნალექების სტრატოგრაფიის სწორად დადგენა პ. გამყრელიძეს და ს. ჩიხელიძეს [1], ა. ჯანელიძეს [15] და ივ. კახაძეს [3,4] ეკუთვნის; განსაკუთრებით სრულყოფილად გააშუქა ეს საკითხი ბოლო დროს ივ. კახაძემ [5], რომელმაც არა მარტო ლიასური, არამედ მთელი ძურული შეისწავლა. ჩვენთვის საინტერესო წყების სტრატოგრაფიის ძირითადი საკითხები ამ ავტორთა მიხედვით გვაქვს მოცემული.

გეოგრაფიული გავრცელებით ლიასი მასივის პერიფერიებს უკავშირდება. იგი აქ ტრანსგრესიულია და წარმოდგენილია ვულკანოგენური და ზღვიური დანალექი წყებებით. ამასთანავე როგორც პირველს, ისე მეორეს წყვეტილ-ზოლებრივი გავრცელება ახასიათებს.

მასივის დასავლეთ ნაწილში ვულკანოგენი წყება მდ. ნარულაზე, ყვირილაზე და გლინაის ღელის სათავეებში გამოიყოფა. ამავე წყების ვიწრო ზოლი სოფ. შროშისა და სანახშირის უბანზეც ჩანს. უფრო ფართე გავრცელება აქვს ამავე წყებას მასივის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზე მდ. ყვირილასა და საძალელოს ხეობაში.

წყების ასაკი ახლა შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს. იმის გამო, რომ იგი ტრანსგრესიულად იფარება ფაუნის ჭურად დათარიღებული შუა ლიასური ნალექებით და თავის მხრივ ტრანსგრესიულად არის განლაგებული პალეოზოური დროის კრისტალურ მასივზე, მას ქვედა ლიასურად სთვლიან, თუმცა ზოგის აზრით არ არის გამორიცხული, რომ ის ტრიასულიც იყოს.

რაც შეეხება ზღვიურ დანალექ წყებას, ის შემდეგ ფაციესებს შეიცავს: მასივის დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზე ლიასი ქვიშაქვებითა და კირქვებით არის წარმოდგენილი; ქვიშაქვიანი ფაციესი, რომელშიც ჩვენ ორ ნაწილს ვარჩევთ: ქვედას, არკოზულ-გრაუვაკურს, კონგლომერატის შივა შრეებით და ლინზებით, და ზედას, ალევრიტულს, ქარს-კვარციანს, — ყველგან ერთნაირი სიმძლავრით და სისრულით როდია წარმოდგენილი; ასე მაგ., ქვიშაქვების სიმძლავრე (და ასევე შეიძლება ითქვას კირქვებზე) ძირულის ხეობაში (სოფ. სოფ. შროშა, სანახშირე) უფრო მეტია, ვიდრე დასავლეთით მდ. ყვირილისა და ნარულის ხეობაში; ამასთანავე ზოგ ქრილში (სალიეთი, კაცხი) ეს ფაციესი თითქმის არც კია წარმოდგენილი, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ფუძის კონგლომერატის თხელი შრეების არსებობა, რომლის ცემენტი ძირითადად კირქვიანია (სალიეთის ქრილი).

მასივის სამხრეთი და აგრეთვე აღმოსავლეთი პერიფერიის ზოგიერთ უბანში (ლეღვანის წყალი, მარელისი, სოფ. კედანის ზოლი) ტექტონიკური მოვლენების, უმთავრესად შეცოცებების გამო, ქვიშაქვიანი ფაციესი გამოსოლილია და ლიასი მხოლოდ კირქვის ლინზებრივი სხეულებით არის წარმოდგენილი. დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს მდ. ძირულის ხეობის შუა ნაწილში—სოფ. სოფ. საქასრიის, ბეინევისა და ხუნევის ზოლზე. აქ ლიასი საერთოდ გათხლებულია, მაგრამ კირქვიანი ფაციესი უფრო სრულად არის წარმოდგენილი, ვიდრე ქვიშაქვიანი. ყველა ზემოთ აღნიშნულ ადგილებში ქვიშაქვები კირქვებს ქვეშ უდევს. ამასთანავე ქვიშაქვებს კირქვებში თანდათანობით გადასვლა ახასიათებს. კირქვები მეტად მდიდარი არიან განამარხებული ფაუნით; ამ კირქვებიდან ჯერ კიდევ პ. აბიხის მიერ დაგროვილი, ნეიმაირის და ულიგის მიერ განსაზღვრული ფაუნა (*Acrochordocrinus amalthei* Quenst., *Pentacrinus basaltiformis* Mill., *Amaltheus margaritatus* Montf. და სხვა) და შემდეგ პ. გამყრელიძის და ს. ჩიხელიძის შეგროვილი ინოცერამების და ბრაქიოპოდების მდიდარი ფაუნა დამუშავებული ივ. კახაძის [4] და ქ. ნუცუბიძის [7] მიერ, წითელ კირქვებს შუა და მის ნაწილს ზედა ლიასურად ათარიღებს.

აღ. ჯანელიძის [15] ახალმა გამოკვლევამ, რომელიც არა მარტო შრომის, არამედ ძირულის მასივის სხვა ადგილებში (სოფ. შროშაში, სანახშირესაღვინეს შუა, შირაქაულში, წიფლაგაკში, გლინავის ლეღეში და სოფ. კაცხში) წარმოდგენილი კირქვების ასაკს შეეხება, საბოლოოდ დააზუსტა მათი სტრატოგრაფიული მდებარეობა. ამ გამოკვლევაში ავტორი მდიდარ პალეონტოლოგიურ მასალას ასახელებს, წარმოდგენილს, უმთავრესად, ბელემნიტებით და ამონიტებით. შრომაში მოხსენებული 57 ფორმიდან 16 ზუსტი სტრატოგრაფიისათვის უმნიშვნელოა, ფართო ვერტიკალური გავრცელების გამო. დანარჩენი 41 ფორმიდან 16 შუა ლიასური არის და 25 ზედა ლიასური. 16 შუა ლიასური ფორმიდან 9 საერთოდ შუა ლიასურია, 7 კი დომერული. ზედა ლიასურ ფორმებში 11 ტოარსული არის, მათგან 3 ქვედა ტოარსული, 2 ზედა ტოარსული და 6 ტოარსული საერთოდ. გარდა ამისა კიდევ არის 4 ფორმა, რომლებიც ერთგვარად გვხვდება, როგორც ტოარსულის ზედა ნაწილში, ისე აალენურის ძირში. საკუთრივ აალენური ფორმა 7 არის, თუმცა ზოგი მათგანი ზედა ტოარსულშივე ჩნდება. ყოველივე ხსენებული ავტორს უფლებას აძლევს დაასკვნას, რომ შროშის კირქვებში წარმოდგენილია შუა ლიასის დომერული სართული, ტოარსული მთლიანად და აალენურის ქვედა ნაწილი. ზედა აალენური იქ არსად ჩანს და როგორც ივ. კახაძე [5] ფიქრობს იგი შეიძლება არც იყოს ზემოთ მომდევნო ბაიოსის პორფირიტული წყების ტრანსგრესიულობის გამო. რაც შეეხება პლინსბახურ სართულს, არც მისთვის დამახასიათებელი ფაუნაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი აქ არსებობა დასაშვებად მიაჩნიათ კირქვების ქვეშ წარმოდგენილი ქვიშაქვიანი ფაციესით. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ მ. ნეიმაირი და ვ. ულიგი და შემდეგ კი პ. გამყრელიძე და ს. ჩიხელიძე [1] კვარციანი ქვიშაქვების წყებას ქვედა ლიასად ათარიღებენ. ამრიგად, მასივის სამხრეთ-დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი ზოლის ქვიშაქვების წყებას მაზედ მდებარე კირქვიანი ფაციესი ათარიღებს.

უკანასკნელი, როგორც ეს უკვე აღნიშნული იქნა, დომერულს, ტოარსულსა და აალენურის ქვედა ნაწილს შეიცავს. რაც შეეხება კირქვების ქვეშ მდებარე ქვიშაქვების წყებას, იგი შესაძლოა პლინსბახურიც იყოს.

სხვანაირი სურათი ჩანს მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე; აქ ფაციალურად განსხვავებული ლიასურია წარმოდგენილი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ ზოლში კირქვიანი ფაციესი არგილიტებისა და თიხიანი მერგელების წყებით არის შეცვლილი. კირქვები იშვიათად თუ-ღა გვხვდება და ისიც ლოდებრივად, წყების ფუძეშია განვითარებული (ხახული-ახო და ლოპანის წყალი). შეზღუდული გავრცელება აქვს აგრეთვე ალევრიტულ, ქარსკვარციან ქვიშაქვებს; ჩრდილო აღმოსავლეთ პერიფერიაზე მათი გამოსავალი ერთ ადგილზეა სრულად წარმოდგენილი — ბერეთისა-მანდაეთის ზოლზე; ქვიშაქვები აქ ფუძის კონგლომერატით იწყება და ზემოთ მცენარეული დეტრიტუსით მდიდარი ქარსიან-კვარციანი ქვიშაქვების სქელ და თხელშრიანი დასტების მორიგეობა ჩანს. ფუძის კონგლომერატიდან 30—35 მ-ზე ამ ქვიშაქვებში ივ. კახაძეს ნაპოვნი და აღწერილი აქვს შემდეგი ფაუნა: *Pentacrinus* sp., *Pholadomya angustata* Reg., *Lima* sp., *Entolium proetus* d'Orb. (= *cingulatum* Goldf.), *Mytiloides amygdaloides* Goldf. და *M. Quenstedti* Pchel. აღნიშნული ფაუნიდან მიტილოიდების წარმომადგენლები ქვიშაქვებს ზედა ლიასურად (ტოარსაალენი) ათარიღებს.


სხვანაირი სურათი ჩანს ჩონთო-ლოპანის ზოლზე; ამ ზოლის ლიასი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმთავრესად მერგელოვანი თიხებით და არგილიტებით არის წარმოდგენილი. ქვიშაქვების ფაციესი აქ მხოლოდ ფუძის დასტაში გვხვდება, სადაც მათი სიმძლავრე ზოგ უბანში 5—20 მ უდრის, ზოგან კი სრულებით აღარ ჩანან და თიხიან-მერგელიანი წყება უშუალოდ ძველ კრისტალურ მასივს ეხება. ეს მოვლენა მეტ შემთხვევაში ტექტონიკური ბუნების არის და არა ფაციალური. სოფ. ჯვარის მიდამოებში, ფუძის კონგლომერატის მომდევნო შრეებში ივ. კახაძეს ნაპოვნი აქვს ამონიტებისა და მიტილოიდების მდიდარი ფაუნა, რომელშიაც ყველაზე ხშირია *Am. margaritatus* Montf., რაც წყების ამ ნაწილს შუა ლიასის დომერულ სართულად ათარიღებს, ხოლო წყების ზედა ნაწილი კი ზედა ლიასური უნდა იყოს.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე წარმოდგენილი თიხიან-მერგელიანი წყება სტრატეგრაფიული მდებარეობით, მასივის დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიებზე წარმოდგენილი წითელი კირქვების შესატყვის დონეს იკავებს. ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე დომერულის წინა დროის ნალექების (ქარსიან-კვარციანი ქვიშაქვების ექვივალენტი) არარსებობა, პროფ. ი. კახაძის აზრით, მასივის ამ ნაწილში ზღვის დაგვიანებით მოსვლაზე მიგვითითებს. როგორც ჩანს, ტრანსგრესიის განვითარებაზე შესამჩნევ კვალს ტოვებს მაშინდელი ხმელეთის მორფოლოგია. ასე მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში ჩონთო-ლოპანის ზოლზე ლიასური ზღვა დომერულში მოდის, ხოლო უფრო დასავლეთით იგივე ზღვა მანდაეთ-ბერეთისას რაიონში ტოარსულში მივიდა და ქვიშაქვების მძლავრი ფაციესი მოგვცა (იხ. ნახ. 1).



დასასრულ ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ლიასისა და ბაიოსის ურთიერთდამოკიდებულებას.

მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ბაიოსის ლიასზე თანხმობით განლაგება ექვს არ იწვევს, მაგრამ სამხრეთ პერიფერიაზე, ამ ფორმაციათა შორის აშკარა უთანხმოებას აქვს ადგილი. უთანხმოების კარგი სურათი ჩანს მდ. ყვირილის ხეობაში და გლინავის ღელეში (სურ. 1, 1<sup>ა</sup>).



სურ. 1 და 1<sup>ა</sup>. ბაიოსური ნალექების უთანხმო განლაგება ლიასურ კირკვებზე  
 8. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. III

გლინავის და აგრეთვე ბჟინეურის ხეობაში ლიასის კირქვებს გადარეცხვის მკაფიო ნიშნები ემჩნევა. ხშირია ბაიოსის ტუფებში კირქვის სხვადასხვა სიდიდის ლოდები და წვრილი ნატეხებიც. ამრიგად, ბაიოსის ლიასთან დამოკიდებულება მასივის პერიფერიებზე განსხვავებულია.

### III. ნალექების ლითოლოგიური დახასიათება

#### 1. ლიასური ნალექების ლითოლოგიური ხასიათი მასივის სამხრეთ პერიფერიაზე

ძირულის მასივის სამხრეთ პერიფერიაზე ლიასური ნალექები რამდენიმე მდინარის ხეობაში ჩანს. მათ შორის ყველაზე დასავლეთით, სად. შოროპანთან, არის მდ. ნარულა. აქ არის როგორც ქვიშაქვების, ისე კირქვების ფაციესი. ქვიშაქვების დასტის ქვედა ნაწილში საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვებია გავრცელებული, რომელთა შორის უხვმარცვლოვანი, მცენარეული ნაშთებით მდიდარი უბნები გამოიყოფა. ქვიშაქვები შედგება კვარცის, კალიშპატის, ქარსისა და პლაგიოკლაზისაგან. კვარცი ქანის მთავარ კომპონენტს შეადგენს, ის მეტწილად უწყესო ფორმის კუთხედი მარცვლების სახითაა წარმოდგენილი, მკაფიო კატაკლაზით, მხოლოდ რამდენიმე მარცვალი უდავოდ ეფუზიური ქანებიდან მოტანილი. კალიშპატი მიკროკლინითაა წარმოდგენილი, საკმაოდ სალია, უფრო მსხვილ მარცვლებს იძლევა, ვიდრე კვარცი (0,6—0,8 მმ). პლაგიოკლაზი საკმაოდ პელიტიზებული და სერიციტიზებულია, რაოდენობით მიკროკლინს არ ჩამორჩება. ქარსი მუსკოვიტითაა წარმოდგენილი, რომლის მცირე ზომის ფურცელაკები უხვადაა გაბნეული ქანში. ცემენტის როლს იმავე შედგენილობის ალფერიტული მასა და სერიციტულ-რკინოვანი ნივთიერება ასრულებს; რკინის ჟანგი ზოგჯერ მსხვილი მარცვლების ნაპრალებშიც იჭრება. ამ ქვიშაქვების მინერალური შედგენილობა %-ში მოცემულია ქვემოთ ცხრილში (ოთხი ნიმუშის მიხედვით):

კვარცი	კალიშპატი	პლაგიოკლაზი	ქარსი	მადნეული	ცემენტი
46—67	10—19	1,3—12	2,1—12	—	11—30

ამ დასტის ზედა ნაწილი, ქვედასაგან განსხვავებით, წვრილმარცვლოვანი კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი, რომლებიც განსხვავდებიან ზემოთ აღწერილი ქვიშაქვებისაგან, არსებითად, მხოლოდ მარცვლის უფრო წვრილი ზომით (0,02—0,2 მმ) და ცემენტის სიუხვით. კომპონენტთა % რაოდენობა ასეთია: კვარცი—34,5%, მინდვრის შპატები—4,2%, ქარსი—1,1%, ქანის ნატეხები—0,2%. სერიციტულ-თიხოვანი ცემენტი—60%. ქვიშაქვების ზედა ნაწილში ურევია ქვიშიანი კირქვების შრეები, რომლებიც ზევით მდებარე კირქვებისაკენ გარდამავალ ტიპს წარმოადგენენ. მათ შედგენილობაში კვარცი 13,6%-ია, ხოლო კირქვიანი ნაწილი—61% და კარბონატულ-სერიციტული ცემენტი—25,4%-ია.

დიდი ხარვეზის შემდეგ (300 მ) გამოდის კლასტური კირქვების დასტა პელიტურ-ალევიტული კირქვიანი ქვიშაქვების განშრევებებით. კირქვა ძირითადად ბრაქიოპოდების და კრინოიდების ნატეხებისაგან შედგება, ხოლო ცემენტი წარმოდგენილია მწვანე ფერის ქლორიტით მდიდარი პელიტურ-ალევიტული მასით, რომელიც ზოგ უბანში პელიტომორფულ კალციტსაც შეიცავს. მცირე რაოდენობით გვხვდება კაჟის სპიკულები, რომელთა ნაწილი კალციტით არის ჩანაცვლებული.

კირქვების დასტაში ქვიშაქვისებრი განშრევებები კირქვიანი პელიტური ტუფები აღმოჩნდა, რომელთა ძირითად შემადგენელ ნაწილს მწვანე ფერის იზოტროპული მასა და მასში მოქცეული პლაგიოკლასის კრისტალები შეადგენს. აქა-იქ ამ მასაში გაბნეულია სუფთა კალციტის, კრინოიდების მალეების და ბრაქიოპოდების ნიჟარების ნატეხები. გვხვდება აგრეთვე ქალცედონისაგან შემდგარი დამახასიათებელი შუბისებრი ფორმის ღრუბლის სპიკულები.

ზევით რუხი ფერის ადვილად მსხვრევადი მერგელების დასტაა. მერგელები მორუხო-მომწვანო ფერის პელიტომორფული მასისაგან შედგება, რომელშიც აქა-იქ კრისტალური კალციტის მარცვლებს და ბრაქიოპოდების ნიჟარებს ვპოულობთ. მცირე რაოდენობით შეიცავს მიკროფაუნას და კალციტისაგან შემდგარ სპიკულებს. ამ მერგელებში გვხვდება რუხი ფერის პელიტომორფული კირქვის კონკრეციები 5—10 სმ ზომისა. კონკრეციები შეიცავს მცირე ზომის ორსაგდულიანებს და ფორამინიფერებს. მერგელები ზევით ამ კონკრეციების ანალოგიური კირქვებით იცვლება.

სულ ზედა დასტა რკინის უანგის მინარევით წითლად შეფერილი კირქვებით არის წარმოდგენილი; ზოგ უბანში კირქვები იმდენად მდიდარია ნამარხებით, რომ ნიჟარულ კირქვას იძლევა. მიკროსკოპში კირქვის მთავარი მასა პელიტომორფული კალციტია, რომელშიც მრავლადაა გაბნეული ბრაქიოპოდების და კრინოიდების ნაშთები; ხშირია კრისტალური კალციტის გამკვეთი ძარღვები.

მდ. ყვირილაზე ლიასური ნალექები ნარულის ლიასის სრულიად ანალოგიურია და შემდეგი დასტებისაგან შედგება (ქვევიდან ზევით):

a. არკოზულ-გრაუვაკური ქვიშაქვები ფუძეში ზოგან კონგლომერატების ლინზებით.

b. კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვები მუქი რუხი ფერის, მცენარეული დეტრიტუსით მდიდარი. იკვეთება დიორიტ-პორფირიტის შრეძარღვით.

c. სუსტად კირქვიანი ქვიშაქვები მორუხო-მომწვანო ფერის. შეიცავენ დიორიტ-პორფირიტის შრეძარღვს, რომელიც ჩვენ მიერ ცალკე წერილშია აღწერილი [14].

d. ნამარხებით მდიდარი მოიისფრო, ზოგ უბანში მომწვანო ფერის ქვიშაიანი კლასტური კირქვები.

e. მუქი წითელი ფერის მარმარილოსებრი კირქვები, რომელთა ქვედა ნაწილშია მოქცეული:

ნათლად შრეებრივი, მოიისფრო-მოწითლო ტუფები და ტუფოგენური ქვიშაქვები მდიდარი ამონიტური ფაუნით.

პირველი დასტის (ა) ქვიშაქვები არაფრით განსხვავდება ნარულის ანალოგიური ქვიშაქვებისაგან. მხოლოდ მათ შედგენილობაში აღინიშნება კრისტალური მასივის ქანების ნატეხები 15—20%—მდე, რაც ამ ქვიშაქვების მეტი მსხვილმარცვლოვანებით აიხსნება.

შემდგომი დასტის (ბ) ქვიშაქვებისათვის, ნარულისაგან განსხვავებით, აღსანიშნავია მცენარეული ნაშთების მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობა. შეიმჩნევა მასალის სიმსხოს თანდათან შემცირება ქვევიდან ზევით, ამავე მიმართულებით მინდვრის შპატების შეცვლის ხარისხის და მცენარეული ნაშთების რაოდენობის ზრდა. სხვა დასტები აქ უკეთ არის წარმოდგენილი, ვიდრე ნარულაზე და სხვა მხრივ განსხვავება არ ჩანს.

კირქვები აქაც ჰემატიტით წითლად შეფერილია ზოგ უბანში ორსაგდულიანებით და კრინოიდებით გამდიდრებული.

ამ კირქვების ქვედა ნაწილში მოქცეული ტუფების დასტა საინტერესოა იმით, რომ ის ლიასის ბოლოს ვულკანური ამოფრქვევების გამოვლინებაზე მიგვითითებს. რადგან ეს დასტა ნარულაზე მკაფიოდ გამოყოფილი არ არის, ამიტომ მის მოკლე დახასიათებას აქ მოვიყვანთ. შრეებრივობა მკაფიოა; ქვედა ნაწილში სქელშრეებრივი (შრეთა სისქე 0,5—0,6 მ) და უნამარხოა, ზედა ნაწილში კი თხელშრეებრივი (0,1—0,15 მ) და ნამარხებიანი. დასტის ზედა ნაწილის ქანი ავგიტიანი პორფირიტის კრისტალურ ტუფს წარმოადგენს; მისი შემადგენელი კომპონენტებია საკმაოდ პელიტიზებული პლაგიოკლაზი და უფერო ავგიტი: საკმაოდაა აგრეთვე პროფირიტების ძირითადი მასის ნატეხები. ზოგი შრე კალციტით არის მდიდარი და ტუფოგენურ კირქვას წარმოადგენს.

ნარულასა და ყვირილას შორის წყალგამყოფ ქედზე ლიასის მხოლოდ ქვედა ქვიშაქვების დასტა ჩანს, რომელიც აქ ზოგან უშუალოდ გრანიტებს აძევს, ხოლო ზოგან კი ქვედა ტუფიტებს. აღსანიშნავია ზოგ უბანში კონგლომერატების მნიშვნელოვანი განვითარება. ნარიყალის ზომა 2—8 სმ ფარგლებშია. შედგენილობის მხრივ კონგლომერატის მასალა ასეთია:

1. კვარცპორფირები . . . . .	35%
2. ალბიტოფირები . . . . .	33%
3. გრანიტები . . . . .	17%
4. პეგმატიტები . . . . .	8%
5. ძარღვის კვარცი . . . . .	7%

უფრო აღმოსავლეთით, სოფ. წიფლავეაკის მიდამოებში, ლიასური ნალექები ტუფიტებით იწყება, რომლებშიც შეცვლილი პორფირიტის ძარღვიც ჩანს. ტუფიტების წყების ზედა ნაწილში მოყოლილია გაკვარციანებული პორფირიტის საკმაოდ დიდი ზომის ლოდები.

ტუფიტებს ზევით აგრძელებს მსხვილ და საშუალომარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვების დასტა. ქვიშაქვები შემდგარია კვარცისგან, რომელიც როგორც კრისტალური ქანების, ისე ეფუზიური წყების გამორეცხვის ხარჯზეა წარმოშობილი, მცირე რაოდენობით გაალბიტებული პლაგიოკლაზისაგან, საგრძნობი რაოდენობით მიკროკლინის შედარებით სადი მარცვლებისაგან და მუსკოვიტის ფურცლებისაგან. საგრძნობი რაოდენობითაა ქანების ნატეხები, წარმოდგე-

ნილი კვარციტული ფიქლებით, პეგმატიტებით და ფელზიტური აგებულების ეფუზიური ქანით.

ქვიშაქვის ცემენტი სერიციტულ-კაოლინური მასაა.

მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები ზევით იცვლება წვრილმარცვლოვანი, ზოგჯერ ალევრიტული, კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვებით, რომლებიც საკმაოდ შეიცავენ მცენარეულ ნაშთებს. ეს ქვიშაქვები შედგენილობით არსებითად არ განსხვავდება ქვეშმდებარე ქვიშაქვებისაგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მარცვლის სიმსხოა. აქაც კომპონენტები კვარცი, მინდვრის შპატები და ქანთა ნატეხებია, მაგრამ გაზრდილია კვარცისა და ქარსის როლი, ხოლო ქანის ნატეხების რაოდენობა ძალზე შემცირებულია. ცემენტი სერიციტულ-თიხოვანია; ზოგ შრეში კი მას ეპიდოტ-ქლორიტული და ადგილ-ადგილ კარბონატული მასებიც უერთდება. სულ ზედა ნაწილში ცემენტი მთლიანად ლიმონიტით არის წარმოდგენილი.

კირქვების ფაციესი წიფლავაკის მიდამოებში არ გვხვდება. როგორც ჩანს, იგი შემდგომი ტრანსგრესიით უნდა იყოს გადარეცხილი.

მდ. ძირულას მარჯვენა შენაკად გლინავის ღელეში ლიასი აგრეთვე ქვედა ტუფიტებით იწყება; მას აგრძელებს უხეშმარცვლოვანი, მკვეთრად არათანაბარმარცვლოვანი ქვიშაქვები, რომლებიც ზოგჯერ შეიცავენ დამრგვალებულ ან დაკუთხულ რიყის ქვებს 10—20 მმ დიამეტრით. ამ ქანებს შორის იცნობა კვარციანი პორფირები, პეგმატიტები, კრისტალური ფიქლები და მთლიანად გათიხებული ქანის ნატეხები. ქვიშაქვის სხვა კომპონენტები არკოზული მასალითაა წარმოდგენილი. ამ ქვიშაქვების მინერალური შედგენილობა, მიკროსკოპში დათვლილი, ასეთია:

- |   |   |     |
|---|---|-----|
| 1. ქანების ნატეხები:                                    | a. ძველი კრისტალური კომპლექსი . . . . . | 12% |
|   | b. კვარციანი პორფირები . . . . .        | 8%  |
| 2. კვარცი . . . . .                                     |   | 32% |
| 3. მინდვრის შპატები (მიკროკლინი, პლაგიოკლაზი) . . . . . |   | 6%  |
| 4. ქარსი (მუსკოვიტი, სერიციტი) . . . . .                |   | 4%  |
| 5. ცემენტი . . . . .                                    |   | 38% |

უხეშმარცვლოვან ქვიშაქვებს ზევით წვრილმარცვლოვანი კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვები აგრძელებს, როგორც ეს ყვირილაზე და ნარულზე გვქონდა. შედგენილობა აგრეთვე ანალოგიურია სხვა ღელიდან ზემოთ უკვე აღწერილი ამ დასტის ქვიშაქვებისა. ამ ქვიშაქვების ცემენტი, თუმცა საერთოდ თიხოვანია, მაგრამ ზოგჯერ კრისტალური კალციტითაა წარმოდგენილი, რომელიც ზოგ უბანში ლიმონიტითაა გაჟღენთილი. ზოგი ქვიშაქვის კარბონატულ ცემენტში მრავლად არის გაბნეული წითელი რკინის ქანგის ოლითური სხეულები, რომლებიც ზოგ უბანშიც საკმაოდ რაოდენობით გროვდება და ქანის ცემენტს ქმნის.

უხეშმარცვლოვან ქვიშაქვებსა და ტუფიტებს შორის ცუდი გაშიფვლების პირობებში გვხვდება მოშავო თიხების მცირე ზომის გამოსავალი. თიხა მიკროსკოპში შემდგარია ღია მოყვითალო-ნაცრისფერი პელიტური მასისაგან,

რომელშიც მრავლად არის გაბნეული კაოლინისა და სერიციტის წვრილქერცლოვანი აგრეგატები; მცირე რაოდენობით გვხვდება მუსკოვიტის წვრილი ფურცლები და პლაგიოკლაზის ნატეხები. ბევრია განახშირებული მცენარეული ნაშთები.

წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების თავზე აქაც, ყვირილის მსგავსად, კირქვების ფაცივსია, რომელიც ყვირილის კირქვების სრულიად ანალოგიურია.

სრულიად თავისებური ხასიათი აქვს ლიასურ ნალექებს სოფ. შროშის მიდამოებში, იქ სადაც ცეცხლგამძლე თიხის საბადოა. სხვა ადგილებისაგან განსხვავებით, აქ ლიასის სიმძლავრე გაცილებით მეტია.

გარდა ამისა, აქ ფუძეში შვიდი მეტრის სიმძლავრე კონგლომერატის დასტა გვაქვს, იმ დროს, როდესაც სხვაგან კონგლომერატი მხოლოდ ლინზებისა და თხელი განშრევებების სახით თუ გვხვდებოდა.

კონგლომერატის შემადგენელი რიყის ქვების დიამეტრი 0,05—0,1 მეტრის ფარგლებში იცვლება, ხოლო შემადგენლობა ასეთია:

- |   |     |
|---|-----|
| 1. კრისტალური ფუძის ქანები (გრანიტები, კრისტალური ფიქლები)    | 35% |
| 2. კვარციანი პორფირები, კვარციანი ალბიტოფირები და მათი ტუფები | 33% |
| 3. დიაბაზები და პორფირიტები                                   | 29% |
| 4. ძარღვის თეთრი კვარცი                                       | 3%  |

კონგლომერატებს აგრძელებს უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების მძლავრი დასტა, რომლის ქვედა ნაწილი ფაქტიურად გრაველიტებს წარმოადგენს და ცუდად დაშრევებულია. ის შედგენილობით არსებითად არ განსხვავდება კონგლომერატისაგან და ასევე გრანიტების, კრისტალური ფიქლების და ფუძე ეფუზივების გამორეცხვის პროდუქტებს შეიცავს. ასეთსავე შედგენილობას ინარჩუნებს ქვიშაქვები მთელ სიმძლავრეზე, მაგრამ თანდათან იგრძნობა ალბიტოფირების შემცირება, ხოლო გრანიტული მასალის ზრდა და ქანები თანდათან ნამდვილ არკოზებს უახლოვდებიან. ფუძიდან დაახლოებით მეორმოცე მეტრზე გვხვდება სფერიული გამოფიტვის მქონე ქლორიტიანი დიაბაზის განფენი, რომელსაც მიკროსკოპში მკაფიო ოფიტური სტრუქტურა აქვს და შედგება ძალზე სერიციტიზებული და ქლორიტით ჩანაცვლებული გრძელპრიზმული პლაგიოკლაზისაგან, რომელთა შორის სივრცე ამოვსილია ქლორიტითა და სერპენტინით მთლიანად ჩანაცვლებული სილიკატით. ბევრია გალიმონიტებული მადნის შინერალი.

ფუძიდან 43-ე მეტრზე 8 მეტრის სიმძლავრე ფიქლებრივი თიხების დასტაა. თიხები მიკროსკოპში რკინის ქანგის ფერი პელიტური მასისა და მასში პარალელურად განწყობილი ქარსის წვრილი ქერცლებისაგან შედგება. ქარსის ასეთი განწყობა ამ თიხების მდგარ წყალში დალექვაზე მიგვითითებს. თიხაში მცირე რაოდენობით გაბნეულია კვარცისა და მინდვრის შპატის უწვრილესი მარცვლები. ბევრია პირიტის სხვადასხვა ფორმის კონკრეციები, მთლიანად გალიმონიტებული. ამ დასტაშია მოქცეული შროშის ცეცხლგამძლე თიხის საბადო. თიხა ორგანული ნივთიერებით მდიდარია, რის გამოც შავი ფერისაა, იგი მრავლად შეიცავს პირიტისა და სიდერიტის კონკრეციებს. ეს ნიშნებია

თიხის აღდგენით გარემოში წარმოშობის უდავო დამადასტურებელია, თიხაში ხშირია ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ლინზები.

ზევით მდებარე ქვიშაქვები უკვე მსხვილ და საშუალომარცვლოვანია და კონგლომერატულ-გრაველიტური ხასიათი აღარა აქვს. მასალის ხასიათი კი იგივე რჩება. ზედა ნაწილში ისევ გამოერევა უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვის 5 მეტრის სიმძლავრის დასტა, რომელშიც კონგლომერატული უბნებიც არის; აღსანიშნავია, რომ ალბიტოფირების ნატეხები აქ სულ აღარ გვხვდება.

ამ ქვიშაქვების თავზე თხელშრებრივი მცენარეული ნაშთებით მდიდარი ქვიშაქვების დასტაა, რომლის ქვედა ნაწილში ნახშირის თხელი ფენებიცაა. მიკროსკოპში ქანები კაოლინისა და სერიციტის მჭიდრო ნარევისაგან შედგება და ცოტაოდენ ალევრიტულ მასალას შეიცავს კვარცისა და შეცვლილი მინდვრის შპატის სახით.

ზევით გრძელდება საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვები, რომელთა შორის ზოგჯერ მსხვილმარცვლოვანი შრეებიც გამოერევა. ხშირია აგრეთვე თხელშრებრივი, მცენარეული ნაშთებით მდიდარი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების მცირე სიმძლავრის პაკეტები (1—3 მ). ქვიშაქვების სულ ზედა ნაწილი წვრილმარცვლოვანი კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვებია, რომელთა ცემენტში ხშირია ლიმონიტი, ზოგჯერ ოოლითური, რაც ქვევით იშვიათად გვხვდებოდა. ამ ქვიშაქვებში მრავლადაა  $6 \times 8$  მმ ზომის ქვიშაქვისავე კონკრეციები, რომლებიც შემცველი ქვიშაქვისაგან განსხვავებით, კარბონატული ცემენტით ხასიათდება.

ქვიშაქვების ზედა ნაწილში ღია ფერის პლაგიოკლასიანი პორფირიტის მცირე სიმძლავრის შრე შეგვხვდა, რომლის ზედა ნაწილი პოროვანი და მანდელშტეინურია; როგორც ჩანს, განფენთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, შრომის ლიასური ქვიშაქვები ქვევიდან ზევით გარკვეულად გვიჩვენებს მარცვლის სიმსხოს შემცირების ტენდენციას, მაგრამ ამ საერთო ტენდენციას არღვევს დასტის ზედა ნაწილში ზოგჯერ მსხვილი და უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების მცირე ზომის პაკეტების არსებობა.

ასევე არასავსებით მკაფიოდ, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მასალის შედგენილობის ცვლა. ქვიშაქვების შექმნაში თითქმის თანაბრად მონაწილეობს, ერთი მხრივ, კრისტალური ფუძის ქანების — გრანიტებისა და კრისტალური ფიქლების — დაშლის პროდუქტები, მეორე მხრივ — ალბიტოფირების, ე. ი. ქვედა ტუფიტების მასალა. ქვედა პორიზონტებში მაინც იგრძნობა ალბიტოფირების უფრო მნიშვნელოვანი როლი, ზევით კი იზრდება გრანიტების მასალა და სათანადოდ მცირდება ალბიტოფირების გარეცხვის პროდუქტები. ხოლო სულ ზედა პორიზონტებში წმინდამარცვლოვანი კვარცით მდიდარი ქვიშაქვებია გავრცელებული.

მასალის ხასიათის ასეთი ცვლა, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ქვიშაქვების წყების დაღეჟვისას ქვედა ლიასური კვარციანი ალბიტოფირები საგრძნობ ფართობს ფარავდა ძირულის კრისტალურ მასივზე. შორს წასულმა ეროზიამ გადარეცხა ეს შედარებით მცირე სიმძლავრის წყება და უფრო გააშიშვლა კრისტალური ფუძის გრანიტები და კრისტალური ფიქლები. ამიტომ,

ბუნებრივია, რომ ზევით ქვიშაქვებში, თანდათან მცირდება კვარციანი ალბიტოფირების მასალა და იზრდება გრანიტების დაშლის პროდუქტების როლი.

სულ ზედა ჰორიზონტებში წმინდამარცვლოვანი ქარსიან-კვარციანი ქვიშაქვების გაჩენა ქიმიური გამოფიტვის ინტენსივობის ზრდის შედეგი უნდა იყოს, რაც, თავის მხრივ, ხმელეთის პენეპლენიზაციით უნდა აიხსნას. ქიმიური გამოფიტვა იწყებდა მინდვრის შპატების დიდი ნაწილის დაშლას და კვარცის როლის ზრდას. ამაზე მიგვიჩვენებს აღნიშნულ ქვიშაქვებში მხოლოდ მთლიანად გათიხებული მინდვრის შპატების არსებობის ფაქტიც.

მინდვრის შპატების ასეთი ინტენსიური დაშლა შესაძლოა, გარდა პენეპლენიზაციისა, კლიმატის უფრო განესტიანებასაც დაეუკავშიროთ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს მცენარეული საფარის ზრდა, რაც ქვიშაქვების ზედა ჰორიზონტებში მცენარეული ნაშთების სიუხვით დასტურდება. ორგანიული მასალის დიდი რაოდენობა აუზში ქმნიდა ალღენით გარემოს, რამაც განაპირობა ზედა ქვიშაქვებში პირიტის კონკრეციების სიუხვე, რომელთა დაქანგვის ხარჯზეც წარმოშობილია ქვიშაქვების ლიმონიტური ცემენტი.

წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვების დასტას მოჰყვება კირქვების დასტა, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 20—80 მეტრამდეა. კირქვები მეტწილად წითელი ქანგის ფერია, მაგრამ გამოერევა რუხი ფერის შრეებიც. შრეებრივობა მკაფიოდ არის გამოხატული; ცალკე შრეთა სიმძლავრე 0,5—1 მ-მდეა. ზოგჯერ კი 2 მეტრსაც აღწევს. ზოგ შრეში გვხვდება რკინის ქანგით უფრო გამდიდრებული უბნები, რომლებიც მეტ შემთხვევაში ნაპრალებთანაა დაკავშირებული.

ქვიშაქვებიდან გადასვლა კირქვებში არც თუ ისე მკვეთრია, როგორც ეს ველზე ჩანს. ასე მაგ., ქვიშაქვების დასტის სულ ზედა შრე შემდგარია კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვით, რომელსაც ლიმონიტური ცემენტი ახასიათებს. ამ შრეში ბლომად ვხვდებით სხვადასხვა ზომის კონკრეციებს (უფრო ხშირად  $6 \times 8$  სმ), რომლებიც შედგენილობით უბასუხებენ კვარციან ქვიშაქვებს, მაგრამ არა ლიმონიტური, არამედ წვრილკრისტალური კალციტური ცემენტით. ამრიგად, ამ შრიდან უკვე იწყება კარბონატის გამოყოფა, რომლის ინტენსივობა ზევით თანდათან იზრდება.

შედეგ ისევ არაკარბონატული ლიმონიტის ცემენტიანი ქვიშაქვის შრეა და მის ზევით ძვეს 1,5 მ სიმძლავრის შრე, რომელიც მაკროსკოპულად ბრექჩიული ქანია, ხოლო მიკროსკოპში ქვიშიან კირქვას წარმოადგენს, რომელიც მსხვილკრისტალური კალციტისაგან შედგება და მრავლად შეიცავს კუთხედი კვარცის მარცვლებსა და მუსკოვიტის წვრილ ფურცლებს. თვით კირქვა მდიდარია ხავსცხოველების, წყალმცენარეების და, ნაკლებად, ბრაქიოპოდების ნიჟარების ნამტვრევებით. ზოგ უბანში კალციტური ცემენტი არა ჩანს და მხოლოდ ლიმონიტი ასრულებს ამ როლს; ამგვარი უბნები არ განსხვავდებიან ქვეშმდებარე რკინიანი ქვიშაქვებისაგან. ეს ლიმონიტიანი უბნები აძლევს ქანს წითელ ფერს.

ამგვარად, ეს ნიმუში [115] ერთდროულად შეიცავს როგორც ქვეშმდე-



ზარე რკინიანი ქვიშაქვების მასალას, ისე ზევით მდებარე კირქვების მასალას და მათ შორის გარდამავალ ჰოიზონტს წარმოადგენს. ამ გარდამავალ შრეს აძევს 2 მ სიმძლავრის ნაპრალებით მდიდარი ქუქყიანი წითელი ფერის კირქვის შრე. მიკროსკოპულად (შლ. 116) ქანის მთავარი მასა მიკრომარცვლოვანი კირქვაა, რომელშიც ბლომად არის გაბნეული კრისტალური კალციტისაგან შემდგარი ღრუბლის, მეტ წილად ოთხსხივიანი სპიკულები, აგრეთვე ზღვის შროშნების ღეროები. შეგვხვდა 1 ჯამიც. იშვიათად ჩანს ბრაქიოპოდების ნიჟარების ნამტვრევები. კირქვაში ?რავლად არის გაბნეული ლიმონიტის ლაქები, რომლებიც ზოგჯერ თითქმის მთლიან უბნებად ერთდებიან. ზოგი ლაქა გარკვეულად კონკრეციის შთაბეჭდილებას ტოვებს. გვხვდება კვარცის რამდენიმე კუთხედი მარცვლი ზოხით 0,05—0,08 მმ. ერთი უბანი კვარცისა და ლიმონიტისაგან შემდგარია და ქვიშაქვის შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც ამას ქვედა შრეში უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი.

შემდეგი შრე ნაცრისფერი ბრექჩიული კირქვაა, რომელიც მიკროსკოპში (შლ. 117) მიკრომარცვლოვან კირქვას წარმოადგენს და შეიცავს ბრაქიოპოდების ნამტვრევებს და მცირე რაოდენობით კალციტისაგან შემდგარ, მეტ წილად ერთსხივიან, სპიკულებს; აქა-იქ გაბნეულია კვარცის ცალკეული კუთხედი მარცვლები. ეს მიკრომარცვლოვანი კირქვა დანაპრალეულია და დანაპრალეები ამოვსებულია მსხვილმარცვლოვანი, სუსტად ლიმონიტის კალციტით; ეს გარემოება აძლევს ქანს ბრექჩიულ იერს. ამავე ქანის სხვა შლიფში, ნაპრალეებში ჩასულ კალციტში კვარცის მარცვლები და მუსკოვიტის ფურცლებიც არის მცირე რაოდენობით, ე. ი. კირქვის ნაპრალეებში ქვეშ მდებარე ქვიშაქვის მსგავსი მასალა არის ჩასული. ქანში არ არის შემჩნეული არც პირიტი და არც ლიმონიტი.

ზევით მდებარე შრე ისევ ნაცრისფერი, შროშნებით მდიდარი კირქვაა, რომელიც მიკროსკოპულადაც ჰგავს ზემოთ აღწერილ ქანს, მაგრამ აქ ორგანიზმების ნაშთები გაცილებით ნაკლებია და უმთავრესად ერთსხივიანი სპიკულებითა და ბრაქიოპოდების ნიჟარების ნამტვრევებით არის წარმოდგენილი. ნაპრალეებში ჩამჯდარ კალციტში ბლომდაა მუსკოვიტის ფურცლები. პირიტი ან ლიმონიტი სრულებით არ გვხვდება. ამ ადგილას კირქვებში 0,6 მ სიმძლავრის ალბიტის პორფირიტის ძარღვია შექრილი, რომელშიც მუქი სილიკატი მხოლოდ კალციტ-ქლორიტული ფსევდომორფოზებით არის წარმოდგენილი.

შროშის კირქვების კარნიზის ზედა ნაწილში აღებულია ნიმუში რუხი ნაცრისფერი კარბონატული ქანის შრიდან. უკანასკნელი მიკროსკოპში (შლ. 120) ისევ ბრექჩიული კირქვა აღმოჩნდა, შემდგარი მიკრომარცვლოვანი მუქი რუხი კირქვის უბნებისაგან, რომლებიც მოქცეული არიან წვრილკრისტალურ კარბონატულ მასაში. ორივე უბანი მდიდარია ორგანიზმების ნაშთებით, მაგრამ შემაცემენტებელ წვრილკრისტალურ მასაში საგრძნობი რაოდენობითაა სპიკულები, ხშირად ოთხსხივიანი, რომლებიც მუქ ნატეხებში მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეგვხვდა. სპიკულების განივ კვეთებს ზოგჯერ ქალცედონის გარე რკალი აქვთ შერჩენილი, ხოლო ცენტრული ნაწილი კალციტისაგანაა შედგე-

ნილი. ტერიგენი მასალა არ გვხვდება. აქა-იქ არის ტერებრატულების მთლიანი კვეთები.

ზევით გრძელდება წითელი ფერის სქელშრებრივი კირქვების დასტა. კირქვა მრავლად შეიცავს ბელემნიტებს, ბრაქიოპოდებს და სხვ. მიკროსკოპში ბრექჩიული კირქვა შემდგარია ორგვარი უბნისაგან. ქანის მთავარი მასა წარმოდგენილია მკვრივი მიკრომარცვლოვანი ყომრალი კირქვით, რომელშიც მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილებულია ლიმონიტის უწყვრილესი ლაქები, ხშირად შეერთებული მთლიან უბნად. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება მეორე გვარი უბანი, რომელსაც წინას მსგავსი სტრუქტურა აქვს, მაგრამ სრულებით არ შეიცავს ლიმონიტს. ფაუნა ორივეში მრავლადაა; სპიკულები, ბრაქიოპოდების ნიჟარების ნამტვრევები, ბელემნიტები, ხავსცხოველები.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ღია ფერის ულიმონიტო უბნები მოქცეულია წითელი ფერის ლიმონიტის უბნებში.

ამ დასტის ზევით ვგაქვს თხელშრებრივი რუხი კირქვებისა და მოიისფრო-მოწითლო და მომწვანო მერგელებრივი ქანების მორიგეობა. რუხი კირქვების შრეთა სიმძლავრე 0,15 მ, ხოლო მერგელებრივი ქანებისა კი 1,5—2 მ. დასტის ზედა ნაწილში მერგელებრივი ქანები ჭარბობს კირქვებს. ხშირად შრეები დასერილია კალციტის ძარღვებით, რომლებიც მიკრომარცვლოვანი კირქვების სხვადასხვა სახეობას წარმოადგენენ.

წითელ კირქვებში გვხვდება რკინის ჟანგით გამდიდრებული უბნები. ერთი ნიმუში ასეთი უბნებიდან მკაფიოდ ოოლითური აღნაგობისაა და თანაც საკმაოდ ქვიშიანია. ოოლითების ზომა 0,5 მილიმეტრზე ნაკლებია, მხოლოდ რამოდენიმე ოოლითი გამოირჩევა სიდიდით და 1 მმ-დე აღწევს. მიკროსკოპში ქანი ზოგ უბანში გაუწვივრავლად მთლიანი რკინის ჟანგის მასისაგან შედგება; ასეთ უბნებს ზოგჯერ ეტყობათ მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული ოოლითური აღნაგობა. სხვა უბნები კი მსხვილმარცვლოვანი კალციტისაგან შედგებიან და მრავლად შეიცავენ ორგანიზმების ნაშთებს და კვარცისა და მინდვრის შპატის მარცვლებს. ამ უბნებში ჰემატიტის მხოლოდ ცალკეული, მრგვალი ან ოვალური ფორმის ოოლითებია მოქცეული. ზოგ ოოლითს აშკარად ეტყობა, რომ ის კალციტის ოოლითის ჩანაცვლებით არის გაჩენილი. აქვე მკაფიოდ ჩანს ნიჟარების ნატეხების ჰემატიტით ჩანაცვლების ყველა საფეხური. ჰემატიტი გარს ეკვრის კალციტის, კვარცის და სხვა მარცვლებს და ცემენტის როლს ასრულებს. ჰემატიტით მდიდარ უბნებში შემჩნეულია, რომ ზოგი ოოლითის გულში პირიტი დარჩენილა. საფიქრებელია, რომ ოოლითების ნაწილი, თუ ყველა არა, უშუალოდ პირიტის კონკრეციების დაჟანგვის გზით გაჩნდა. თავისი ბუნებით ეს ქანი სანაპირო ზოლის წარმონაქმნია.

ზოგ, ჰემატიტით გამდიდრებულ, კირქვას ოოლითური აღნაგობა არ ეტყობა. მაგ., ნიმ. 128 მიკროსკოპულად შედგება კრისტალური კალციტისაგან, რომელიც მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა ლაქების სახით, რადგან ინტენსიურად არის ჩანაცვლებული ჰემატიტით; უკანასკნელი მქიდრო გროვებსა ქმნის, ხოლო ზოგ უბნებში კალციტს შეიცავს. ზოგან კი არამკაფიოდ გამოხატულ

ოლითურის მსგავს სტრუქტურას გვიჩვენებს; ამ ოლითებს შორის კალციტის ვიწრო ზოლებია დარჩენილი.

მდ. ძირულის ხეობაში გარდა შროშის მიდამოებისა, ლიასური ნალექები გავრცელებულია საქასრულაზე, მდ. ბჟინეურაზე და სოფ. ვერტყვილის ქალის მიდამოებში მდ. ჩხრიალეთის წყლის ორივე მხარეზე.

მდ. საქასრულას ხეობაში ლიასი კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი.

ს გვიჩვენებს; ამ ოლითებს შორის კალციტის ვიწრო ზოლებია დარჩენილი.

და შროშის მიდამოებისა, ლიასური ნალექები გავრცელებულია საქასრულაზე, მდ. ბჟინეურაზე და სოფ. ვერტყვილის ქალის წყლის ორივე მხარეზე.

ლიასი კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი და აღმოსავლეთ მხარეზე მასივის ტიპურად განლაგებული, სამხრეთიდან ბაიოსური ასავლეთიდან კი ქვედა ცარცის კირქვებით.

ქვეში ბრექჩია-კონგლომერატების ზოლი ჩანს. ნილია კვარცხორფირების, ალბიტოფირების, კარისტალური ფიქლებისა და ალევრიტული. ზევით მომდევნო კირქვებში ოახი დასტა პირველი დასტა მოწითლო ფერის, კალციტებით დასერილი კირქვებით არის წარმოდგენილი კირქვის უბნები ძლიერ წვრილკრისტანავე მათში მნიშვნელოვანი რაოდენობით გადალაქობრივად განწყობილი ჰემატიტის.

დასტა კლასტური კირქვებით არის აგებული, დათანობით მარცვლოვან გამარმარილოებულ კირქვები ქვიშიანი მასალისა და წვრილკრისტან არიან შემდგარი. ქვიშიანი ნაწილი მთელი მდგენილია კატაკლაზური კვარცისა და გაჟემარცვლებით. მარცვალთა ზომა საშუალოდ და ნაწილში, გამარმარილოებული კირქვების კირქვებში ნიჟარების ნატეხებიც გამოერევა. ზოში რუხი ფერის პელიტომორფული კირქვებში კი წითლად შეფერილი ნიჟარებიანი კირხართფეხიანები, ფორამინიფერები და კალციტის სპიკულები.

ური კირქვებით არის წარმოდგენილი, რომ მასალა დაახლოებით თანაბარი რაოდენობის მთლიანად ფუძე ეფუზიური ქანის ნატეხიოკლასისგან შედგება. კირქვა ტუფური მასალის კომპონენტის როლს ასრულებს.

ოლითურის მსგავს სტრუქტურას გვიჩვენებს; ამ ოლითებს შორის კალციტის ვიწრო ზოლებია დარჩენილი.

მდ. ძირულის ხეობაში გარდა შროშის მიდამოებისა, ლიასური ნალექები გავრცელებულია საქასრულაზე, მდ. ბჟინეურაზე და სოფ. ვერტყვილის მიდამოებში მდ. ჩხრიალეთის წყლის ორივე მხარეზე.

მდ. საქასრულას ხეობაში ლიასი კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი. გამოსავლების ეს ზოლი ძველ გრანიტებზეა ტექტონიკურ მოწყვეტა ნორმულად, ხოლო დანაწილებულია.

მთელ ზოლზე კირქვების ფაციესი აქ მასალა ძირითადად წარმოდგენილია გრანიტების და შედარებით ცოტა კვარცხანი ქვიშაქვების ნატეხებით გამოიყოფა. ამათგან სულ ქვედა კალციტის მსხვილკრისტალური ძარღვიანი ნილი. ძარღვებს შორის მოქცეულია კალციტის შეიცავს, ამასთანავე მოიყოფა ქვიშიანი ნაწილაკებით უბნები.

ზევით მომდევნო მეორე და მესამე კომპლექსებში ზევით სრულიად თანაბარი კირქვებში გადადის. კლასტური ტალური კირქვის ნატეხებისაგან შედგენილია 40% შეადგენს და წარმოადგენს მინდვრის შპატის 0,4×0,8 მმ უდრის. დასტის ზოლის ქვეშ მდებარე კლასტურ ნაწილში მესამე დასტა ქვედა ნაწილით არის აგებული; ზედა ნაწილი კირქვებით. ნაშარხებიდან ხშირია კალციტის სპიკულები.

მეოთხე დასტა ტუფოვანი კომპლექსებშიც კირქვისა და ტუფური მასალის თანაბარი რაოდენობისაგან შედგენილია. ამასთან, უკანასკნელი თიხის ნატეხებისა და გაჟელიტებული პლასტიკური მასალის კომპონენტის როლს ასრულებს.

ყოფა. სულ ქვედა დასტა, რომელიც ფილიტებისა და კრისტალური ფიქლების ნატეხებისგან შემდგარ ბრექჩიებს მოჰყვება, საქასრულის ხეობის კირქვებისაგან განსხვავებით, აგებულია კირქვიანი ალევრიტული ქვიშაქვებით. ქვიშიანი ნაწილი მთელი ქანის 50-60% შეადგენს და წარმოდგენილია გრანიტული კვარცით, შეცვლილი მინდვრის შპატებით და ქანის უწვრილესი ნატეხებით. საკმაოდ ბევრია აგრეთვე განახშირებული მცენარეული ნაშთები. კირქვიანი ნაწილი ქვიშაქვის ცემენტის როლს ასრულებს და შემდგარია ძლიერ წკრილკრისტალური კალციტისაგან.

კირქვიანი ქვიშაქვების ეს დასტა სრული თანდათანობით გადადის ჯერ ქვიშიან სუსტად კლასტურ კირქვებში (მეორე დასტა), შემდეგ კი წვრილმარცვლოვან, რუხი ფერის, ნამარხებიან კირქვებში (მესამე დასტა). გამოსავლების სულ ზედა ნაწილი აქაც ტუფოგენური კირქვებით არის წარმოდგენილი (მეოთხე დასტა). ამრიგად, სამი უკანასკნელი დასტა თითქმის ანალოგიურია მდ. საქასრულის ხეობის კირქვებისა.

სოფ. ვერტყვილისქალის მიდამოებში ლიასური ნალექები სოფლის სამხრეთ ნაწილში არის გაშიშვლებული, მდ. ჩხრიალეთის დელის ორივე მხარეზე, სადაც ლითოლოგიურად შემდეგი დასტები გამოიყოფა: 1. მორუხო ფერის ალევრიტული, კვარც-ქარსიანი ქვიშაქვები, 2. ღია რუხი ფერის მცენარეული დეტრიტუსით მდიდარი საშუალო მარცვლოვანი პსამიტური ქვიშაქვები, 3. რუხი ფერის ქვიშიანი კირქვები, დასერილი კალციტის წვრილი ძარღვებით, 4. წითელი ფერის ნიჟარებიანი კირქვები, რომლებსაც ზევით ბაიოსის ტუფოგენური წყება მოჰყვება.

პარველი დასტის ალევრიტული ქვიშაქვები მთელ სიმძლავრეზე თითქმის ერთგვაროვანი ხასიათის არის და შედგება: კვარცის, საღი მიკროკლინის, ოლიგოკლაზის, შეცვლილი ქანის ნატეხებისა და მუსკოვიტის დაღვრილი ფურცელაქვებისაგან. მარცვალთა ზომა საშუალოდ 0,01-0,2 მმ ფარგლებში მერყეობს. კვარცი ორგვარია - გრანიტული და ეფუზიური. ქვიშაქვის ცემენტი დასტის ქვედა ნაწილში კარბონატულია და მთელი ქანის 24%-ს შეადგენს, დასტის ზედა ნაწილში კი თიხოვან-სერიციტულია და მთელი ქანის 47%-ს შეადგენს.

ამ ქვიშაქვების რაოდენობრივი მინერალოგიური შედგენილობა ასეთია:

შემაღგენელი კომპონენტები	დასტის ქვედა ნაწილი	დასტის შუა ნაწილი	დასტის ზედა ნაწილი
კვარცი . . . . .	66,0%	34,4%	37,7%
მინდვრის შპატი . . . . .	6,4 "	11,4 "	10,2 "
მუსკოვიტი . . . . .	2,2 "	10,4 "	5,1 "
ცემენტი . . . . .	25,4 "	43,7 "	47,0 "

მეორე დასტის ქვიშაქვები რამდენადმე განსხვავებულია ქვეშემდებარე ქვიშაქვებისაგან. მათ ახასიათებს შედარებით მსხვილმარცვლოვანი აგებულება (მარცვალთა ზომა 0,1-1,8 მმ) და შედგენილობით მთავე ქანების ნატეხებით

მდიდარ არკოზულ ქვიშაქვებს შეესაბამებიან. ქვიშაქვის შემადგენელი კომპონენტებია: გრანიტული და ეფუზიური კვარცი, მიკროკლინი, მჭავე პლაგიოკლაზი, ქარსი და კვარცპორფირების, კვარციანი დიორიტებისა და პეგმატიტის ნატეხები. ყურადღებას იპყრობს მარცვლების ერთმანეთთან მჭიდრო შეხება და კვარცის წვრილი სოლების შექრა პლაგიოკლაზის მარცვლებში ყავრიანობის სიბრტყეების გასწვრივ. ჩანს ქვიშაქვებს წნევის ზეგავლენა განუცდია, რაც შესაძლოა ტექტონიკის შედეგი იყოს.

მესამე დასტა მთლიანად კვირქვებით არის აგებული. ეს კირქვები დასტის ქვედა ნაწილში კლასტური ბუნების არის და შედგება: პელიტომორფული ან ძლიერ წვრილკრისტალური აგებულების კირქვის ნატეხებისაგან. ნატეხების შემაცემენტებელი მასა ქვიშიანი მასალით არის წარმოდგენილი. უკანასკნელის შედგენილობაში მონაწილეობას ლებულობს კვარცი, მიკროკლინი, მცირეოდენი ქარსი და გათიხებული ქანის ნატეხები.

ეს კირქვები დასტის ზედა ნაწილში თანდათან კარგავენ კლასტურ აგებულებას და გადადიან პელიტომორფულ ქვიშიან კირქვებში. უკანასკნელი მოგარდისფროა და მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მხართფეხიანების და წყალმცენარეების ნაშთებს.

მეოთხე დასტის კირქვებს, როგორც უკვე ვთქვით, წითლად შეფერვა ახასიათებს. მათში ცალკე უბნებად ქვიშიანი კლასტური კირქვები გამოიყოფა. კირქვის მთავარი მასა პელიტომორფული კალციტით და მასში მოქცეული ორგანიზმების ნაშთებით არის აგებული. ნამარხებიდან ხშირია მხართფეხიანები, ფორამინიფერები და კალციტის სპიკულები. ამასთან უკანასკნელნი მეტწილად პელიტომორფულ უბნებს უკავშირდებიან.

ამ რაიონში ლიასის გამოსავლები ცნობილია აგრეთვე სოფ. ხუნევის დასავლეთით მდ. ნაპურალის მარჯვენა მხარეზე და მდ. ახალშევას გასწვრივ.

მდ. ნაპურალის მარჯვენა მხარეზე ლიასური ნალექების სიმძლავრე დიდი არ არის. წყებაში ქვევიდან ზევით გამოიყოფა: 1. პსამიტური არკოზული ქვიშაქვები, 2. ალევრიტული კვარციანი-ქარსიანი ქვიშაქვები და 3. მარცვლოვანი კირქვები, რომლებსაც ზევით ბაიოსური ტუფოგენური წყება მოჰყვება.

პირველი დასტის ქვიშაქვების შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენენ: კვარცი, ოლიგოკლაზი, მიკროკლინი, მუსკოვიტი, კვარცპორფირული ქანის, მიკროპეგმატიტის და კვარციტული ფიქლის ნატეხები. მასალა მკაფიოდ კუთხედიანია. მარცვალთა ზომა 0,3—0,9 მმ ფარგლებში მერყეობს. ცემენტი ზოგ უბანში შესამჩნევად ბევრია, ზოგან კი ძლიერ ცოტაა. ცემენტის მასა თიხოვან-სერიციტულ ნივთიერებას წარმოადგენს. დასტის ზედა ნაწილში ქვიშაქვის შედგენილობა არ იცვლება. მხოლოდ კლებულობს მარცვალთა ზომა და ნახშიროვანი ნივთიერებაც ჩნდება. მარცვალთა ზომა აქ საშუალოდ 0,1—0,4 მმ უდრის.

მეორე დასტის ქვიშაქვები მცენარეული ნაშთებით მდიდარი ალევროლიტებია. მარცვალთა ზომა—0,01—0,2 მმ. შემადგენელი კომპონენტები აქ იგივეა, რაც პირველ დასტაში იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ კომპონენტებს შორის ყველაზე მეტი კვარცი და ქარსია. ბევრად მატულობს ქლო-

რითული ცემენტის რაოდენობა. პირველი და მეორე დასტის ქვიშაქვების რაოდენობრივი მინერალური შედგენილობა შემდეგს გვიჩვენებს:

დასტები	კომპონენტები	დასტის ქვედა ნაწილი	დასტის ზედა ნაწილი
1 დასტა	ცემენტი . . . . .	48,0 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	42,7 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
	კვარცი . . . . .	37,1 "	39,5 "
	მინდვრის შპატი . . . . .	5,5 "	8,9 "
	ქარსი . . . . .	1,2 "	3,7 "
	ქანის ნატენები . . . . .	2,4 "	5,5 "
2 დასტა	ცემენტი . . . . .	59,7 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	—
	კვარცი . . . . .	23,5 "	—
	მინდვრის შპატი . . . . .	7,1 "	—
	ქარსი . . . . .	9,5 "	—

სულ ზედა, მესამე დასტა ქვედა ნაწილში მოვარდისფრო პელიტომორფული კირქვით არის წარმოდგენილი. ნამარხებს საერთოდ ცოტას შეიცავს, უმთავრესად მხართფეხიანებს. ასევე ცოტაა ქვიშაკვარცის და მინდვრის შპატის მარცვლების სახით.

დასტის ზედა ნაწილში წითელი ფერის ნიჟარებიანი კირქვებია განვითარებული. ნამარხებიდან აქ ძირითადად ბრაქიოზოდებსა და ფორამინიფერებს ვხვდებით. ძლიერ ცოტაა კვარცისა და მინდვრის შპატის მარცვლები.

ლიასური ნალექების ეს ზოლი უშუალოდ ებმის მდ. ახალშევის ლიასური ნალექების გამოსავლებს, მაგრამ აქ ლითოლოგიურად რამდენადმე განსხვავებული დასტები გვაქვს. ამ გამოსავლებში ზევიდან ქვევით გამოიყოფა:

1. შავი ფერის ქანი, გამდიდრებული მწვანე მინერალის უბნებით და ზოლვით,
2. წითელი კირქვები მწვანე მინერალის ზოლებით. მწვანე მინერალი განსაკუთრებით ბევრია დასტის ქვედა ნაწილში,
3. მწვანე ფერის ქანი შავი უბნებით,
4. მოვარდისფრო ნიჟარებიანი კირქვა, ზოგ უბანში ბრეჭიული აგებულების,
5. ღია მორუხო, დაფიქლებული და ინიექციურებული ქანი,
6. გასერიციტებული და გატალკებული ზოლი,
7. ქარს-კვარციანი ქვიშაქვები მომწვანო-მოყვითალო ფერის,
8. მიგმატიტები.

1, 3 და 5 დასტის შემადგენელი ქანები კალციტით გამდიდრებულ სერპენტინიტებს წარმოადგენენ. კალციტი ძარღვების სახით ან ცალკე უბნებად არის სერპენტინის მასაში გაბნეული. სერპენტინი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ახასიათებს ღია მწვანე ფერი, ფირფიტოვანი აგებულება და დაბალი ინტერფერენციული ფერი. გარდატეხის მაჩვენებელი  $N_g = 1,570 \pm 0,02$ ,  $N_p = 1,563 \pm 0,02$ ;  $N_g - N_p = 0,007 - 0,009$ . ამ თვისებების მიხედვით მინერალი ანტიგორიტს მიეკუთვნება.

აღწერილი ქანის მინერალოგიური შედგენილობა მოცულობით პროცენტებში ასეთია (დასტა 1):

ანტიგორიტი . . . . .	49—63 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
კალციტი . . . . .	29—39 <sup>0</sup> / <sub>0</sub>
მაგნეტიტი-ქლორიტი . . . . .	7—12 <sup>0</sup> / <sub>0</sub>

დასტა მე-6 ქანი ძლიერ არის შეცვლილი. იგი თითქმის მთლიანად სერიციტისა და ტალკისაგან შედგება.

დასტა მე-2 ქანი არსებითად წითელი ფერის კირქვას წარმოადგენს, გამდიდრებულს ანტიგორიტის ზოლებით. ქანი პელიტომორფული, უნამარხო კალციტისაგან შედგება, რომელშიც ზოლების სახით ანტიგორიტის და შავი ფერის ორგანული ნივთიერების ზოლები გამოიყოფა. მსხვილკრისტალური კალციტი მხოლოდ ძარღვებში ჩანს, უკანასკნელები კი ამ დასტის კირქვებში საერთოდ ბევრია. მე-4 დასტის კირქვა პელიტომორფული კალციტისაგან არის შემდგარი; შეიცავს, არცთუ დიდი რაოდენობით, ბრაქიოზოდების და წყალმცენარეების ნაშთებს, შესამჩნევად ქვიშიანია და ზოგ უბანში კლასტურ ხასიათს ატარებს. ქვიშიანი ნაწილის შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს: კვარცი, მუსკოვიტი და ქანის ნატეხები. უკანასკნელთა შორის კვარცპორფირის ნატეხებიც გვხვდება.

დასტა მე-7 ამ კრილში ლიასური ნალექების ფუძეს წარმოადგენს. მასში ალევრიტული და პსამიტური ქვიშაქვების მორიგეობა ჩანს. დასტის ზედა ნაწილში ქვიშაქვის ცემენტი კარბონატულია, ხოლო ქვედა ნაწილში კი ქლორიტული. შემადგენელი კომპონენტები ვერტიკალურ კრილში არ იცვლება და წარმოდგენილია კვარცით, მიკროკლინით, ოლიგოკლაზით, ქარსით, ქლორიტით და აგრეთვე კრისტალური მასივის ქანთა და კვარცპორფირების ძირითადი მასის ნატეხებით. დასტის სულ ქვედა ნაწილში, ქლორიტულ ცემენტთან ერთად ბევრია გაქლორიტებული ქანის ნატეხებიც. საერთოდ, ეს ნაწილი მადნის მინერალებსაც ბევრს შეიცავს. დასტის შემადგენელი ქვიშაქვების მინერალოგიური შედგენილობა %-ში და მარცვალთა ზომა (მმ-ში) ასეთია:

	დასტის ზედა ნაწილი		დასტის შუა ნაწილი		დასტის ქვედა ნაწილი	
	რაოდენობა %-ში	ნაწილაკთა ზომა (მმ-ში)	რაოდენობა %-ში	ნაწილ. ზომა (მმ-ში)	რაოდენობა %-ში	ნაწილაკთა ზომა (მმ-ში)
კვარცი . . . . .	36,5	0,02—0,25	30,4	0,1—0,3	30,5	0,3—1,2
შინდერის შპატი . . . . .	10,4	0,01—0,2	10,8	0,1—0,16	12,2	0,1—1,5
ქარსი . . . . .	5,6	0,01—0,2	4,3	0,1—0,16	1,3	0,4—0,8
ქანის ნატეხები . . . . .	1,5	0,1—0,5	4,4	0,5—1,4	2,8	0,5—1,5
ცემენტი . . . . .	46,0	—	50,0	—	52,9	—

ასეთია ლიასური ნალექების საერთო ლითოლოგიური ხასიათი მდ. ძირულის ხეობის ნაწილში მდ. საქარულიდან სოფ. ხუნევაამდე. როგორც აღწერილი კრილებიდან ჩანს ლითოლოგიურად ლიასისათვის დამახასიათებელი ყველა ფაციესები მხოლოდ ერთ უბანზეა წარმოდგენილი; სახელდობრ, სოფ. ვერტყვილას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ახალშევისა და ნაპურალს შორის. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საში დასტა გამოიყოფა: ქვედა—არკოზული ქვიშაქვებისა, შუა—კვარც-ქარსიანი ქვიშაქვებისა და ზედა—კირქვიანი.

რაც შეეხება სხვა ადგილებს, იქ ლიასი არასრულია. ასე მაგალითად, მდ. საქასრულაზე მხოლოდ კირქვიანი ფაციესია წარმოდგენილი, ასევე მდ. ბჟინეურაზე, სადაც კირქვების ქვეშ მდებარე 0,5 მ სიმძლავრე ქვიშაქვის დასტას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მთელი ლიასი მხოლოდ კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი. უფრო აღმოსავლეთით, ვერტყვილის ქალასთან ჩხრიალეთის ღელეში კირქვებთან ერთად ქვიშაქვებსაც ვხვდებით, მაგრამ უკანასკნელთა რაოდენობა აქ დიდი არ არის. ამ კრილიდან 1 კმ აღმოსავლეთით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ლითოლოგიურად სრული კრილი გვაქვს, მაგრამ ნალექების საერთო სიმძლავრე დიდი არ არის.

ნალექების ამგვარი ცვალებადობა სიმძლავრისა და ფაციალური ბუნების მიხედვით მათი ტექტონაკური მდებარეობით აიხსნება. უკანასკნელი გარემოება ადრევე აქვს აღნიშნული ს. ჩიხელიძეს [11], რომელმაც გამოსავლების ყველა ეს უბანი წყვეტის ერთ ხაზს დაუკავშირა.

ამავე წყვეტის ხაზთან არის დაკავშირებული ახალშევის მარჯვენა მხარეზე აღწერილი ლიასური ნალექები. მაგრამ ამ გამოსავლებში ყუოადლებას იპყრობს კირქვებთან მორიგეობაში მყოფი სერპენტინიტის ძარღვისებური სხეულები, რომელთა წარმოშობა ზემოაღნიშნულ ტექტონიკურ მოვლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასაკობრივად ეს ქანები ბაიოსური უნდა იყვნენ, რადგანაც მსგავსი ქანების არსებობა ამავე რაიონში ს. ჩიხელიძეს აქვს შენიშნული ბაიოსურ პორფირიტულ წყებაში.

ლიასი წყვეტილი ზოლის სახით გამოიყოფა აგრეთვე მდ. ჩხერიმელის ხეობაში. აქ ეს ნალექები შემდეგ ადგილებში გვხვდება: მდ. ქარტალაზე და წიაღის ღელეში, ამ ღელეთა შორის წყალგამყოფზე, მარელისის ქედზე, მდ. ვახანის წყალზე და ლაღვანთაზე.

მდ. ქარტალაზე ლიასური ნალექები მხოლოდ ქვიშაქვების ფაციესით არის წარმოდგენილი. კირქვები ღელეში არ ჩანს და მათი გამოსავლები, ლოდნარის სახით, მარტო ღელეთა შორის წყალგამყოფზე გვხვდება.

მარცვალთა სიმსხოსა და შედგენილობის მიხედვით 2 დასტა გამოიყოფა: ქვედა—პსეფიტ-პსამიტური არკოზული ქვიშაქვები და ზედა—ალევიტული კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვები.

ქვედა დასტის ქვიშაქვები მსხვილ- და საშუალორიყიანი კონგლომერატებით იწყება. კონგლომერატის რიყეებს შორის თვალით ადვილად გამოირჩევა კვარცპორფირების, გრანიტებისა და კრისტალური ფიქლების ქვარგალები. ზევით ეს კონგლომერატები თანდათან წვრილრიყიანი ხდება და გადადის უხეშმარცვლოვან ქვიშაქვებში. უკანასკნელნი არათანაბარმარცვლოვან აგებულებას იჩენენ. მარცვალთა სიმსხო 0,1—0,5 მმ ფარგლებში იცვლება; შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს: კვარცი, მიკროკლინი, ალბიტი და სხვადასხვა ქანთა ნატეხები.

კვარცი ორგვარია: მკაფიოდ კუთხედი, კატაკლაზური, მდიდარი მტვრისებური ჩანართებით, და არაკატაკლაზური, კიდეების გასწვრივ ძირითადი მასის უბეებით და ჩანართებისაგან თავისუფალი. პირველი სახეობის წყარო ძველი კრისტალური მასივია, მეორესი კი კვარცპორფირული წყება. მიკრო-



კლინი და ალბიტა კუთხედ მარცვლებს ჰქმნიან; ამასთან პირველი გაცილებით საღია მეორეზე. ქანის ნატეხები ზომით მინერალთა მარცვლებზე მსხვილია და ძირითადად წარმოდგენილია ქლორიტული ფიქლებით და მკაფე ეფუზივების შეცვლილი ნატეხებით. ქვიშაქვის ცემენტი შესამჩნევი რაოდენობითაა. იგი თიხოვან-სერიციტულ მასას წარმოადგენს.

ზედა დასტის ქვიშაქვები ვერტიკალურ კრილში თითქმის ერთნაირი არის და მათში მხოლოდ ცემენტის ნივთიერება ცვალებადობს; დასტის ზედა ნაწილში ცემენტი კარბონატულია, შუა და ქვედა ნაწილში კი ქლორიტული, თიხა-სერიციტულ მასებთან ერთად.

ქვიშაქვები, რომელთაც კარბონატული ცემენტი აქვს, შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: კვარცის, ქარსის და მთლიანად გათიხებულ და ზოგ უბანში ნაწილობრივად გაქლორიტებულ ქანთა ნატეხებისაგან. კარბონატულ ცემენტში განახშირებულ მცენარეულ ნაშთებთან ერთად ფორამინიფერების და იშვიათად კრინოიდების ნატეხებს ვხვდებით.

ამავე დასტის ქვედა ნაწილში კლასტური მასალა ცემენტზე მეტია. პირველი უმთავრესად კუთხედი, კატაკლაზური და ზოგჯერ არაკატაკლაზური კვარცის, გათიხებული მინდვრის შპატის, შეცვლილი ქანის ნატეხებისა და მუსკოვიტისაგან შედგება (მარცვალთა ზომა 0,01—0,3 მმ უდრის). ცემენტი კი ქლორიტიან თიხოვან-სერიციტულ მასას წარმოადგენს. შეცემენტების ტიპი ორივე შემთხვევაში ბაზალურია. ასეთია ქარტალის ღელის გასწვრივ ლიასური ნალექების ლითოლოგიური ხასიათი.

ლიასური ნალექების მცირე სიმძლავრის გამოსავალი სოფ. ქარტალის ჩრდილო განაპირა უბანშიც ჩანს. აქ ძველი ნაეკლესიარის მახლობლად შემდეგი დასტები გამოიყოფა (ზევიდან ქვევით):

1. ბაიოსის პორფირიტული წყება, 2. თეთრი, ზოგ უბანში რუხი კრისტალური კირქვები, უმთავრესად ლოდნარის სახით, 3. ქარსითა და განახშირებული მცენარეებით მდიდარი რუხი ფერის ალევრიტული ქვიშაქვები წყვეტილი გამოსავლების სახით; აქვე მძლავრი მეწყერია—ჩამომეწყრილ ზოლში მოლურჯო თიხებისა და ალევრიტული ქვიშაქვების მცირე უბნები ჩანს, 4. არკოზული ქვიშაქვების და კონგლომერატების დასტა, 5. ძველი კრისტალური სუბსტრატი.

ამ კრილში წარმოდგენილი დასტები ლითოლოგიურად არაფრით განსხვავდება ზემოთ აღწერილი გამოსავლების ქანებისაგან. ამიტომ მათ ცალკე დახასიათებას აქ ალარ მოვიყვანთ.

სხვა სურათი ჩანს წიაღის ღელეში. ეს ღელე სოფ. მოლითს ჩამოუდის დასავლეთით და მდ. ჩხერიმელას მარჯვენა მხრიდან ერთვის. შესართავთან ახლოს ღელეში შიშვლდება ჯერ ბაიოსური პორფირიტები, შემდეგ კი გრანიტები. გრანიტული სხეული ამ ადგილას ტექტონიკურად არის ამოწეული და ჩრდილო მხარით ლიასურ ნალექებზეა მიწყვეტილი. მდინარე საკმაოდ დიდ მანძილზე ჰკვეთს ლიასურ ნალექებს და კალაპოტის გასწვრივ თითქმის უწყვეტ გაშიშვლებებს ჰქმნის.

ამ ღელეში ლიასური ნალექები წარმოდგენილია ქვიშაქვებით და კირქვებით.

ქვიშაქვიანი ფაციესი მთელ გაშიშვლებაში ერთგვაროვანია და ქარს-კვარციანი ალფერიტული ქვიშაქვების დასტით არის წარმოდგენილი.

გარეგნულად ეს ქვიშაქვები რუხი ან ყვითელი ფერის, ქარსის ფურცულა-კვებით მდიდარ ქანებს წარმოადგენენ, რომლებიც ზოგ უბანში მცენარეულ ნაშთებსა და პირიტის კონკრეციებს შეიცავენ. ქვიშაქვის მთავარი შემადგენელი კომპონენტებია: კვარცი, ქარსი, შეცვლილი მინდვრის შპატი და ქანის ნატეხები. ცემენტი დასტის ზედა ნაწილში კარბონატულია, ქვედაში კი ქლო-რიტულ-თიხოვან-სერიციტული. კვარცი მეტ შემთხვევაში მკაფიოდ კუთხედი დაატალღებრივი ჩაქრობითაა, თუმცა ისეთი მარცვლებიც გვხვდება, რომელთაც ტალღებრივი ჩაქრობა არ ახასიათებს. მარცვალთა ზომა 0,02—0,1 მმ არ აღემატება. მინდვრის შპატები საღ მდგომარეობაში იშვიათად გვხვდება და უმეტესი ნაწილი შესამჩნევად გათიხებულია. ქანთა ნატეხებიც შეცვლილი არის ქლორიტითა და პელიტური მასებით. ნატეხების დიდ ნაწილს კარგად დამ-რგვალება ახასიათებს. განსაკუთრებით კარგადაა დამრგვალებული კვარციანი ალბიტოფირის ტუფის ნატეხები. ქარსი ცემენტს უკავშირდება და მუსკოვი-ტის და ბიოტიტის დაღვერილი ფურცულაკებით არის წარმოდგენილი. ძირი-თადად ამგვარია ქვიშაქვის ყველა შრე, რომელიც კი წიაღის ღელეში გვხვდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოსავლების მთელ სიმძლავრეზე ქვიშა-ქვები თანაბარ მარცვლოვანობას ინარჩუნებენ და მარცვალთა სიმსხოს ცვალებადობას ქვევიდან ზევით ადგილი არა აქვს. ერთგვარი განსხვავება ჩანს ცემენტის შედგენილობაში, დასტის ზედა ნაწილში ცემენტი კარბონატულია და კარბონატი ექვს ვარეშე პირველადია, რადგანაც მიკროფაუნის შემცვე-ლობით ხასიათდება. დასტის ქვედა ნაწილში ცემენტის შედგენილობა ძირი-ანად იცვლება და კარბონატის მაგიერ აქ ქლორიტიანი თიხითა და სერიცი-ტით არის წარმოდგენილი. შეცემენტების ტიპი ორივე შემთხვევაში კონტაქ-ტურია.

სხვანაირი სურათი ჩანს ღელის მარჯვენა მხარეზე წიაღის ღელესა და ქარტალის წყალგამყოფზე. აქ მოლითის მარმარილოების საბადოს უბანზე ლიასური ნალექები კირქვებისა და ქვიშაქვების ფაციესითაა წარმოდგენილი. ქვიშაქვების ფაციესში ორი დასტა გამოიყოფა: ქვედა—არკოზული და ზედა—ქარს-კვარციანი. უკანასკნელი წინა ქრისტში აღწერილი ქვიშაქვების უშუალო გაბრძნლებას წარმოადგენს და მათგან არაფრით განსხვავდება. რაც შეეხება ქვედა დასტის არკოზულ ქვიშაქვებს, ისინი ზედა დასტის ქვიშაქვე-ბისგან უმთავრესად მარცვლის სიმსხოთი და ნაწილობრივ შედგენილობითაც განსხვავდებიან. ეს ქვიშაქვები მარცვლის სიმსხოს მიხედვით პსამიტოლითებს მიეკუთვნებიან. მათ შედგენილობაში მონაწილეობას იღებს: გრანიტული და ეფუზიური კვარცი, მუსკოვიტი, ბიოტიტი, კალიშპატი, მყავე პლაგიოკლასი და ქანის ნატეხები, წარმოდგენილი კვარცპორფირების, კრისტალური ფიქლებისა და გრანიტოიდების ნატეხებით. ცემენტი თიხა—სერიციტულია.

კირქვების გამოსავლები ამ ზოლზე ორ ადგილას გვხვდება: საკუთრივ

წიალის ლელის ქვედა ნაწილში და ამავე ლელის მარჯვენა მხარეზე ე. წ. მოლითის „მარმარილოების“ საბადოს უბანზე.

წიალის ლელში განვითარებული კირქვები ღია რუხი ან ოდნავ მოვარდისფრო შეფერვით ხასიათდება. დიდი რაოდენობით შეიცავს განამარხებულ ორგანიზმებს, წარმოდგენილს მხართფეხიანებით, ფორამინიფერებით და წყალმცენარეებით. შედარებით ცოტაა კლასტური მასალა კვარცისა და მინდვრის შპატის სახით. დასტის ქვედა ნაწილში განამარხებული ორგანიზმების ნაშთების რაოდენობა თანდათან მცირდება, სამაგიეროდ მატულობს კლასტური მასალა და სულ ქვედა დასტები ამის გამო ქვიშიან კირქვებში გადადიან. კლასტური მასალა ამ უქანასკნელში კვარციით, კვარციტული ფიქლების ნატეხებით და მცირეოდენი მუსკოვატით არის წარმოდგენილი.

სხვანაირია მოლითის „მარმარილოების“ საბადოს უბანზე წარმოდგენილი კირქვები. უქანასკნელნი აქ, ნაწილობრივ გამარმარილოებულნი არიან და თავისებური მოზაიკით ხასიათდებიან. „მარმარილოების“ ამ გამოსავლების ნიმუშები გ. სმირნოვს და მ. როყვას [8] აქვთ მიკროსკოპულად შესწავლილი. მათი მონაცემებით გამარმარილოებული კირქვები მთელ სიმძლავრეზე ერთნაირია. ჩვენ მიერ შეგროვილი კირქვის ნიმუშებია შესწავლაც ამას გვიჩვენებს.

გარეგნულად მოლითის კირქვა რუხი, ოდნავ მოწითლო ფერისაა, შეიცავს კალციტის ჟეოდებს და ძარღვისებურ გამონაყოფებს. ეს ძარღვები პელიტომორფული კირქვის კუთხედ ნატეხებს აცემენტებს და ამიტომ, კირქვას ბრექჩიულ სახეს აძლევს. კალციტი ძარღვებში და ჟეოდებში საკმაოდ მსხვილკრისტალურია.

ძარღვებს შორის მოქცეული კირქვის ნატეხები ძირითადად პელიტომორფული კალციტის, თიხოვანი მასების და ზოგჯერ რკინის ქანგის ლაქებისაგან შედგება. ცოტაა კვარცის წვრილი მარცვლები. კირქვა ნაზარხიანია და ვხვდებით ბრაქიოპოდებს, ფორამინიფერებს და ღრუბლის კალციტის სპიკულებს.

მარელისის ქედზე ლიასური ნალექების გამოსავლები, ტექტონიკური აშლილობის გამო, წყვეტილ ხასიათს ატარებს. ისე, როგორც სოფელ ქარტალში, აქაც სამი დასტა გამოიყოფა (ქვევიდან ზევით):

1. უხეშმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვები, რომლებშიაც გრანიტული მასალის მსხვილი ნაგორები კენჭებიც ჩანს. ქვიშაქვების უშუალო შეხება კრისტალურ მასივთან ნაყარით დაფარვის გამო არ ჩანს, 2. წვრილმარცვლოვანი, უმთავრესად ალევრიტული ქარსიან-კვარციანი ქვიშაქვები და 3. კირქვები, საკმაოდ მსხვილკრისტალური, უმთავრესად მოვარდისფრო ფერის.

ეს დასტები ლითოლოგიურად წინა ქრილებში აღწერილი დასტებისაგან არაფრით განსხვავდებიან. ამიტომ მათ დახასიათებას აქ აღარ მოვიყვანთ.

ლიასური ნალექების იზოლირებული გამოსავლები გვაქვს მდ. ვახანის წყალზე. ეს მდინარე სადგურ მოლითსა და მარელისს შორის ერთვის მდ. ჩხერიმელას მარცხენა მხრიდან. ლიასურ ნალექებს მდინარის შესართავის მიდამოები უჭირავთ; აქ, ტექტონიკურად ამოწეულ ძველი ხნოვანების, ვარდისფერ გრანიტებს თავზე ადევს: 1. მოყვითლო-მორუხო ფერის, უმთავრესად პსეფი-

ტური არკოზული ქვიშაქვები, რომლებიც ზევით საშუალომარცვლოვან ქვიშაქვებში გადადის. ქვიშაქვების შემადგენელი მასალა ძირითადად გრანიტულია და მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი კვარცპორფირების მასალით, კვარციტებით და კრისტალური ფიქლების ნატეხებით არის წარმოდგენილი.

ქვიშაქვის ცემენტი სერიციტულ-კაოლინურია.

2. კარგად დაზრევებული, მცენარეული დეტრიტუსით მდიდარა რუხი ფერის, კვარციან-ქარსიანი ალევრიტული ქვიშაქვები, სერიციტული და ზოგან კარბონატული ცემენტით. დასტის შუა ნაწილში ეს ქვიშაქვები პირიტის კონკრეციებსა და ქვიშიანი კირქვის ლინზებს შეიცავს.

3. თეთრი ფერის პსამიტური კვარციანი ქვიშაქვების დასტა. ქვიშაქვების ცემენტი უმთავრესად კარბონატულია. მარცვალთა ზომა 0,1—1,4 მმ ფარგლებში მერყეობს. ქვიშაქვები თხელშრეებრივია და აქა-იქ შეიცავს კონკრეციების მსგავს მომწვანო-მორუხო ფერის გაკვარცებულ კირქვებს;

4. თეთრი, ზოგ უბანში მომწვანო ფერის, მსხვილმარცვლოვანი კირქვების დასტა. დასტის ქვედა ნაწილში ბრექჩიული კირქვის შრე გამოიყოფა. უკანასკნელი კრისტალური კალციტისა და პელიტომორფული კირქვის ნატეხებისაგან არის შემდგარი. ზედა, მომდევნო შრეები თეთრი ფერის, მსხვილმარცვლოვანი (მარცვალთა ზომა 0,2—0,3 მმ), სრულკრისტალური კირქვებით არის აგებული. მომწვანო ფერის კირქვებს უბნობრივი გავრცელება და ნაწილობრივად გაქლორიტება ემჩნევა. მათში ჰიბზიტის მცირე გამონაყოფებსაც ვხვდებით.

ამის შემდეგ ხარვეზია გაშიშვლებაში. მერე კი ბაიოსის პორფირიტული წყების ძირითადი გამოსავალი ჩანს.

ამრიგად, მდ. ვახანის წყალზე ლიასური ნალექების ორგვარი ფაციესია განვითარებული—ქვიშაქვებისა და კირქვების. ქვიშაქვები მინერალოგიური შედგენილობის მიხედვით ორგვარია: არკოზული და მის ზემოთ მომდევნო კვარციან-ქარსიანი. ორივე ქვიშაქვის ძირითადი კომპონენტები გრანიტული მასალით არის წარმოდგენილი, მაგრამ მათში მცირე რაოდენობით შეავე ეფუზივების და კრისტალური ფიქლების ნატეხებსაც ვხვდებით. კირქვიანი ფაციესი ძირითადად სრულკრისტალური გამარმარილოებული კირქვებით არის წარმოდგენილი, ნაწილი ამ კირქვებისა გაკვარცებულია და კონტაქტური ზეგავლენის ნიშნებს ატარებს; კირქვიანი დასტის შუა ნაწილში ჰიბზიტის და გრანატიანი უბნები გამოიყოფა. ზოგ ადგილას ქლორიტის კონცენტრაციაც ჩანს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ზოლები მეტწილად ბრექჩიული კირქვებით არის წარმოდგენილი.

ლიასური ნალექების არამძლავრი გამოსავლები ვაკეს მდ. ლაღვანთაზე. ეს მდინარე სადგურ მარელისის დასავლეთით მოედინება და სოფ. დიდ ვაკესთან ერთვის მდ. ჩხერიმელას მარცხენა მხრიდან. ლიასური ნალექები მდინარის მარჯვენა მხარეზე გამოდიან, შესართავიდან 400—500 მეტრის მანძილზე. ამ გამოსავლებში ლიასი კრისტალურ სუბსტრატზეა ტექტონიკურად განლაგებული და ორგვარი ფაციესით არის წარმოდგენილი—ქვიშაქვებითა და კირქვებით.

ქვიშაქვებს ნორმალურად კრილის ქვედა ნაწილი უკავიათ. მარცვლის სიმსხოს მიხედვით ისინი ძირითადად პსამიტებს წარმოადგენენ. შედგენილობით კი არკოზულ ქვიშაქვებს მიეკუთვნებიან. ქვიშაქვის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობს: დაკუთხული, კატაკლაზური და ზოგჯერ ძლიერ დამსხვრეული კვარცი, მცირედენი, მაგრამ საღად შენახული კალიშპატი, შეცვლილი პლაგიოკლაზი და ქერცლოვანი მუსკოვიტი. მარცვალთა ზომა 0,09—1,1 მმ ფარგლებში იცვლება. ცემენტი საკმაოდ უხვია და უმთავრესად სერიციტულ-კაოლინური ნივთიერებით არის წარმოდგენილი. ამ დასტის ქვიშაქვის რაოდენობრივი მინერალოგიური შედგენილობა ასეთია:

კვარცი	. . . . .	51,0%
მინდვრის შპატი	. . . . .	9,2%
მუსკოვიტი	. . . . .	2,8%
სერიციტულ-თიხოვანი ცემენტი	. . . . .	37,0%

ნიმ. № 290.

კირქვიანი ფაციესი თეთრი, ზოგ უბანში მორუხო და ზოგან მოწითალო ფერის მსხვილმარკლოვანი კრისტალური კირქვებით არის წარმოდგენილი. როგორც დასტის ქვედა ნაწილში, ისე ზედაში, ალაგ-ალაგ ჩანს ტერიგენული მასალით გამდიდრებული უბნები. ერთი ასეთი უბანი დასტის ფუძეში გამოიყოფა, სადაც გრანიტული მასალა, უქთავრესად კვარცით არის წარმოდგენილი (40%-). აქვე კირქვებს ჰემატიტით გამდიდრება ემჩნევა, რის გამოც მათ მოწითალო შეფერვა აქვს. ტერიგენული მასალით გამდიდრებული მეორე უბანი დასტის ზედა ნაწილს უკავშირდება, სადაც ტიპური ქვიშიანი კირქვები გვაქვს. ამ უკანასკნელში ქვიშიანი ნაწილი კუთხედი კვარციითა და მუსკოვიტის ფურცლებით არის წარმოდგენილი.

ტერიგენული მასალისგან თავისუფალი კირქვები უმთავრესად თეთრი ფერისაა და ძირითადად შედგება მსხვილკრისტალური (1,5 მმ სიდიდის) კალციტისაგან. კალციტის მარცვლები ერთმანეთს მჭიდროდ ეხება და დაკბილულ კონტურებს იძლევა. მარცვლების დიდი ნაწილი სრულიად სუფთაა, ნაწილი კი ორგანიულ ან პელიტური ნივთიერების მტვრისებურ მასებს შეიცავს. ასეთია ჩხერიმელის ხეობაში გავრცელებული ლიასური ნალექების საერთო ლითოლოგიური ხასიათი.

## 2. ლიასური ნალექების ლითოლოგიური ხასიათი მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე

მასივის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ლიასის ზოლის გამოსავლებს ტექტონიკურ მოვლენათა გამო წყვეტილი ხასიათი აქვს.

მარელის-მოლითის შემდეგ ამ ნალექების ცალკეულ გამოსავლებს სურამის რაიონში ეხვდებით მდ. ორხევიდან მოყოლებულს მდ. ბურნეულის ხეობამდე. მცირე სიძლიერის გამოსავლები აღინიშნება აგრეთვე სოფ. ჩორჩანასა და წნელის შორის.

სურამის რაიონში (მდ. ორხევეზე) ლიასი კონგლომერატებისა და ქვიშაქვების ფაციესით არის წარმოდგენილი, ხოლო სოფ. ცედანსა და ბრილის რაიონში (მდ. შუა ღელისა და ბურნეულის ტოტებში) ნიჟარებიანი კირქვე-

ბით. ამასთან უკანასკნელთა გამოსავლებს მთელ ამ ზოლზე ცვალებადი სიმძლავრე ახასიათებს და მეტწილად ლოდნარის სახით გვევლინება.

ამ ზოლის კირქვები ლითოლოგიურად შროშის კირქვების ანალოგიურია. ქვიშაქვების ფაციესით წარმოდგენილი ლიასის შედარებით მძლავრი გამოსავალი ძირითადად ორ ადგილას გვხვდება: სოფ. ბიჯნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე, მდ. ორხევსა და შუა ლყლეს შორის და ორხევის მარცხენა მხარეზე ქართლ-იმერეთის გზის გასწვრივ. ორივე ეს გამოსავალი ტექტონიკურ ხასიათს ატარებს და ძველი ხნოკანების გრანიტებზეა მიწყვეტილი.

ბიჯნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე ქვევიდან ზევით შემდეგი დასტები გამოიყოფა:

1. საშუალორიყიანი კონგლომერატები, განლაგებული უშუალოდ ვარდისფერ გრანიტებზე, რომელშიაც ლინზების სახით საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვები გამოიყოფა.

2. პსეფიტური ნათლად შრეებრივი ქვიშაქვები, რომლებიც ზევით საშუალო მარცვლოვან პსამიტურ ქვიშაქვებში გადადიან.

3. ქვედა ნაწილში მოიისფრო, ზედა ნაწილში კი რუხი ფერის ქარსიანი ალფერიტული ქვიშაქვები. დასტის შუა ნაწილში ცალკე შრის სახით პსამიტური ქვიშაქვა გამოიყოფა. დასტის სულ ზედა ნაწილში ლინზებრივი ფორმის ქვიშიანი კირქვაც ჩანს.

1 დასტის შემადგენელ კონგლომერატულ მასალას კარგად დამრგვალება ემჩნევა. შემადგენელი ქვარგვლების ზომა 20—50 მმ ფარგლებში მერყეობს და ისინი საკმაოდ მტკიცედაა შედუღაბებული. დუღაბი ძირითადად უხეშმარცვლოვან არკოხს წარმოადგენს. ქვარგვლებს შორის გამოირჩევა (პროცენტებში):

- 1. კვარცპორფირები, ალბიტოფირები და კვარცპორფირის ვიტროკლასტური ტუფები . . . . . 80%
- 2. მიკროგრანიტი . . . . . 5,0%
- 3. მიკროპეგმატიტი . . . . . 5,0%
- 4. ძარღვის კვარცი . . . . . 10,0%

ამავე კონგლომერატებში ლინზებად გამოყოფილი ქვიშაქვა არკოხულია და ზევით მდებარე დასტის ქვიშაქვებისაგან არ განსხვავდება.

დასტა მე-2 მსხვილ და საშუალომარცვლოვანი პსამიტური არკოხული ქვიშაქვებისაგან შედგება. ქვიშაქვების შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს: კვარცი, მინდვრის შპატი, მუსკოვიტი და სხვადასხვა ქანის ნატეხი. ცემენტის რაოდენობა ცვალებადობს და წარმოდგენილია კაოლინ-სერიციტული მასით. კვარცი ორგვარია—გრანიტული და ეფუზიური. მარცვალთა ზომა 0,06—1,3 მმ უდრის.

მინდვრის შპატი ოდნავ გაპელიტებული მიკროკლინით და ალბიტით არის წარმოდგენილი. მუსკოვიტი ძირითადად ცემენტის მასას უკავშირდება და გვხვდება დაღვერილი ფურცელაკების სახით. ქანის ნატეხებს შორის ვარჩევთ კვარცპორფირის ძირითადი მასის ნატეხებს, მიკროპეგმატიტებს და მიკროგრანიტებს.

სრულიად ასეთივე შედგენილობის არის წვრილ და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვები.

აქვე მოგვყავს ამ ქვიშაქვების რაოდენობრივი მინერალური შედგენილობა %-ში:

კვარცი	30,5%
მინდვრის შპატი	7,5%
მუსკოვიტი	3,4%
ქანის ნატეხები	18,5%
ცემენტი	40,1%

დასტა 3 ძირითადად აგებულია რუხი ფერის, ზოგ უბანში მცენარეულ ნაშთებით გამდიდრებული ალევრიტული კვარც-ქარსიანი ქვიშაქვებით.

ამ ქვიშაქვების მთავარი შემადგენელი კომპონენტებია კვარცი და მუსკოვიტი. პირველი მსხვილ და კუთხედ მარცვლებს ჰქმნის, მეორე კი ძლიერ წვრილ ფურცლაკებს და ქერცვლებსაც კი. ბევრად ნაკლებია მინდვრის შპატი, წარმოდგენილი გაპელიტებული მიკროკლინით და ალბიტ-ოლიგოკლაზით. ქანის ნატეხები აღარსად ჩანს. სამაგიეროდ ბევრია ნახშიროვანი ნივთიერება და პირიტის კონკრეციები.

დასტის ზედა ნაწილში წარმოდგენილი ქვიშიანი კირქვა ძირითადად შემდგარია პელიტომორფული კალციტისაგან, რომელშიც აქა-იქ გაბნეულია კვარცისა და გაქლორიტებული ქანის ნატეხები. ცოტაა აგრეთვე მიკროფაუნა, წარმოდგენილი ფორამინიფერებით.

ამ დასტისათვის დამახასიათებელი ქვიშაქვის რაოდენობრივი მინერალური შედგენილობა %-ში ასეთია:

1. კვარცი	68,6%
2. მინდვრის შპატი	11,0%
3. ნახშიროვანი ნივთიერება	1,8%
4. ცემენტი მუსკოვიტთან ერთად	18,6%

ასეთია ბიჯნისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედზე წარმოდგენილი ლიასური ნალექების საერთო ხასიათი.

ლიასის შემდეგი გამოსავლები ქართლ-იმერეთის გზის მახლობლად იმყოფება, მდ. ორხევის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჩუმათელეთიდან ზემოთ 1—1,5 კმ-ზე. აქ, ლიასი მეტწილად გარარეცხილია და დარჩენილი ნაწილი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი და არსებითად ერთ დასტას შეადგენს. დასტის ქვედა ნაწილში, სადაც უმთავრესად პსეფიტური და პსამიტური ქვიშაქვებია განვითარებული, კონგლომერატის ლინზებიც გვხვდება. ქვიშაქვებისა და კონგლომერატების შემადგენელი მასალა ერთნაირია და მყავე ქანების—გრანიტოიდებისა და კვარცპორფირების—გარეცხვის პროდუქტებით არის წარმოდგენილი. დასტის ზედა ნაწილში ქვიშაქვების შემადგენელ ნაწილაკთა სიდიდე თანდათან კლებულობს და სულ ზევით კვარცით მდიდარი ალევრიტული ქვიშაქვებია წარმოდგენილი. მაგრამ კონგლომერატის ლინზებს აქაც ვხვდებით. ყურადღებას იქცევს ამ კონგლომერატის რიყის ქვებს შორის კვარცის ქვიშაქვის კენჭების არსებობა. უკანასკნელთა აგებულებაში მოწაწილეობას დებულობს

კარგად დამრგვალებული კვარცი და ძლიერ ცოტა მინდვრის შპატი, წარმოდგენილი კალიშპატით და მყავე პლაგიოკლაზით. ცემენტიც ძლიერ ცოტაა და მეტწილად სერიციტულია. ლიასური წყების ასეთივე არამძლავრი გამოსავლებია სოფ. უწლევსა და ჩორჩანას შორის მდ. ხევაზე. ამ ზოლის ლიასი ქვიშაქვებითა და კირქვებით არის წარმოდგენილი; ქვიშაქვები, რომლებიც უშუალოდ კვარცპორფირების წყებაზე არიან განლაგებული, ტიპიურ არკოზებს წარმოადგენენ. მატი რაოდენობრივ-მინერალოგიური შედგენილობა ასეთი:

კვარცი . . . . .	48,3%
მინდვრის შპატი (მიკროკლინი, ოლიგოკლაზი) . . . . .	13,4%
მუსკოვიტი . . . . .	3,8%
მყავე ქანების ნატეხები . . . . .	2,4%
ცემენტი . . . . .	32,3%

ზევით მომდევნო კირქვის დასტის ქვედა ნაწილში რუხი ფერის კრისტალური კირქვაა განვითარებული.

კირქვა საკმაოდ ქვიშიანია. შემადგენელი კომპონენტების მიკროსკოპში დათვლა იძლევა:

კრისტალური კალციტი . . . . .	69%
კვარცი . . . . .	25%
მინდვრის შპატი . . . . .	3,8%
ქანის ნატეხები . . . . .	2,2%

კირქვის ამავე დასტაში ზემომომდევნო შრეებრივ კირქვები კრისტალურ აგებულებას თანდათან კარგავენ და კირქვის პელიტომორფულ სახესხვაობაში გადადიან. უკანასკნელნი ნამარხიანია. ნამარხებიდან ხშირია: მხართფეხიანები, ფორამინიფერები და ბელემნიტები. ასეთ კირქვებში ქვიშიანი ნაწილაკები ძლიერ ცოტაა. სამაგიეროდ ბევრია ჰემატიტი, რომელიც კირქვას წითელ ფერს აძლევს.

აღნიშნულ კირქვებს უშუალოდ თავზე ადევს მასივური და შრეებრივი ბრეჩიების დასტა. ბრეჩია მსხვილ და წვრილნატეხიანია; მასში თვალთ კარგად გაირჩევა კვარცპორფირების, რუხი გრანიტისა და მინდვრის შპატის ნატეხები.

მიკროსკოპში ასეთ ქანს მკაფიოდ გამოხატული კლასტური სტრუქტურა აქვს. შემადგენელი ნატეხები კრისტალური კალციტითაა შეცემენტებული. ცემენტი ზოგან მეტია, ზოგან კი ნაკლები. საერთო რაოდენობით კი იგი მთელი ქანის ერთ მესამედს შეადგენს.

ნატეხებს შორის გაირჩევა: კვარცპორფირები, გნეისისებური კვარციანი დიორიტი, კვარცი და მინდვრის შპატები (კალიშპატი და ოლიგოკლაზი). ნატეხების სიდიდე 0,3—5 მმ ფარგლებში იცვლება. ნატეხების ცემენტი კრისტალური კალციტით არის წარმოდგენილი. უკანასკნელის რაოდენობა ზოგჯერ მთელი ქანის 1/3-ს შეადგენს.

ასეთია ამ უბანზე ლიასური ნალექების საერთო ლითოლოგიური ხასიათი.



როგორც ზემომოყვანილი მოკლე დახასიათებიდან ჩანს, ლიასი აქ თითქმის ნორმული ჭრილით არის წარმოდგენილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფუძის კონგლომერატების არარსებობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ ზოლის სხვა ჭრილებისათვისაც. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ზოლიც შესაძლოა ტექტონიკურ შეხებაში იყოს კვარცპორფირებთან და საერთოდ ძველ კრისტალურ სუბსტრატთან. როგორც ვნახეთ, საკმაოდ თავისებურია ამ გამოსავლების ზედა ნაწილი, სადაც ბრეჩიების საკმაოდ მძლავრი დასტაა წარმოდგენილი. უკანასკნელი, ს. ჩიხელიძის აზრით [11], ბაიოსს უნდა ეკუთვნოდეს და არა ლიასს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს დასტაც ლიასის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, რომლის წარმოშობა იმ დროისთვის მასივის ამოწვევას უნდა გამოეწვიოს.

### 3. ლიასური ნალექების ლითოლოგიური ხასიათი მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე

ამ ნაწილში ლიასური ნალექები გვხვდება მდინარეების: კარტნაულის, ძირულის, ოტრიის, ჭერათხევის, ლოპანისწყლის და ფრონეს ხეობებში. ამ მდინარეთა შორის, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანმიმდევრობით არიან განლაგებული, მდ. ოტრიას დაახლოებით შუა ადგილი უჭირავს. ამიტომ, საკმარისი იქნება მდ. ოტრიის ლიასური დავახასიათოთ და აღვნიშნოთ, თუ რა ცვლილებას განიცდის ნალექები დასავლეთის ან აღმოსავლეთის მიმართულებით.

მდ. ოტრიის ხეობაში ლიასური უშუალოდ გრანიტულ მასივზეა განლაგებული. გრანიტები აქ მსხვილმარცვლოვანია, მუქი რუხი ფერის, ბიოტიტიანი, მუსკოვიტის წვრილი ფურცლების მცირე რაოდენობით.

ამ გრანიტებზე განლაგებული დასტა მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი. მიკროსკოპული შესწავლით გამოირკვა, რომ ქანი უმთავრესად გრანიტული კვარცის მარცვლებისაგან შედგება. მარცვლების ზომა 0,5—0,8 მმ-ია, ზოგი მარცვალი 1—1,5 მმ აღწევს. მარცვლები ყოველგვარი ფორმისაა: მკვეთრად კუთხედიდან კარგად დამუშავებულამდე.

ამგვარი კვარციანი ქვიშაქვების გაჩენა შეუძლებელია უშუალოდ გრანიტების გამორეცხვის გზით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვიშაქვების დალექვისას რაღაც სხვა დანალექი წყება ირეცხებოდა, რომელიც თითქმის სუფთა კვარცს აწვდიდა აუხს.

ქვიშაქვებს აგრძელებს მერგელოვანი თიხების, მკვრივი რუხი ფერის არგილიტების ან არგილიტებისა და ალევრიტული ქვიშაქვების დასტების მორიგეობით წარმოდგენილი მძლავრი წყება, რომელიც თავისი ბუნებით ფლიშური ხასიათისაა და მკვეთრად განსხვავდება საშხრეთი პერიფერიის კირქვიანი ნალექებისაგან. მერგელაში და არგილიტებში ხშირია სიდერიტისა და პირიტის კონკრეციები, რაც ამ ნალექების მორუხო ნაცრისფერთან ერთად მათ აღლვენით გარემოში დალექვაზე მიგვითითებს. ქვიშაქვები ხშირად მცენარეული ნაშთების საგრძნობ რაოდენობას შეიცავს.

მერგელოვანი ქანი მიკროსკოპში წვრილკრისტალური კალციტისაგან შედგება, რომელშიც კვარცის მარცვლები და ქლორიტის ფურცელაკები გვხვდება. კონკრეციის ქანი კი პელიტომორფული სიდერიტია, რომელშიც იშვიათად კვარცის უწვრილესი მარცვლები და ცუდად დაცული მიკროორგანიზმები ჩანს; ერთ უბანში თავმოყრილია პირიტის უწვრილესი კონკრეციები.

არგილიტები შემდგარია მორუხო-ნაცრისფერი პელიტური მასისგან, რომელშიც მრავლადაა პარალელურად განწყობილი სერიციტის ქერცლები. ზოგჯერ ზოლებრივად განლაგებული პირიტის უწვრილესი კონკრეციებიც გვხვდება. ზოგ არგილიტში წვრილი ქერცლები უწესრიგოდ არის განლაგებული.

ალევირითული ქვიშაქვები კვარცისა და სუსტად პელიტიზებული მინდვრის შპატის წვრილი კუთხედი მარცვლებისაგან შედგება. მარცვლების ზომა 0,05 მმ. ბევრია მწვანე ქლორიტის ფურცლები და ქერცლები. ცემენტი თიხოვანია, ზოგ უბანში კალციტით არის ჩანაცვლებული.

ზოგი დასტის მერგელები მიკროსკოპული შესწავლით აღმოჩნდა პელიტომორფული კირქვა შემდგარი მუქი მორუხო კალციტურ მასისგან, რომელშიც მრავლად არის გაბნეული სპაკულების ფორმის წარმონაქმნები, მოგრძო, წვეტიანი ბოლოთი, ორ-ან სამსხვიანი. განივი კვეთები ცენტრში მარცვლოვანი, ხოლო პერიფერიაზე რადიალურად განწყობილი კალციტისგან შედგება. ზოგჯერ სპაკულებში მცირე რაოდენობით ქალცედონიც გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ კაჟის სპაკულები გქონდა, რომლებმაც შემდეგ განიცადეს კალციტით ჩანაცვლება. ასეთ ქანში კვარცი 5—6% შეადგენს. იშვიათად გვხვდება მუსკოვიტის ქერცლებიც.

წყების ზედა ნაწილში წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვები კვარცთან ერთად შეიცავს მინდვრის შპატის ძლიერ გათიხებულ მარცვლებს და ბიოტიტის ფურცლებს, რომლებიც ნაწილობრივ გაუფერულებულია.

ამრიგად, ოტრიის ლიასურ ნალექებს ახასიათებს ქვედა ნაწილში კვარციანი მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, ხოლო ზევით ფლიშური ნალექებისათვის დამახასიათებელი მორიგეოაა რუხი-ნაცრისფერი არგილიტების, მერგელებისა და ალევრითული ქვიშაქვების. ამასთან ქვიშაქვები მკვეთრად დამორჩილებულია.

აღსანიშნავია ალბიტოფირული მასალის თითქმის სრულიად არარსებობა. ეფუხიური კვარცი და ალბიტოფირების ძირითადი მასის ნატეხები გამოიყრევა მხოლოდ წყების ზედა ნაწილის ქვიშაქვის ერთ დასტაში მცირე რაოდენობით.

ზევით წყება სრული თანხმობით გადადის ლაბრადორიანი პორფირიტის წვრილმარცვლოვან კრისტალოკლასტურ ტუფებში, რაც უკვე ბაიოსს უნდა ეკუთვნოდეს.

ოტრიის დასავლეთით, მდ. ძირულის ხეობაში ლიასურ ნალექებს ისეთივე ხასიათი აქვს, რაც ოტრიაში. აქაც ქვეშ მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების მცარე სიმძლავრის დასტაა, რომელსაც ზევით სერიციტიანი ალევრიტებისა და არგილიტების მორიგეობით წარმოდგენილი ფლიშისმაგვარი წყება მოჰყვება. მაგრამ, ოტრიისაგან განსხვავებით, აქ კირქვები და მერგელები თი-

თქმის სრულიად არ გვხვდება. ზედა ნაწილში აქაც გამოიყრება არკოზული მასალის შემცველი ქვიშაქვების დასტა.

კიდევ უფრო დასავლეთით, მდ. კარტნაულაზე, ლიასური ნალექები ძირულის და ოტრიის ანალოგიურია, მაგრამ ქვედა ნაწილის ქვიშაქვები აქ გაცილებით უხვმარცვლოვანია და კონგლომერატულ უბნებს შეიცავს. თუ ოტრიაზე და ძირულაზე ეს დასტა კვარცის ქვიშაქვებითაა წარმოდგენილი, აქ, კარტნაულაზე, ტიპიური არკოზული ქვიშაქვებია.

ზევით, ქვიშიანი მერგელების და სუსტად კარბონატული, მცენარეული ნაშთების შემცველი ალევრიტული ქვიშაქვების მორიგეობით წარმოდგენილი წყებაა. სულ ზედა ნაწილში აქაც გამოიყრება არკოზული მასალა.

ოტრიის აღმოსავლეთით, მდ. ჭერათხევზე, ლიასური ძირითადად ოტრისას ჰგავს. აქ ლიასი გნეისისებრი ტექსტურის მქონე აპლიტურ გრანიტებზეა განლაგებული და უხვმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვებისა და წვრილკენჭიანი კონგლომერატების დასტით იწყება. ზევით მარცვლის სიმსხო თანდათან იკლებს, მინდვრის შპატები მთლიანად გათიხებულია და მუსკოვიტის რაოდენობა იზრდება.

ზევით ქვიშაქვებს აგრძელებს რუხი ფერის მერგელოვანი კირქვებისა და მერგელების მორიგეობით წარმოდგენილი მძლავრი დასტა. მერგელები სუსტად ქვიშიანია, კვარცისა და პლაგიოკლასის 0,1 მმ ზომის მარცვლებით. ზოგ შრეში საკმაო რაოდენობით გვხვდება ორგანიზმების, უმთავრესად ბელემნიტებისა და ბრაქიოპოდების, ცუდად დაცული ნაშთები.

ზედა ჰორიზონტებში, მერგელებში ქვიშის რაოდენობა და მარცვლის ზომა იკლებს. მცირე რაოდენობით მერგელებში გვხვდება პირიტის უწყვილესი კონკრეციები.

როგორც ვხედავთ, ჭერათხევის ლიასი ოტრიის ლიასისგან განსხვავდება კარბონატობის ზრდით, რის გამოც უკანასკნელის დამახასიათებელი სერიციტიანი არგილიტებისა და ალევრიტული ქვიშაქვების დასტები აქ სრულიად არ გვხვდება და მათ ადგილს იკვრს სუსტად ქვიშიანი, ზოგჯერ ქარსიანი მერგელების დასტა.

სულ სხვაგვარი ხასიათისაა ლიასი სერზე, ხახულიახოდ წოდებულ ადგილას. აქ კრისტალური ფუძე შეხების ადგილას მსხვილმარცვლოვანი მიკროკლინიანი მილონიტიზებული გრანიტით არის წარმოდგენილი და იკვეთება ზოლებრივი კვარცპორფირებისა და დიაბაზის ძარღვებით. გარდა ამისა, გრანიტის პერიფერიაზე პოვნილ იქნა ბრექჩიული ქანი, რომლის შედგენილობაში თანაბრად მონაწილეობს კვარციანი ალბიტოფირისა და გნეისისებრი კვარციანი დიორიტის ნატეხები.

ლიასური ნალექები აქ იწყება არა კვარციანი ქვიშაქვებით, როგორც ეს ოტრიაშია. ძირულაზე და ჭერათხევზე გვექონდა, არამედ კარბონატული ქანებით, რომლებიც შედგენილობით გარდამავალი არიან ქვიშაქვასა და კირქვას შორის. ეს ქანები მორუხო-მოწითლო ფერისაა და მაკროსკოპულად უფრო ქვიშაქვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მიკროსკოპში კი (შლ. 161) გვაქვს კირქვა, მდიდარი ქვიშით, ქვიშა წარმოდგენილია კვარცის მსხვილი და იშვიათად

წვრილი მარცვლებით; ზოგი მარცვალი კარგად დამუშავებულია. კვარცი ორგვარი ბუნებისაა: ერთი მხრივ, გვაქვს უდავოდ ეფუზიური ბიპირამიდული კვარცი ნორმული ჩაქროშით, ხოლო, მეორე მხრივ, აშკარა კატაკლასური კვარცი გნეისისებრი კვარციანი დიორიტებიდან მოტანილი. მსხვილი მარცვლების ზომა 2—2,5 მმ უდრის. შეგვხვდა პლაგიოკლასის ორიოდე სალი მარცვალი. ამ ქვიშის შემაცემენტებელი კირქვა წმინდა მარცვლოვანია და მდიდარია სხვადასხვა ორგანიზმების ნაშთებით (ხავსცხოველები, წყალმცენარეები, ბრაქიოპოდები). კირქვის ცემენტი რაოდენობით ქანის 50%-ს ქმნის. თუ მოვივონებთ იმას, რაც ჰერათხევის ლიასის აღწერის დროს ვთქვით, რომ იქ კვარციანი ქვიშაქვის ცემენტი წარმოდგენილია კალციტით ხან მეტი, ხან კი ნაკლები რაოდენობით, ცხადი გახდება, რომ აქ საქმე გვაქვს კვარციანი ქვიშაქვების ჰორიზონტში კარბონატის როლის ზრდასთან აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთი კირქვის ზოგ ნიმუშში გრანიტის საკმაოდ მსხვილი კარგად დამუშავებული ნატეხებიც (1 სმ) გვაქვს.

ზევით ამ ქანებს მოსდევს მიკრომარცვლოვანი კირქვები და მორუხომოწითლო მერგელები, რომლებიც შეიცავენ კვარცისა და პლაგიოკლასის წვრილ მარცვლებს უმნიშვნელო რაოდენობით. ეს ქანები თანდათან გადადის ნაცრისფერ მერგელებში, ე. ი. ისეთსავე ქანებში, როგორითაც თავდება ჰერათხევის ლიასი.

მდ. ლოპანისწყალზე, სოფ. გვირგვინასთან ლიასური ნალექები განლაგებულია კრისტალურ სუბსტრატზე, რომელიც აქ ფიქლებრივი ქანებით არის წარმოდგენილი. მის პირდაპირ, მდინარის მარცხენა ნაპირზე, იისფერი მჟავე ეფუზიური ქანის გამოსავალია. ამ ქანების მიკროსკოპულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფიქლებრივი ქანი დინამომეტამორფულად ინტენსიურად შეცვლილი მჟავე ეფუზიური ქანია, რომელიც, უდავოა, ლიასურზე ადრინდელ ფორმაციას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ქვედა ტუფიტების წყებაში მსგავსი წარმონაქმნი არსად არ გვხვდება. მარცხენა ნაპირის იისფერი მჟავე ეფუზიური ქანი კი მიკროსკოპში კვარციანი ალბიტოფირი აღმოჩნდა; მას არ ემჩნევა ფიქლებრივობა და ბლომად შეიცავს ზემოთ აღწერილ ფიქლებრივ ალბიტოფირის კუთხედ ჩანართებს. ს. ჩიხელიძის დაკვირვებით, ეს ქანი აღმოსავლეთით გრძელდება და მდ. ფრონეს წყალზე ლიასურ თიხებშია შეჭრილი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აშკარად ლიასზე ახალგაზრდა ეფუზივთან. ალბიტოფირები ზევით ბრეჭიებში და წვრილმარცვლოვან ტუფებში გადადის. ბრეჭიიდან აღებული ერთ-ერთი ნატეხი ძლიერ შეცვლილი, გაკალციტებული ოლივინიანი დიაბაზი აღმოჩნდა. ეს ფაქტიც ადასტურებს ზემომოყვანილ აზრს, რომ ეს ქანები ქვედა ტუფიტებს ეკუთვნის, რადგან ოლივინიანი ქანები, როგორც ცნობილია, ბაიოსის პორფირიტულ წყებაში არ გვხვდება.

ალბიტოფირების წყებას, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, უშუალოდ ჯერ მწვანე ფერის, ხოლო შემდეგ რუხად შეფერილი პელიტურ-პსამიტური ქანების დასტა აძევს. მიკროსკოპული შესწავლით გამოირკვა, რომ ეს დასტა სუსტად ქვიშიანი მიკრომარცვლოვანი თიხიანი კირქვისგან და მერგელები-

სგან შედგება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მერგელებში სალი ანდეზინის მარცვლებიც გვხვდება. უფრო ზევით კი ავლომერატული ტუფების დასტა გამოერევა, რომელიც მრავლად შეიცავს სალი ლაბრადორის ნატეხებს.

ამ ტუფებს ზემოთ მოჰყვება პელიტური ქანების დასტა, რომელშიც მორიგეობს ერთმანეთთან მწვანე, ღია მწვანე და შოკოლადისფერი არგილიტური თიხები.

ეს პელიტური დასტა გაკვეთილია 100-ოდე მეტრის სიმძლავრის სუსტად ურალიტიზებული ოლივიინიანი დიბაზას ძარღვით, ხოლო ამ ძარღვის ჩრდილოეთით მეორე ძარღვია 4 მ სიმძლავრისა.

პელიტურ დასტას მოჰყვება თხელ- და სქელშრებრივი მწვანე ქვიშაქვების დასტა. ზოგი ქვიშაქვა შედგება კვარცის დაკუთხული მარცვლებისაგან და შეცვლილი, გაქლორიტებული ქანის ნატეხებისაგან; ცემენტი ქლორიტულ-თიხოვანია. მცირე რაოდენობით გვხვდება ქარსის ფურცლები. ზოგი ქვიშაქვა კი, გარდა ამისა, შეიცავს სალი ანდეზინის ნამტვრევებს საგრძნობი რაოდენობით. ამგვარად, ამ დასტაში უდავოდ ჩანს პიროკლასტური მასალის მონაწილეობა.

ზევით სუსტად ქვიშიანი არგილიტები მოდის და ბოლოს პორფირიტული წყების პრენიტიზებული ტუფებია განლაგებული.

იმავე ლოპანის წყალზე, სოფ. ლოპანთან, უკვე შუა იურული ვულკანოგენური წყების გავრცელების ფარგლებში, გვხვდება ლიასური ნალექების მცირე ზომის გამოსავალი, რომელიც გარკვეულად ტექტონიკური ლინზის სახეს ატარებს.

აქ გვაქვს მსხვილმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვები, რომელთაც ზევით აგრძელებს საშუალომარცვლოვანი, აგრეთვე არკოზული ქვიშაქვები.

ქვიშაქვებს აძევს წითელი ფერის კირქვა, რომელიც 10 მ სიმძლავრე ლინზას ქმნის. კირქვას ბრექჩიული აგებულება აქვს. მიკროსკოპში კარგად ჩანს, რომ წვრილმარცვლოვანი კირქვის ნატეხები შეცემენტებულია მსხვილკრისტალური კალციტით, რომელიც რადიალურად არის შემოზრდილი კირქვის ნატეხების გარშემო.

კირქვების თავზე უკვე ვულკანოგენური წყების ქანები გამოდიან, რომლებიც ლაბრადორიანი პორფირიტებითა და ტუფებით არიან წარმოდგენილი და ზოგჯერ შეიცავენ წითელი ფერის ალბიტოფერის ჩანართებს.

ლოპანისწყლის ლიასის ზემოაღწერილი ნაწილი ფაქტურად გვირგვინის ლიასის ქვედა, საწყის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ნახსლეტის მიერ არის ამომხეურებული, ხოლო თვით გვირგვინას ლიასში ეს ქანები არა ჩანს, რაც შეცოცების გამო ქვედა დასტების გამოსოფლით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ლოპანის წყალზე უკვე კირქვის პირველსავე შრეში გვხვდება ტუფური მასალა, ხოლო ლიასის ქვედა ნაწილში კი ტუფების დასტაც კი გამოერევა. ეს ფაქტი გარკვეულად მიგვითითებს შუა ლიასურში ვულკანური აქტივობის არსებობაზე.

ამგვარად, ლოპანის ლიასი განსხვავდება ქერათხევის ლიასისგან მხოლოდ კარბონატულობის ზრდით ქვედა ნაწილში, რადგან ქერათხევის მერგე-

ლების ნაცვლად ლოპანზე ქვიშაქვებს უკვე წითელი კირქვები აძევს. მეორე არსებითი განსხვავება არის ლოპანისწყლის ლიასში ვულკანოგენური მასალის მონაწილეობა, რასაც ქერათხევში ადგილი არ ჰქონდა.

უფრო აღმოსავლეთით მდ. ფრონეს ხეობაში მესამეულის საფარს ქვეშ, მცირე ფართზე შიშვლდება იურული ნალექები, რომელთა ზედა ნაწილი ბაიოსის ვულკანოგენური ქანებია, ხოლო მათ ქვეშ რუხი ფერის სუსტად ქვიშიანი ქარსიანი მერგელების დასტა ძევს, რომელიც ლიასური ნალექების ზედა დასტის ანალოგიურია. მოყვანილი ფაქტიური მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძირულის მასივის ჩრდილო პერიფერიაზე გავრცელებული ლიასური ნალექების ზოლში მიმართებაზე ძლიერ ფაციალურ ცვალებადობას ადგილი არა აქვს.

თითქმის ყველგან გვაქვს ქვედა კვარც-არკოზული მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების ჰორიზონტი, გარდა ხახულიახოსი, საცა კვარციანი ქვიშაქვების ნაცვლად ლიასი იწყება წითელი კირქვებით, რომელშიც მრავლად ვხვდებით მსხვილ არკოზულ მასალას და გრანიტულ კენჭებს.

კვარციანი არკოზული ქვიშაქვების ჰორიზონტს ყველგან მერგელების ან კირქვების ჰორიზონტი მოსდევს, მაგრამ ზოგან ზოლის უფრო დასავლეთ ნაწილში, მაგ., კარტნაულაზე, მერგელებთან მორიგეობს და საკმაო ადგილს იჭერს ალევრიტული ქარსიანი ქვიშაქვები, რომლებიც სხვაგან დამორჩილებულ მდგომარეობაში არიან ან იმდენად გამდიდრებულან კარბონატული მასალით, რომ უკვე სუსტად ქვიშიან მერგელებს წარმოადგენენ.

ლიასის სულ ზედა ჰორიზონტებში ზოგ ხეობაში გამოერევა წვრილმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვები, ზოგჯერ მცენარეული ნაშთებით მდიდარი (კარტნაულა, ძირულა, ოტრია).

გარდა ამისა აღსანიშნავია გვირგვინას ლიასი, რომლის ქვედა ნაწილში ლაბრადორიანი პორფირიტის მასალისაგან შემდგარი აგლომერატული ტუფის შრეა შეხვედრილი:

#### 4. ლიასური ნალექების ლითოლოგიური ხასიათი მასივის ჩრდილო პერიფერიაზე

მდ. დუმალაზე, რომელიც ძირულის მარჯვენა შენაკადია, სოფ. ბერეთისას დასავლეთით ლიასური ძირითადად ქვიშაქვების ფაციესით არის წარმოდგენილი. ქვედა ნაწილში კონგლომერატები და წვრილი კენჭების შემცველი უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებია, ხოლო ზევით თანდათან ბატონდება საშუალო და წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვები. მაგრამ ეს გადასვლა სავსებით კანონზომიერად არ ხდება, არამედ ზევითაც ადგილი აქვს წვრილმარცვლოვანი და მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების შრეთა მორიგეობას.

მასალა ქვედა ნაწილში კვარციან-არკოზულია, კვარცპორფირული ქანების გადარეცხვის პროდუქტების დიდი რაოდენობით. ზევით მინდვრის შპატების რაოდენობა თანდათან იკლებს, ხოლო ქარსისა კი იმატებს. ცემენტი ქვედა ნაწილში სერიციტულია, ზევით—კარბონატული. გარდამავალ ზონაში

ადგილი აქვს კარბონატული და სერიციტული ცემენტის მქონე ქვიშაქვების მორიგეობას, ხოლო ზევით მთლიანად ბატონდება კარბონატული ქვიშაქვები. მიკრომარცვლოვან კარბონატულ ცემენტში ხშირია ფორამინიფერები. მცენარეული ნაშთები ამ ქვიშაქვებში ხშირია, მაგრამ მათი რაოდენობა ზედა ნაწილში იზრდება, რის გამო ქანებს მუქი რუხი ფერი აქვთ. ქვიშაქვებში ხშირია სხვადასხვა ზომის კონკრეციები, რომლებიც ქვიშიანი კირქვებით არის წარმოდგენილი. ზოგი შრე მდიდარია პირიტის წვრილი კონკრეციებით. ამრიგად, ქვიშაქვების აღდგენითი არეში წარმოშობა უდავოა. მდ. დუმალას ლიასი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიის ლიასურთან, რაც შემდეგში მდგომარეობს; კირქვების ფაციესი აქ არ არის წარმოდგენილი; ადგილი აქვს მსხვილ- და წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების მორიგეობას, რაც შეესაბამება ოტრიის და NW ზოლის სხვა მდინარეების ლიასის ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობას; ზედა ნაწილში ემჩნევა კარბონატით გამდიდრება და, თუ სხვაგან ეს მერგელებს გაჩენას იწვევდა, დუმალზე იგი კირქვიანი ქვიშაქვების დალექვაში გამოიხატა; დამახასიათებელია აღდგენით გარემოში დალექვა. ცხადია, დუმალის ლიასი ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიის ლიასის, მხოლოდ უფრო სანაპირო, ქვიშიან ფაციესს მიეკუთვნება.

მასივის ჩრდილო პერიფერიაზე ლიასური ნალექების იზოლირებული გამოსავლები გვაქვს მდ. დუმალაზე, სოფ. ბერეტისას მახლობლად, სად. სალიეთის მიდამოებში — მდ. ყვირილას მარჯვენა მხარეზე და სოფ. კაცხთან მდ. კაცხურაზე.

სალიეთის მიდამოებში ლიასი ძირითადად კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი. ს. ჩიხელიძე და ი. კახაძე კირქვების ქვეშ მცირე სიმძლავრის ფუძის კონგლომერატებსაც აღნიშნავენ. მაგრამ უკანასკნელთა გამოსავლები ჩვენ მიერ შედგენილ ჭრილებში არსად გამოიყოფა, ამიტომ ქვემოთ მხოლოდ კირქვების დახასიათებაა მოცემული.

სალიეთში ლიასური კირქვები უშუალოდ ძველ გრანიტულ მასივზეა განლაგებული. კირქვების საერთო სიმძლავრე ას მეტრზე მეტია. შრეები დაქანებულია მცირე კუთხით სამხრეთისკენ და ამავე მიმართულებით ტექტონიკური მოვლენის გამო ძველ გრანიტებს აწყდებიან.

ამ გამოსავლების კირქვები დასტის მთელ სიმძლავრეზე ლითოლოგიურად ერთგვაროვანია და კლასტური ხასიათის მეტ-ნაკლებად კრისტალური კირქვებით არის წარმოდგენილი. ამასთან, კირქვებს დასტის ქვედა ნაწილში უფრო მასივი ხასიათი აქვთ. ზედა ნაწილში კი ნათლად შრეებრივი.

დასტის სულ ქვედა ნაწილში წარმოდგენილ ბრეჩიულ კირქვებს ლია მოწითლო ან მოვარდისფრო ფერი ახასიათებს. დიდი რაოდენობით შეიცავენ შეუიარაღებელი თვალთ შესამჩნევ ბრაქიოპოდების და კრინოიდების ნატეხებს.

მიკროსკოპში ასეთ კირქვებს მკაფიოდ გამოხატული კლასტური აგებულება ახასიათებს; პელიტომორფულ ან სუსტად კრისტალურ კირქვის ნატეხებს, რომლებიც რუხი ფერის თიხოვან მასებთან ერთად შეიცავენ ჰემატიტის მტკრისებურ დანაგროვებს, თეთრი ფერის კრისტალური კალცი-

ტი აცემენტებს. ეს უკანასკნელი დაგვიანებით წარმოშობილია და მეტ შემთხვევაში ძარღვულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამგვარი კირქვები ზოგ უბანში მსხვილმარცვლოვან ბრექჩიულ ზოლებში გადადიან. ასეთ შემთხვევაში კირქვის ნატეხთა სიდიდე 3—7 სმ უდრის. შემაცემენტებელი მასა აქაც კალციტია, რომელიც ნატეხთა შორის სივრცეებში სეკრაციებად ანდა ქარგისებურ ძარღვებად არის განვითარებული. კირქვების ეს თავისებური მოზაიკა, როგორც სალიეთში, ისე სხვაგანაც, ნატეხების ამგვარი შემცემენტებით არის გამოწვეული.

დასტის ქვედა ნაწილის კირქვები ტერიგენული მასალით უფრო მდიდარია, ვიდრე ზედა. ამ მასალის შედგენილობაში მონაწილეობას ღებულობს: კვარცი, მიკროკლინი და ზოგჯერ გასერპენტინებული, მწვანე ფერის მინერალის ნატეხები.

ყურადღებას იპყრობს დასტის ფუძიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე მდებარე კირქვის ლოდები და უსწორმასწორო უბნები, რომლებიც გრანიტული მასალის ქვარგვალებს შეიცავენ; ზოგან ეს ქვარგვალები ნამდვილ კონგლომერატებს იძლევიან. კენჭები ძლიერ კარგადაა დამრგვალებული (სიდიდე 0,5—50 მმ) და ძირითადად წარმოდგენილია პორფირული გრანიტებითა და გნეისისებური კვარციანი დიორიტებით.

განამარხებული ორგანიზმების განაწილებაში რაიმე კანონზომიერება არ შემჩნევა—დასტის ზოგი უბანი უნამარხოა, ზოგი კი ნამარხებით ძლიერ მდიდარი. ყურადღებას იპყრობს დასტის ზედა ნაწილში წარმოდგენილი პელიტომორფულ და წვრილკრისტალურ კირქვებში ფორამინიფერების და კალციტიანი სპიკულების დიდი რაოდენობით არსებობა.

მდ. კაცხურაზე ლიასი მთლიანად კირქვიანი ფაციესით არის წარმოდგენილი. კირქვები ნათელ შრეებრივობას იჩენს. მსგავსად სალიეთის გამოსავლებისა, ფუძის კონგლომერატი არც აქ არის წარმოდგენილი და კირქვები უშუალოდ განლაგებულია ძველ გრანიტულ მასივზე. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ კირქვებში ტერიგენული მასალა მთელ სიმძლავრეზე თითქმის არსადა ჩანს, გარდა კვარცის ერთეული მარცვლებისა, რომლებიც დასტის ქვედა და ზედა ნაწილში თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი. გარეგნულად კაცხის კირქვები შროშისა და სალიეთის კირქვებს ჰგავს. რკინის უბნის შერევის გამო წითელი ან ღია მოვარდისფრო შეფერვა ახასიათებს. უბნობრივად შეიცავს ნამარხებს დიდი რაოდენობით. ამ კირქვებშიც ძლიერ ხშირია რუხი ან თეთრი ფერის კრისტალური კალციტის წვრილი ძარღვები, რომლებიც წითელი კირქვის ნატეხებს აცემენტებენ და ამის გამოა, რომ კირქვა ზოგ უბანში არაშეისებურ მოზაიკას იძლევა. მიკროსკოპული შესწავლით ირკვევა, რომ კირქვის დასტა მთელ სიმძლავრეზე თითქმის ერთნაირია. დასტის ქვედა ნაწილში განვითარებული კირქვა უბნობრივად კლასტურ ბუნებას იჩენს, რომლის შემადგენელ ნატეხებს პელიტომორფული კირქვები იძლევა. უკანასკნელი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს ბრაქიოპოდების, ფორამინიფერებისა და კირქვიანი სპიკულების ჩანარებს. ამასთან, არის უბნები, სადაც კლასტიური ბუნება კარგად აღარ ჩანს და ასეთ



შემთხვევაში კირქვა, ჰემატიტით გამდიდრებული, პელიტომორფული კარბონატით არის აგებული.

დასტაში უბნებრივად გამოიყოფა აგრეთვე მორუხო კრისტალური კირქვები. უკანასკნელნი თითქმის მთლიანად მსხვილკრისტალურ კალციტისაგან შედგებიან.

#### IV. ფაციესთა განაწილება და ნალექთა წარმოშობის პირობები

ამ თავში ჩვენ შევეცდებით ზემომოყვანილი ფაქტიური მასალის საფუძველზე გავარკვეოთ ფაციესთა განაწილების კანონზომიერებანი ლიასურში და აღვადგინოთ ის პირობები, რომლებშიც ხდებოდა ლიასური ნალექების წარმოშობა ძირულის მასივის გარშემო. აქვე უნდა მოვიგონოთ ის, რაც შესავალში უკვე იყო თქმული, რომ ლიასური დროის ნალექთა წარმოშობის პირობები და პალეოგეოგრაფიის საკითხები საკმაოდ დეტალურად აქვს განხილული ი. კახაძეს თავის კაპიტალურ ნაშრომში [5] და ჩვენ მხოლოდ ზოგი საკითხის დეტალიზაცია ან ზოგის ახლად დაყენება გვხვდა წილად. გარდა ამისა, ჩვენ პეტროგრაფიული მასალის საშუალებით ვადასტურებთ ი. კახაძის მიერ ზოგად ფორმებში გამოთქმულ მოსაზრებებს.

##### ა. ლიასის კონტინენტური ფაციესი

1. კონგლომერატებისა და ქვიშაქვების წყება. ქვედა ლიასური ზღვიური ფაციესი ძირულის მასივში არ არის ცნობილი. პირობითად ამ ასაკისად სთვლიან ვულკანოგენურ წყებას, რომელიც ფაუნით დათარიღებული შუა ლიასურით არის გადაფარული. ეს ვულკანოგენური წყება პ. გამყრელიძის და ს. ჩიხელიძის მიერ ქვედა ტუფიტებად იქნა წოდებული და ამ სახელწოდებით არის ცნობილი გეოლოგიურ ლიტერატურაში. ძირითადად, ძირულის მასივის ფარგლებში ქვედა ტუფიტების წყების გავრცელების ორი რაიონი გვაქვს. ერთი — შროშა-მარტოთუბან-ნარულის ვიწრო ზოლი და მეორე — ყვირილის ხეობა ქიათურისა და სალიეთს შუა და მისი შენაკადის მდ. საძღლე ხევის ზედა ნაწილი.

შროშა-მარტოთუბან-ნარულის ზოლში გარკვეულად ემჩნევა წყების სიმძლავრის ცვალებადობა მარტოთუბნიდან როგორც დასავლეთით მდ. ნარულისაკენ, ისე აღმოსავლეთით შროშისაკენ. ასე მაგ., ნარულის ხეობაში, ჩვენი დაკვირვებით, წყების სიმძლავრე 600—700 მეტრამდეა, მარტოთუბნის სადგურის მიდამოებში 1000 მეტრამდე, ხოლო ქანდარის მიდამოებში მხოლოდ 300მ თუ იქნება; შროშისაკენ იგი კიდევ უფრო იკლებს და 100 მეტრამდე ძლივს აღწევს, ხოლო უფრო აღმოსავლეთით ვულკანოგენური ქანები სავსებით ნოსოლება და მიმართებაზე იცვლება კონგლომერატებითა და მსხვილმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვებით.

სიმძლავრის ცვლასთან ერთად შესამჩნევია მასალის სტრუქტურული ხასიათის ცვლა. ზოლის ცენტრალურ ნაწილში, ე. ი. მარტოთუბნის მიდამოებში, ქვედა ნაწილში წყება შედგება ფუძე ლავებისაგან, რომლებშიც იშვიათად გამოერევა მქავე ალბიტოფირული ტუფები; უკანასკნელთა რაოდენობა

ზედა ნაწილში იზრდება და აქა-იქ ტუფებს შორის ტუფბრეჭიები და განფენებიც გვხვდება. წყებაში შრეებრიობა არა ჩანს. ნარულაზე კი წყება ტუფებისაგან შედგება, რომლებშიც ზოგჯერ ცუდად გამოხატული შრეებრიობის შემჩნევაც შეიძლება. დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა წყება—შროშა-ქანდარის მიდამოებშიც. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ზოლში ვულკანური ამოფრქვევის ცენტრები მარტოაუბნის მიდამოებში იყო უპირატესად განლაგებული და ამ ცენტრებიდან ამოსროლილი პიროკლასტური მასალის გაფანტვის არეალი დასავლეთით და აღმოსავლეთით შედარებით მცირე იყო, რის გამო მათ მასალას მხოლოდ ნარულამდე და შროშამდე მიულწევია.

ასეთივე ამოფრქვევის ცენტრები გვქონდა კიათურასა და სალიეთს შორის. აქაც წყება მასიურია, შრეებრიობა სრულიად არ ემჩნევა და ლავებისა და მსხვილ-ნამსხვრევი ბრეჭიების საგრძნობი მონაწილეობით ხასიათდება. მისი სიმძლავრეც რამდენიმე ასეული მეტრია.

ქვედა ტუფიტების წყების კონტინენტური ბუნება ამჟამად არავისში უჭვს არ იწვევს და დასტურდება წყებაში შრეებრიობის არარსებობით, მასში, ზოგ უბნებში, მცენარეული ნაშთების სიუხვით, ზოგჯერ გაკაჟებული ხეების პოვნითა და იშვიათად ნახშირის ლინზების არსებობით.

ქვედა ტუფიტები უშუალოდ ძირულის მასივის კრისტალურ ქანებზე არის განლაგებული. რომ ამ დროს მასივის ზედაპირი უსწორ-მასწორი იყო იქიდან ჩანს, რომ ტუფიტების წყების ზოგ ჰორიზონტში საკმაო რაოდენობით ვხვდებით გრანიტებისა და კრისტალური ფიქლების მეტ-ნაკლებად ნაგორებ ნატეხებს. უდავოა, რომ ამ მასალის გადატანასა და გადაამუშავებას ძირულის მასივზე იმ დროს მიმდინარე ლელები და მდინარეები აწარმოებდნენ, რადგან ამოფრქვევის დროს არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა დამუშავებული მასალის უშუალოდ შეტაცებას.

ისმის კითხვა: რას წარმოადგენდა ამ დროს ძირულის მასივის ის ნაწილი, სადაც ინტენსიურ ვულკანურ ამოფრქვევებს არ ჰქონდა ადგილი. რა ნაწილები ჩნდებოდა ამ დროს ამ ნაწილებში და გვაქვს თუ არა სადმე შენახული ამ ნაწილების ნაშთი? შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

სოფ. შროშის მიდამოებში კოტროულის ლელის მარჯვენა შენაკადის გასწვრივ კრისტალურ მასივს უშუალოდ თავზე ადევს კონგლომერატებითა და უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებით წარმოდგენილი წყება, რომელიც ზევით თანდათან იცვლება წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვებით და სჟლ ზევით რუხი და წითელი კირქვებით. წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვები ჰემატიტით არის მეტ-ნაკლებად გამდიდრებული.

შროშის წყების ქვედა ნაწილი თავისი ხასიათით მკვეთრად განსხვავდება ძირულის მასივის ლიასური ნაწილების სხვა ჯრილებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: 1. წყებას ქვეშ უდევს 7 მეტრის სიმძლავრე კონგლომერატის დასტა, რომელსაც შრეებრიობა სრულიად არ ემჩნევა; ასეთი კონგლომერატები სხვა ადგილას არსად არ არის ნახული, 2. კონგლომერატებს ადევს უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების დასტა, რომლებშიც ხშირად საკმაოდ მსხვილ კენჭებს და რიყის ქვებს ვხვდებით. შრეებრიობა ამ

დასტაში არამკაფიოა და ზოგან ძნელი შესამჩნევია, 3. მასში მოქცეულია 5—7 მეტრი სიმძლავრე ფიქლებრივი თიხების დასტა, რომელთანაც არის დაკავშირებული შროშის ცეცხლგამძლე თიხის საბადო. თიხა შავი ფერისაა ორგანული ნაშთებით სიმდიდრის გამო, 4. თიხების შემცველ დასტას ადევს 108 მეტრის სიმძლავრე მხვილ- და საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვების მორიგეობით წარმოდგენილი დასტა, რომელიც მთავრდება 4 მეტრის სიმძლავრე თხელსრეებრივი ნახშირიანი ქვიშაქვების დასტით; ამ დასტაში ნახშირის თხელი ფენებიც გვხვდება.

ნახშირის თავზე მდებარე წყება წარმოდგენილია წითელი ფერის ქარსიანი, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების დასტით, რომლის ქვედა ნაწილში გვაქვს ამ წითელი ფერის ქვიშაქვების მორიგეობა ქვემდებარე მსხვილმარცვლოვან მოთეთრო-ნაცრისფერ ქვიშაქვებთან. დასტის შუა ნაწილის ქვიშაქვებში ამონიტური ფაუნა არის ნაპოვნი.

ლიასი მთავრდება რუხი და წითელი, ზღვიური ფაუნის შემცველი, კირქვებით. როგორც ვხედავთ, შროშის ლიასის ზედა ნაწილი, ნახშირიანი დასტის თავზე, აშკარად ზღვიური ნალექებითაა წარმოდგენილი. ასევე უდავოა, რომ ქვედა ნაწილი კონტინენტური წყებაა, მდინარეული ნალექებით წარმოდგენილი. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია მასალის ცუდი დახარისხება. წყების გრანულო-მეტრიული შედგენილობის ცვალებადობაში რაიმე კანონზომიერების შემჩნევა შეუძლებელია და თითქმის ყველა ქვიშაქვის შრეში მონაწილეობს პსეფიტური, პსამიტური, ალევრიტული და პელიტური მასალა. ამასთან პსეფიტური მასალა ქარბობს ყველა სხვა კომპონენტზე. პსამიტური მასალა საგრძნობი რაოდენობითაა, ხოლო ალევრიტულ-პელიტური მასალა დამორჩილებულ როლს თამაშობს, გარდა ზოგი შრისა, რომელშიც ამ უკანასკნელის რაოდენობა შედარებით გაზრდილია.

წყების კონტინენტურ ბუნებაზე მიგვითითებს აგრეთვე მასში ცეცხლგამძლე თიხებისა და ნახშირის საბადოთა არსებობა. როგორც ცნობილია, შროშის თიხების ტიპის მაღალხარისხოვანი ცეცხლგამძლე თიხები მხოლოდ კონტინენტურ წყებებში გვხვდება [6].

როგორია სიმძლავრე ამ კონტინენტური წყებისა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. შროშის ლიასის მთელი სიმძლავრე 300 მეტრს უდრის. ჩვენი აზრით, ზღვიური ფაციესის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ პირველი ჰემატიტიანი ქვიშაქვა, რომელიც უშუალოდ ადევს ნახშირიანი ქვიშაქვების 4 მეტრიან დასტას, რადგან ჰემატიტის ოლითების წარმოშობა მდინარის მტკნარი წყლის ზღვის მარილიან წყალთან შერევის პირობებში უნდა მომხდარიყო. თუ ამ შრეს მივიღებთ ზღვიური ფაციესის პირველ გამოვლინებად, მაშინ ქვედა კონტინენტური წყების სიმძლავრე 150 მეტრი იქნება და ზედა ზღვიურისაც ამდენივე. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წყების ქვედა ნაწილში ადგილი აქვს ზღვიური წმინდამარცვლოვანი ქარსიანი რუხი-მოწითლო და კონტინენტური უხეშმარცვლოვანი მოთეთრო-ნაცრისფერი ქვიშაქვების მორიგეობას, რაც გრძელდება 15—20 მეტრის სიმძლავრეზე, რის შემდეგ იწყება ნამდვილი ზღვიური ნალექები, რომლებშიც ამონიტური ფაუნა

ნაც კი არის ნაპოვნი. ამგვარად, საკუთრივ ზღვიური ნალექების სიმძლავრე 120—130 მეტრით განისაზღვრება. თუ შევადარებთ შროშის ლიასს ძირულის მასივის სამხრეთა პერიფერიის სხვა ადგილას გავრცელებულ ლიასურთან, ვნახავთ, რომ შროშის წყების სწორედ ზედა (ზღვიური) ნაწილი როგორც სიმძლავრით, ისე ლითოლოგიური შედგენილობით სავსებით შეესაბამება სხვა ადგილების ლიასს. ყველგან სიმძლავრე ცვალებადობს 80—150 მეტრის ფარგლებში, ხოლო შედგენილობა ყველგან ასეთია: ქვეშ მსხვილმარცვლოვანი თეთრი-მონაცრისფრო კვარციან-არკოზული ქვიშაქვები, ზევით ქარსიანი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვები, ხოლო სულ ზევით ბრეჩიული, კალციტის ექოდების შემცველი რუხი და წითელი კირქვები. ამგვარად, თითქოს ნათელია, რომ შროშის ლიასის სხვა ადგილების ლიასურთან შედარებისას, მხოლოდ მისი ზედა, ზღვიური ნაწილის პარალელიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი.

ახლა განვიხილოთ შროშის ქვედა, კონტინენტური წყების ქვედა ტუფიტებთან დამოკიდებულებისა და ასაკის საკითხი.

ვერ კიდევ 1946 წელს ველზე მუშაობისას, იმის გამო, რომ შროშის ლიასური ნალექების კრილი თავისი ხასიათით არ გავდა მეზობელ ნარულის, ყვირილის და სხვა ადგილების ლიასურს, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება — ხომ არ იცვლება მიმართებაზე აღმოსავლეთისაკენ ქვედა ტუფიტების ვულკანოგენური ფაციესი ქვიშაქვებით? ამ აზრის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობდა, რომ შროშის ლიასის ფუძეში ქვედა ტუფიტები არ ჩანდა სრულებით, იმ დროს, როცა ნარულასა და ყვირილასზე მათ რამდენიმე ასეული მეტრი სიმძლავრე აქვთ. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ ვერ მოხერხდა.

1947 წლის დამატებით ექსკურსიის დროს მდ. კოტროულიდან 100-ოდე მეტრის მანძილზე ქანდარისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მიერ შემჩნეული იყო შროშის კონგლომერატების თავზე მდებარე ქვიშაქვების გადასვლა ქვედა ტუფიტებში.

მაგრამ გაცილებით უფრო მდიდარ მასალას ამ საკითხის გადასაწყვეტად იძლევა შროშის ცეცხლგამძლე თიხებზე 1940—41 წელს ჩატარებული ძიება, რომლის შედეგები მოყვანილია გ. ქომეთიანისა და ი. ზვიადაძის ანგარიშში. ამ ანგარიშთან დართული ჭაბურღილებისა და ბუნებრივი გამოსავლების აღწერებიდან კარგად ჩანს, რომ ქვიშაქვები როგორც მიმართებაზე, ისე დაქანებაზე გადადიან ტუფიტებში.

თუ ზედაპირზე გამოსავალში შროშის ლიასის ფუძეში კონგლომერატები უშუალოდ კრისტალურ ფუძეზეა განლაგებული და ქვედა ტუფიტები არ ჩანს, ჭაბურღილებმა გვიჩვენა, რომ დაქანებაზე კონგლომერატები და ქვიშაქვები ტუფიტებით იცვლება. ასე მაგალითად, № 1 ჭაბურღილის კრილის ქვედა ნაწილის განხილვა გვიჩვენებს, რომ ტუფიტებზე განლაგებულია ქვისებრი თიხა, მასზედ ქვიშაქვა და ზევით ისევ ქვისებრი თიხა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქვისებრი თიხა ტუფიტების ადგილზე გამოფიტვის პროდუქტია, ცხადი გახდება, რომ აქ ტუფიტების შრეების ქვიშაქვებთან მორიგეობის სურათი გვაქვს.

№ 11 ჭაბურღილის კრილში ჩანს, რომ შავი პლასტიური თიხების ქვეშ უშუალოდ ტუფიტებია განლაგებული. № 20 ჭაბურღილში აშკარად გვაქვს

შორიგეობა ტუფიტებისა ქვიშაქვებთან. ასე მაგალითად, შავი პლასტიური თიხის შრეს ქვეშ უდევს ქვისებრი თიხა; მათ ქვევით უხეშმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვებია, რომელთაც ქვეშ მოსდევს ტუფიტების დასტა სიმძლავრით 6 მეტრი, ტუფიტების ქვეშ ისევ ზედას მსგავსი კვარციანი ქვიშაქვებია 4 მეტრის სიმძლავრის. ანალოგიური სურათია სხვა ქაბურღილებშიც.

ტუფიტებისა და ქვიშაქვების ურთიერთობის შესახებ კარგ მასალას გვაძლევს ქაბურღილები. მაგალითად, № 13 და № 6 ქაბურღილებზე გატარებული კრილები გვიჩვენებს, რომ ქვიშაქვებს მიმართებაზე ტუფიტები ცვლიან. № 15 და № 12 ქაბურღილებზე გატარებული კრილი გვიჩვენებს, რომ კონგლომერატი და უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვა მიმართებაზე უფრო წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვით იცვლება, ხოლო მათ თავზე ადევს ტუფიტების შრე, რომელზედაც თიხის ფენა განლაგებულია.

მოყვანილი ფაქტები უდავოდ ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ქვედა ტუფიტები აღმოსავლეთისაკენ კონტინენტური წყების კონგლომერატებითა და ქვიშაქვებით იცვლებიან და ტუფიტები ქვეშ კი არ უძევს ამ წყებას, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, არამედ მორიგეობენ მასთან და, მაშასადამე, ისინი ერთი ასაკის წარმოქმნებია. შრომის წყებაში ვულკანიზმის აშკარა ნიშნები ჩვენ მიერაც იყო ნაპოვნი. თიხების ქვეშ მდებარე ქვიშაქვებში შეგვხვდა ძლიერ გამოფიტული დიაბაზის 0,6 მეტრის სიმძლავრე განფენი, რაც უკვე იყო აღწერილი.

ქვე ქვ. სი. 15  
ქვიშა  
ქვებთან

ამგვარად, ზემომოყვანილი ფაქტებისა და მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის ლიასის ქვედა კონტინენტური ნაწილი (150 მეტრის სიმძლავრე) ქვედა ტუფიტების წყების სინქრონულია და მის სტრატოგრაფიულ ექვივალენტს წარმოადგენს, რადგან მას მიმართებაზე თანდათან ცვლის. ქვედა ტუფიტები რომ ქვედა ლიასზე ახალგაზრდა არ არის, ეს ეჭვს არ იწვევს; ეს დადგენილია ქვედა ტუფიტებზე შუა ლიასის უთანხმო განლაგებით. მაშასადამე, შრომის ცეცხლგამძლე თიხებისა და ნახშირის შემცველი წყება ქვედა ლიასურია და არა შუა ლიასური, როგორც აქამდე ფიქრობდნენ. თუმცა შესაძლებელია, რომ მისი ზედა პორიზონტები პლინსბახურის ელემენტებსაც შეიცავდეს.

ამავე დროს მიღებული შედეგი საშუალებას გვაძლევს საბოლოოდ გადავწყვიტოთ ქვედა ტუფიტების ქვედა ლიასური და არა ტრიასული ასაკი, რადგან ამ წყების სტრატოგრაფიული ექვივალენტი, შრომის პროდუქტიული წყება, მკვეთრი უთანხმოების გარეშე გადადის ფაუნით დათარიღებულ შუა ლიასურში.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მოსაზრება შრომის კონტინენტური წყების ქვედა ლიასზე მიკუთვნების შესაძლებლობის შესახებ ა. ჯანელიძის მიერ აღრევე იყო გამოთქმული.

2. ლიასის ვულკანიზაციური წყება. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ქვედა ტუფიტების წყება პირობითად ქვედა ლიასურად არის მიჩნეული. ჩვენ მიერ წინა თავში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა თითქმის უფრო ამტკიცებს ამ აზრს.

დღემდე ამ წყების ქიათურა-სალიეთისა და შრომა-მარტოთუნის გამო-საელებში ცნობილი იყო მხოლოდ მუავე ქანები: კვარციანი პორფირები, კვარციანი ალბიტოფირები და მათი ტუფები. მხოლოდ პ. გამყრელიძემ და ს. ჩიხელიძემ პირველად აღნიშნეს და რუკაზედაც დაიტანეს შავი ქანის განფენი-მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე — სოფ. სოფ. სანახშირისა და ქანდარის რაი-ონში. მაგრამ მათ არ უწარმოებიათ ამ ადგილების ქანთა შესწავლა და აპიტომ მათ მიერ აღნიშნული განფენის პეტროგრაფიული ბუნება არ იყო გარკვეული [1]. პ. თოფურიაც თავის გამოკვლევაში რკვიის გრანიტული ინტრუზივის შე-სახებ იხსენიებს მარტოთუნის მიდამოებში პორფირიტს, მაგრამ არ იძლევა მის აღწერას [9]. ჩვენ მიერ მარტოთუნის მიდამოების ჩვედა ტუფიტების წყებაში დადგენილ იქნა ფუძე ქანების მნიშვნელოვანი მონაწილეობა. ეს ქა-ნები მორიგეობს მუავე ქანებთან და ხუთი მძლავრი განფენის სახითაა წარ-მოდგენილი. პირველ მათგანს, სულ ზედას, სფერიული განწვევრება აქვს, ზოგ ადგილას მანდელშტეინური. განფენის კიდეებში ალბიტ-ოლიგოკლაზიანი ქლორიტით მდიდარი დიაბაზია, ხოლო ცენტრისაკენ ჩნდება ლაბრადორი და ცოტა ავგიტი; ცენტრალურ ნაწილში დიაბაზი შემდგარია ლაბრადორის, ტი-ტან-ავგიტის, ქლორიტისა და ილმენიტისაგან; გვხვდება აგრეთვე კალციტ-ქლო-რიტული პსევდომორფოზები ოლივინისადმი. ხშირია აპატიტის წვრილი ნემსები.

მეორე განფენი აგრეთვე მანდელშტეინური ქანია და ისეთივე შედგენი-ლობის დიაბაზ-პორფირიტით არის წარმოდგენილი.

მესამე განფენი განირჩევა სხვებისგან შუა ნაწილში კარგად გამოხატული სვეტებრივი განწვევრებით და სალი ბაზალტური ქანის იერით. პერიფერიულ ნაწილებში ეს განფენიც სფერულ განწვევრებას იჩენს და მომწვანო დიაბაზური ჰაბიტუსისაა. როგორც ჩანს, მისი სისალე მალალ კარნიზში განფენის სალი ნაწილის გამოჩენით აიხსნება. შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით ქანი აგრეთვე დიაბაზ-პორფირიტია და არ განსხვავდება დანარჩენებისაგან.

დანარჩენი ორი განფენიც მსგავსი შედგენილობის დიაბაზ-პორფირიტი-თაა წარმოდგენილი; სფერიული განწვევრება და მანდელშტეინური ტექსტურა ორივე განფენზე მეტ ნაკლებად კარგადაა გამოხატული.

ქვემოთ მოგვყავს მესამე და მეხუთე განფენის ქანთა ანალიზები, რომ-ლებიც ადასტურებენ ამ ქანების ფუძე ბაზალტურ შედგენილობას.

ნომ. №№	SiO <sub>2</sub>	TiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	FeO	MnO	MgO	CaO	Na <sub>2</sub> O	K <sub>2</sub> O	SO <sub>3</sub>	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	H <sub>2</sub> O	+ H <sub>2</sub> O	ჯამი
36	48,57	1,68	14,38	6,91	5,67	0,18	4,32	9,52	4,46	1,63	0,27	0,16	0,28	2,08	100,11
41	42,90	1,05	14,24	4,57	4,73	0,17	9,28	11,58	3,32	0,97	0,10	0,12	4,85	2,08	99,99

მაგმური ფორმულები ფ. ლევისონ-ლესინგის მიხედვით:  
 ნომ. 36 ნომ. 41



რიცხვითი დახასიათებანი ა. ზავარიცკის მიხედვით:

ნიმ. 36

a = 12,3	f' = 42,4
c = 3,5	m' = 27,4
b = 27,2	c' = 30,2
s = 57,00	n = 81,0
Q = 14,5	

ნიმ. 41

a = 8,84	f' = 25,4
c = 4,76	m' = 47,5
b = 33,8	c' = 27,1
s = 52,6	n = 81,9
Q = 16,76	

შენიშვნა: ნიმ. № 36 შესაძებ განფენის ქანი, სადგურ მარტოთუბნიდან. ნიმ. № 41 მეხუთე განფენის ქანი, აღებული სადგურ მარტოთუბნის ჩრდილოეთით.

მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე აღნიშნული ფუძე ქანების გამოსავლები სანახშირეს ქედზე გავლით სოფ. ქანდარამდე გრძელდება. ამავე ქანების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ღიაბაზის განფენი, რომელიც შროშის ღიასის ქვედა ნაწილში, კონგლომერატებისა და უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების დასტაში იყო ჩვენ მიერ აღნიშნული.

ამრიგად, ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ზოგ ადგილებში ცნობილი ღიასური ასაკის ფუძე ვულკანიზმის მსგავსად, საქართველოშიაც ღიასურში მქავე ქანებთან ერთად, ფუძე პროდუქტების არსებობაც დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

### ბ. ღიასის ზღვიური ფაციესი

#### 1. უხეშმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვების ჰორიზონტი

ზღვის მკაფიო ტრანსგრესია ძირულის მასივის გარშემო მხოლოდ შუა ღიასურიდან იწყება; ქვედა ღიასურში, როგორც უკვე ვნახეთ, ზღვიური ნალექები არა გვაქვს, რის გამო ზღვიური შუა ღიასური უშუალოდ განლაგებულია კონტინენტურ ნალექებზე ან კრისტალურ მასივზე. შუა ღიასურის შედგენილობაში ფაუნით დადასტურებული ყველაზე ძველი ნალექები დომერულია. შუა ღიასურის უთანხმოება ქვედა ტუფიტებზე ნათლად ჩანს, მაგრამ ეს ტრანსგრესია ძნელი შესამჩნევია შროშის მიდამოებში, სადაც ზღვიურ შუა ღიასურსა და მის ქვეშ მდებარე კონტინენტურ ქვედა ღიასურს შორის რაიმე უთანხმოების დაქერა არ ხერხდება, რასაც აღნიშნავენ ა. ჯანელიძე, პ. გამყრელიძე და ს. ჩიხელიძე. ჩვენ ვერ შევამჩნიეთ აქ უთანხმოების ნიშნები, თუმცა გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ ამგვარი უთანხმოება მომავალში დადგენილ იქნას. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ კონტინენტური ნალექების ზღვიურით შეცვლისას ხშირად არაერთარ უთანხმო განლაგებას არა აქვს ადგილი და მრავალი პარალური აუზის ნალექების ქვედა კონტინენტური წყება იცვლება ზევით ზღვიურით რაიმე ხილული უთანხმოების გარეშე.

შუა ღიასური თითქმის ყველგან იწყება უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვებით, რომლებიც თითქმის უწყვეტი ზოლის სახით არის შემოკრული მასივის გარშემო. მხოლოდ ზოგან გამოჩნდება სხვადასხვა სიმძლავრის კონგლომერატები; ასეთი ადგილებია:

სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზე

მდ. ნარულაზე—კონგლომერატის სიმძლავრე . . . . .	2	მეტრი
ადგ. ნიჩაფა—კონგლომერატის სიმძლავრე . . . . .	7	”
ჭარტალის ღელე . . . . .	4—5	”
ვახანის წყალი . . . . .	1	”
სურამი (ორხევისა და შუა ღელეს შორის) . . . . .	7—8	”
მდ. ღუმალაზე სოფ. ბერეტისასთან . . . . .	4	”

ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე

სოფ. ჯვართან . . . . .	25	მეტრი
სადგ. სალიეთთან	}	კირქვა მდიდარი კენჭებითა და რიყის ქვებით
ადგ. ხახულიახო . . . . .		

როგორი წარმოშობისაა ეს კონგლომერატები; მათი მასალა ზღვის აბრა-  
ზიული მოქმედების შედეგია თუ მდინარეების მიერაა მოტანილი? კონგლო-  
მერატებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ამ კითხვაზე მეტ-ნაკლებად და-  
მაჯერებელი პასუხი გავცეთ. ცნობილია, რომ აბრაზიის შედეგად გაჩენილი  
კონგლომერატები მარტივი შედგენილობისაა ანუ ოლიგომიქტურია, რადგან  
ზღვის მიერ ნაპირის აბრაზია, გარკვეულ უბანზე ძირითადად ერთგვარ ქანებს  
რეცხავს, ხოლო პოლიმიქტური კონგლომერატები მდინარის მიერ მოტანილი  
რიყის ხარჯზე არის წარმოშობილი. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ლია-  
სის კონგლომერატებს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ნიჩაფაზე კონგლომერატების შედგენილობა:

კვარცხორფირები . . . . .	35	%
კვ. ალბიტოფირები . . . . .	33	%
ვარდისფერი გრანიტები და ნაცრისფერი კვ. დიორიტები	16,5	%
პეგმატიტები . . . . .	8	%
ძარღვის კვარცი . . . . .	7	%

სრულიად ასეთივე პოლიმიქტური ხასიათისაა მდ. ნარულასა და მდ.  
ჭარტალის ღელის კონგლომერატები, რომლებიც სათანადო ადგილას იყო  
ზემოთ აღწერილი.

ნაკლებ ჭრელი, მაგრამ მაინც პოლიმიქტურია სურამის კონგლომერატე-  
ბის შედგენილობა, რომელშიც შედის:

კვ. პორფირები, კვ. ალბიტოფირები და მათი ტუფები . . . . .	80	%
გრანიტები . . . . .	5	%
კვარცი . . . . .	10	%
მიკროპეგმატიტი . . . . .	5	%

ასეთივე შედგენილობა აქვს მდ. ღუმალის კონგლომერატებს. მათი ანა-  
ლოგიური უნდა იყოს ჯვარის კონგლომერატებიც, რომელთა მასალა ჩვენ  
ხელთ არა გვქონდა.

თუ პოლიმიქტურ შედგენილობას დავუმატებთ კონგლომერატების მნიშ-  
ვნელოვან სიმძლავრეს, ცხადი გახდება, რომ ამ ქრილებში მდინარის მიერ



მოტანილი მასალის ხარჯზე წარმოშობილ კონგლომერატებთან გვაქვს საქმე და, მაშასადამე, სათანადო ადგილას მდინარეთა შესართავების არსებობა უნდა ვიგულისხმოთ.

რადგან ძირულის მასივი იმ დროს შედარებით მცირე ზომის ხმელეთს (კუნძულს) წარმოადგენდა, ცხადია, მდინარეები უფრო მოკლე, მცირეწყლიანი ლეღები იქნებოდა. ამით უნდა აიხსნას კონგლომერატის მასალის ზოგჯერ ცუდი დამუშავება და იშვიათად კუთხედი ხასიათიც კი.

კონგლომერატის ცემენტი ისეთივე შედგენილობის ქვიშაქვითაა წარმოდგენილი და ხშირად ცემენტი იმდენად ჭარბობს, რომ მსხვილი კენჭები მასში თითო-ორიოლა თუა გაბნეული. ფაუნა სრულებით არა გვხვდება.

ზოგ ადგილას, (მაგ., ვახანისწყალი, სალიეთი, ხახულიახო) კენჭებიანი კირქვის კონგლომერატები მათი მცირე სიმძლავრის და ერთგვაროვანი შედგენილობის შიხედვით აბრაზიულ კონგლომერატებს უნდა წარმოადგენდეს.

ზღვის ტრანსგრესიის განვითარებასთან დაკავშირებით კონგლომერატები ყველგან იფარება არკოზული და კვარციანი ქვიშაქვების დასტით, რომელიც კონგლომერატებისაგან განსხვავებით ნამდვილად უწყვეტ ზოლს ქმნის. ამ დასტების ქვიშაქვების გრანულომეტრიული შედგენილობა საკმაოდ ერთგვაროვანია ყველა ჭრელში და ხასიათდება მსხვილი პსამიტური ფრაქციის ( $>0,5$  მმ) მკვეთრი სიჭარბით ყველა დანარჩენ კომპონენტზე; მისი რაოდენობა მერყეობს  $40\%$ -დან  $91\%$ -მდე; მართალია, ამ დასტაში გამოიყვება ცალკეული ლინზები როგორც კონგლომერატების, რომელთა შედგენილობაში პსეფიტური ფრაქციაა მთავარი, ისე საშუალო პსამიტებიც, სადაც მთავარ როლს ასრულებს ფრაქცია  $0,5-0,2$  მმ, მაგრამ ძირითადად გვაქვს ქანები, რომლებშიც მსხვილი პსამიტი  $50\%$ -ზე მეტია. მეორე ადგილი უჭირავს საშუალო პსამიტს ( $0,5-0,2$  მმ), რომლის რაოდენობა სხვადასხვა შრეში იცვლება  $20-50\%$  ფარგლებში, მაგრამ ზოგში  $6\%$ -მდეც ეცემა. დანარჩენი სტრუქტურული კომპონენტები: წვრილი პსამიტი ( $0,2-0,1$  მმ), ალვერიტი ( $0,1-0,01$  მმ) და პელიტი ( $<0,01$  მმ) ერთად აღებული,  $20\%$ -მდე თუ აღწევს, ხოლო მეტწილად  $10-15\%$  ფარგლებში რჩება. ამგვარად, სტრუქტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დახარისხებულ მსხვილ პსამიტებთან გვაქვს საქმე. როგორც კონგლომერატების აღწერისას უკვე იყო აღნიშნული, ამ ქვიშაქვების დასტის ქვედა შრეების შედგენილობაში ზოგჯერ პსეფიტური მასალაც მონაწილეობს საგრძნობი რაოდენობით და მაშინ ქვიშაქვა კონგლომერატისაკენ გარდამავალ ტიპს ქმნის.

ამ ქვიშაქვების გრანულომეტრიული შედგენილობის ერთგვარობა მათი დალექვის პირობების ერთგვარობაზე მიგვიბრუნებს, ე. ი. ზღვის ნაპირის ხასიათი, მასალის მოტანისა და დახარისხების პირობები ძირულის მასივის მთელ პერიფერიაზე ძირითადად ერთგვარი იყო.

ქვიშაქვების დასტის სიმძლავრე სხვადასხვა ადგილას ცვალებადობს 5-დან 20 მეტრამდე. განსხვავება სიმძლავრეებში უნდა აიხსნებოდეს ზღვის ზოგ უბანში მდინარის მიერ მასალის უხვად შემოტანით, რის გამოც აქ მეტი სისქის ნალექები დაგროვდა, ხოლო სადაც ნალექები აბრაზიული მასალით

სხვადასხვა ქვიშაქვების გრანულომეტრიული ანალიზი, ცხრილი 1.

ქ რ ი ლ ი	>0,5	0,5-0,2	0,2-0,1	0,1-0,01	<0,01
ნარულა . . . . .	17-75	14-55	3-14	9-21	2-7
ყვირილა . . . . .	6-74	7-25	1-10	1-28	17-29
გლინავი . . . . .	67-68	15-17	3-3	6-7	5-6
შროშა . . . . .	25-60	16-35	3-21	5-17	0,5-21
წიფლავაკე . . . . .	35-87	0,7-29	1-12	2-13	0,2-3
ჩხრიალეთი . . . . .	41	22	11	16	8
ლაღვანთა . . . . .	50	30	4	8	6
ვახანისწყალი . . . . .	48	24	7	12	6
მარელისის ქედი . . . . .	69	16	3	7	4
კარტალის დღღე . . . . .	46-55	18-26	4-5	11-12	9
ორხევი . . . . .	53	30	4	7	5
ხევა . . . . .	29	46	5	11	7
ქფილარი . . . . .	6-37	23-61	5	11-21	15
კარტნაულა . . . . .	46	7	1	4	41
ჩონთო . . . . .	53	25	5	9	6
ოტრია . . . . .	59-78	13	3-4	3-9	3-14
ქერათხევი . . . . .	80-91	6-11	0,5-2	1-4	0,4-2

იკვებებოდა, იქ ქვიშაქვების სიმძლავრეც მინიმალურია. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ უფრო მძლავრი ქვიშაქვები გვაქვს სწორედ იქ, სადაც კონგლომერატები გვქონდა აღნიშნული. შრეებრიობა ქვიშაქვებში ხშირად მეტ-ნაკლებად მკაფიოა, მაგრამ ჩრდილო პერიფერიის ზოგ ადგილას შრეებრიობა ძალზე ცუდი და ძნელად შესამჩნევია. ამავე ჩრდილო ზოლში ქვიშაქვები უშუალოდ არის განლაგებული გრანიტული მასივის უსწორმასწორო ზედაპირზე და მის კენჭებსაც საკმაოდ შეიცავს. ფაუნის რაიმე ნაშთი ქვიშაქვებში არსად არ ჩანს; ცუდად დაცული განახშირებული მცენარეული ნაშთები მხოლოდ ზოგ ადგილას გვხვდება, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით (ნარულა, ნიჩაფა, ბერეტისა), ხოლო მდ. კარტნაულის ლიასის სულ ქვედა შრე 3 სმ სისქის ნახშირის მოკლე ლინზას შეიცავს, ამავე შრეში კარგად ჩანს მიმართებაზე მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვის გადასვლა უხეშ-მარცვლოვან ქვიშაქვაში და წვრილკენჭიან კონგლომერატში.

შედგენილობით ქვიშაქვები უპირატესად არკოზული და არკოზულ-კვარციანი სახესხვაობით არის წარმოდგენილი. კვარციანი ქვიშაქვები, რომლებშიც მინდვრის შპატები მკვეთრად დამორჩილებულ როლს თამაშობს, მხოლოდ ქერათხევის ლიასში გვხვდება.

ქვიშაქვების ცემენტი მეტწილად სერიციტულ-კაოლინური მასაა, ზოგჯერ კი რუხი ფერის პელიტური მასა. ორივე შემთხვევაში მინდვრის შპატების შეცვლის პროდუქტებთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია, რომ კარბონატული ცემენტი ამ ქვიშაქვებში სრულებით არ გვხვდება, გარდა კალციტის ერთეული ლაქებისა ზოგ ნიმუშში. პირიტის ძლიერ ცოტაა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ცემენტში პელიტურ ნივთიერებასთან ერთად ლაქების სახით ლიმონიტია გაბნეული.

ქვიშაქვების მოყვანილი დახასიათება საშუალებას გვაძლევს ისინი ლიტორული ზონის ნალექებად ჩავთვალოთ, რომლებიც ნაპირის ზვირთცემის პირობებში ჩნდებოდნენ, თუმცა ნაწილი, განახშირებული მცენარეებით მდიდარი ქვიშაქვები, შესაძლოა ზვირთცემის ზონის ზევით ხმელეთზე დალექილი იყოს. ქვიშაქვების გავრცელების ზოლში მხოლოდ მექანიკური მასალის დალექვას ჰქონდა ადგილი, ხოლო ქიმიური ნალექები კარბონატების სახით თითქმის სრულებით არ ილექებოდა. აუზი კარგად მარავდებოდა ჟანგბადით და გოგირდწყალბადით მოწამლული მდგარწყლიანი ლაგუნები, ლიმანები ან მოწყვეტილი ყურეები (ბუხტები), სრულიად არ აღინიშნება, რაც იმით დასტურდება, რომ პირიტს ქვიშაქვებში ვერ ვხვდებით და არც შლამიანი ნალექები არის აღნიშნული ამ ჰორიზონტის გავრცელების ფარგლებში.

ქვიშაქვების ზოლში კარბონატული მასალის სრულიად არარსებობა აიხსნება იმით, რომ ამ დროს ძირულის მასივი საკმაოდ ამოწეული იყო და ინტენსიურ ეროზიას განიცდიდა, რომლის პროდუქტები მსხვილი არკოზული ქვიშის სახით წარმოადგენდა მთავარ მასალას ამ დროის ნალექებისათვის. ქიმიური გამოფიტვის სისუსტე იწვევდა ზღვაში გახსნილი მასალის მცირე რაოდენობით ჩატანას. ამას ის გარემოება ერთვოდა, რომ ზღვის სანაპირო ზოლში წყალი არ უნდა ყოფილიყო მაღალი მარილიანობის, ე. ი. ნორმალურზე ნაკლები კონცენტრაცია უნდა ჰქონოდა, რადგან ამაღლებული ძირულის მასივიდან სწრაფად მიმდინარე, თუნდაც მცირეწყლიანი, მაგრამ მრავალრიცხოვანი მდინარეების მიერ ჩატანილი წყალი იწვევდა ვიწრო ზოლში წყლის საგრძნობ გამტკნარებას. ხოლო, მდინარეთა რიცხვი რომ საგრძნობი იყო, ეს ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ მრავალ ადგილას მდინარეული ფაცივის კონგლომერატებისა და ქვიშაქვების არსებობით. ქიმიური გამოფიტვის სისუსტესა და წყლის სიმტკნარეზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რკინისყანგი (ჰემატიტი, ლიმონიტი და სხვ.), რომელიც საგრძნობი რაოდენობით ილექება ზედა ჰორიზონტებში, ქვედა ქვიშაქვებში სრულებით არ გვხვდება.

## 2. წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების ჰორიზონტი

მსხვილმარცვლოვან ლია მოთეთრო-ნაცრისფერ კვარციან არკოზულ ქვიშაქვებს თითქმის ყველგან ცვლის წვრილმარცვლოვანი ან ალფერიტული ქვიშაქვების დასტა, რომლის სიმძლავრე სხვადასხვა ადგილას ცვალებადობს—0-დან 40—60 მეტრამდე. ეს დასტა ყველაზე კარგად არის წარმოდგენილი სამხრეთ ზოლში. დაწყებული ნარულიდან ის მიემართება აღმოსავლეთისაკენ, სადაც სოფ. კობთან, ხაშურის რაიონში, ისოლება. ასევე, შროშის აღმოსავლეთით დასტას გამოსოლვა ეტყობა და სულ არ გვხვდება ბჟინევის და საქასრიას მიდამოებში, სადაც მათი არარსებობა ტექტონიკით აიხსნება და არა და-

ლექვის პირობებით, რადგან დასახელებული ადგილების დასავლეთით და აღმოსავლეთით დასტა საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი და დიდი სიმძლავრითაც ხასიათდება.

სხვაგვარი სურათი გვაქვს ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზე. კაცხისა და სალიეთის მიდამოებში ეს ჰორიზონტი საერთოდ არ გვხვდება და იქ კირქვები უშუალოდ ქვედა უხეშმარცვლოვანი არკოზული ქვიშაქვების დასტას ადევს, ხოლო უფრო აღმოსავლეთით, მდ. დუშალის ხეობაში, წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვების დასტა 80—100 მეტრამდე აღწევს სიმძლავრით და აღმოსავლეთისაკენ მიმართებაზე, თანდათან იცვლება არგილიტებით და მერგელოვანი არგილიტებით. თუ ქარსიანი ქვიშაქვების ჰორიზონტის სიმძლავრე მდ. დუშალაზე 100 მეტრს არ აჭარბებს, აღმოსავლეთით მდ. კარტაულაზე, ოტრიაზე, ქერათხევეზე და გვირგვინასთან ქარსიანი ქვიშაქვების და ფაციალურად მათი შემცვლელი არგილიტების სიმძლავრე 180—200 მეტრამდე აღწევს. კარბონატით ან თიხით გამდიდრებული ცალკეული შრეები ქვიშაქვებს შორის გამოერევა ხოლმე სამხრეთი პერიფერიის ლიასშიც, ისევე, როგორც მსხვილ ან საშუალომარცვლოვანი ქვიშაქვების ცალკეული შრეებიც, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება განსაკუთრებით ქვედა ქვიშაქვებისაკენ გარდამავალ დასტებში. ამით არის გამოწვეული გრანულომეტრიული შედგენილობის ცვალებადობის დიდი ფარგლები ზოგ შრეში, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ კარგად დახარისხებულ მასალასთან გვაქვს საქმე.

ქვემომოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს ამ ჰორიზონტის გრანულომეტრიული შედგენილობის თავისებურება. ქვიშაქვების მთავარი მასა შემდგარი ალევრიტული ფრაქციისგან, იშვიათად გამოერევა ისეთი ქვიშაქვა, სადაც მთავარ როლს წვრილი პსამიტი (0,2—0,1 მმ) ასრულებს. საშუალო და მსხვილი პსამიტის როლი კი სრულიად უმნიშვნელოა და უმეტესობა შრეებში მათი შემცველობა ნულამდე ეცემა. გარდამავალ შრეებში იშვიათად მსხვილი პსამიტიც გვხვდება, არგილიტებში კი მთავარ როლს პელიტური ფრაქცია თამაშობს, რომელიც ზოგჯერ ქანის 80—100% შეადგენს.

მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამ ჰორიზონტის გრანულომეტრიული შედგენილობის მკვეთრ განსხვავებას ქვემდებარე ქვიშაქვების ჰორიზონტისაგან. ზედა ჰორიზონტებში მკაფიოდ ჩანს მასალის კარგი დახარისხება, ალევრიტულ-პელიტური ფრაქციის წამყვანი როლი და სხვა ფრაქციების მკვეთრად დამორჩილებული ადგილი ან მათი სრული გამოვარდნა ქანების შედგენილობიდან; ქვედა ჰორიზონტში, პირიქით, საგრძნობია მასალის დაუხარისხებლობა, რის შედეგადაც თითქმის ყველა ფრაქცია იღებს დასტების შედგენილობაში მონაწილეობას.

ეს გარემოება ადასტურებს, რომ ზედა, ქარსიანი ქვიშაქვები უკვე ნამდვილად ზღვიური ნალექებია და ისინი ზღვის ტრანსგრესიის შემდგომ განვითარებაზე მიუთითებს, იმ დროს, როდესაც ქვედა ქვიშაქვები უშუალოდ სანაპირო ზვირთცემის ზოლის ნალექებს წარმოადგენს და საკმაოდ შეიცავს კონტინენტური ქვიშაქვებისათვის დამახასიათებელ ელემენტებსაც.


სხვადასხვა კრილების წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვებისა და არგილიტების გრანულომეტრიული ანალიზი

ცხრილი 2

კ რ ი ლ ი	>0,5	0,5—0,2	0,2—0,1	0,1—0,01	<0,01	უხსნადი ნაშთი
ნარულა . . . . .	—	1—15	28—47	12—33	20—37	66—100
ყვირილა . . . . .	—	2—3	52—54	30—34	11—12	87—100
წიფლაფაქე . . . . .	2,5	15,7	58	19	4,7	100
გლინავი . . . . .	—	12—20	10—23	53—61	7—13	94—99
შროშა . . . . .	2—58	15—27	16—27	6—52	7—24	100
საქასრია . . . . .	—	—	—	—	—	—
ბჟინევი . . . . .	—	—	—	—	—	—
ჩხრიალეთი . . . . .	20	15	3—11	41—60	12—28	42
ლაღანთა . . . . .	—	—	—	—	—	—
ვახანისწყალი . . . . .	0—15	0—40	20—60	25—40	0—15	64—90
მარედისის ქედი . . . . .	—	—	23	57	20	87
ქარტალის დღღე . . . . .	—	1—7	12—42	36—78	1—17	73—88
ორხევი . . . . .	0—37	5—33	4—62	8—58	7—39	100
ხევა . . . . .	2—5	75—60	5—8	5—20	10	93—100
ქფილარი . . . . .	0—8	0—17	0—30	2—25	13—70	22—100
სალიეთი . . . . .	—	—	—	—	—	—
კაცხი . . . . .	—	—	—	—	—	—
კარტნაულა . . . . .	—	—	—	80—85	15—20	86—95
ჩონთო . . . . .	—	—	—	—	—	—
ოტრია . . . . .	—	—	0,5—5	5—98	2—98,5	76—100
ჭვრათხევი . . . . .	—	0,60	0—40	5—40	10—95	—
გვირგვინა . . . . .	—	—	—	35—60	40—65	89—94
ფრონე . . . . .	—	—	1—3	2—6	94—98	40—98

ქარსიანი ქვიშაქვები ყოველთვის მუქი რუხი ფერით ხასიათდება, გარდა ზოგი უბნებისა, სადაც ჰემატიტის შემცველობის გამო მურა წითელი ფერი აქვს (მდ. ნარულა, მდ. გლინავი და ს. შროშა). შრეებრიობა ყოველთვის მკაფიოდ გამოხატულია. ცალკეულ შრეთა სიმძლავრე 0,3—1 მეტრამდეა. ამ ქვიშაქვებისათვის დამახასიათებელია მუსკოვიტის წვრილი ქერცლების საგრძნობი რაოდენობით შემცველობა. შედგენილობა ასეთია: კვარცის წვრილი კუთხედი მარცვლები 40—60%, ძლიერ შეცვლილი, თითქმის მთლიანად გათიხებული პლაგიოკლასების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ქარსის ფურცლები 5—10%-მდე და თიხოვანი ცემენტი, რომელიც ზოგჯერ ქანის მთავარ მასას ქმნის და შემდგარია სერიციტული და კაოლინური უწვრილესი ქერცლებისაგან. ცემენტი ზოგჯერ სხვადასხვა ინტენსივობით ჩანაცვლებულია ჰემატიტით, ზოგჯერ ლიმონიტით, რომლებიც ხშირად მკაფიოდ გამოხატულ ოლითურ სტრუქტურას იჩენენ (სურ. 2), ხან კი მთლიან მასას ქმნიან (სურ. 3). ქვედა ქვიშაქვებისაგან განსხვავებით, ქარსიანი ქვიშაქვების ჰორიზონტს ახასიათებს შესამჩნევი კარბონატულობა. ქვედა ქვიშაქვებში, როგორც უკვე წინა თავში ვნახეთ, უხსნადი ნაშთი მეტწილად 100% უდრიდა, ქარსიან

ქვიშაქვებში კი ისეთი შრეები, რომლებშიც კარბონატი სრულიად არ გვხვდება, იშვიათი მოვლენაა, და ჩვეულებრივ უხსნადი ნაშთის რაოდენობა 70—90% ფარგლებში იცვლება, ე. ი. კარბონატულობა 10—30% უდრის. კალციტი ზოგ ქვიშაქვაში ლაქების სახით ანაცვლებს თიხოვან ცემენტს. თითქმის ყველგან მკაფიოდ ჩანს, რომ კარბონატული მასალის რაოდენობა თანდათან იზრდება ჰორიზონტის ზედა ნაწილისაკენ. კარბონატულობის ზრდა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, სადაც ნაცვლად ალვერიტული ქვიშაქვებისა, არგილიტები და მერგელებია განვითარებული, რომლებშიაც საკმაოდ ხშირად თიხიანი სიდერიტის კონკრეციებაც ვხვდებით.




სურ. 2. ალვერიტული ქვიშაქვა ჰემატიტის ოლითებით. Pl—პლაგიოკლასი; H—ჰემატიტი; Qa—კვარცი. ნიკ. II; გად. 26×

ამგვარად, ყველა ნიშნების მიხედვით ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, შედარებით სამხრეთ პერიფერიასთან, საკმაოდ ღრმა ზღვის ნალექებთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ნალექებში საკმაოდ ხშირად გვხვდება პირიტის კონკრეციები.

ქარსიანი ქვიშაქვებისათვის დამახასიათებელია მცენარეული ნაშთების მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობა. გარდა ამისა, ეს ჰორიზონტი ლიასურ ნალექებში ქვევიდან პირველია, რომელშიც ფაუნა გვხვდება. ასე მაგალითად, შდ. გლინავის ლელეში და სოფ. შროშაში ამ ქვიშაქვებიდან ჩვენ

შიერ შეკრებილია ამონიტები და ბელემნიტები, რომელთა შორის განსაზღვრულია შუა ლიასის დამახასიათებელი ფორმები.

ქარსიანი ქვიშაქვების ჰორიზონტის შემომოყვანილი დახასიათება საშუალებას გვაძლევს მათი დაღეჯვის პირობები შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მასლის კარგი დახარისხება, მკაფიო შრეებრიობა, წვრილმარცვლოვანება, მასში ხშირად კარგად დაცული გაშლილი ზღვის დამახასიათებელი ფორმების არსებობა, ამ ქვიშაქვების შედარებით ქვედა ქვიშაქვებთან უფრო ღრმა ზღვისა და ნაკლებმოდრავი წყლის პირობებში დაღეჯვაზე მიუთითებენ, მაგრამ, ქვიშაქვებში მცენარეული ნაშთების სიუხვე და რკინის ჟანგის არსებობა, ზოგჯერ მკაფიოდ გამოხატული ოლითების სახით, იმის სასარგებლოდ ლა-



სურ. 3. ადგიარტული ქვიშაქვა ჰემატურ ცემენტით. Pl—პლაგიოკლასი; H—ჰემატიტი; Mu—მუსკოვიტი; Qu—კვარცი. ნივ. ||. 26X

პარაკობს, რომ მათი დაღეჯვის ზოლი ნაპირიდან არ იყო საგრძნობლად დაშორებული. პირიქით, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ოლითური ჰემატიტის შემცველი ქვიშაქვები უდავოდ სანაპირო ზოლის ნაღებებია, რადგან ოლითები მხოლოდ ნაპირის ზოლში და წყლის მოძრაობის პირობებში ჩნდება. მაშასადამე, ოლითური ჰემატიტის შემცველი ქვიშაქვების დაღეჯვის უბნები, რომელთა შორის ხვდება ზოლი ნარულიდან საქასრიამდე, სანაპირო ზოლს წარმოადგენს. თუ ქარსიანი ქვიშაქვების ქვედა ჰორიზონტების დაღეჯვის აუზი მეტწილად გოგირდწყალბადით იყო მოწამლული და მასში პირიტი ჩნდებოდა, ზედა ჰორიზონტების დაღეჯვისას პირიქით, აღდგენითი არე დამუხანგველი არით იცვლებოდა, რაც აგრეთვე სწორედ სანაპირო ზოლის მოძრავი წყლებისათვის არის დამახასიათებელი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე კი ზღვის ამგვარ გათხელებას ზედა ჰორიზონტებში ადგილი არა ჰქონია და იქ ჰორიზონტის დაღეპვის მთელ მანძილზე აღმდგენელი არე და გოგირდ-წყალბადით მეტ-ნაკლებად მოწამლული აუზი გვქონდა, რის გამოც იქ ჩნდება პირიტი და სიდერიტი, ხოლო ჰემატიტისა და ლიმონიტის კვალიც კი არსად ჩანს.

### 3. კირქვების ჰორიზონტი

კირქვების ფაციესი კარგად არის გამოხატული სამხრეთ და ჩრდილო-პერიფერიაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე კი არგილიტებითა და მერგელოვანი არგილიტებით იცვლება, ხოლო სალიეთის კირქვების მძლავრი გამოსავალი აღმოსავლეთისაკენ მიმართებაზე, წვრილმარცვლოვანი ქარსიანი ქვიშაქვების ფაციესით იცვლება.

კირქვების სიმძლავრე სხვადასხვა ადგილას ერთგვარი არაა. მაკრო-სკოპიულად ძირითადად კირქვების ორი სახესხვაობა გვაქვს: მჭიდრო, ერთგვაროვანი, რომლებიც ჩვეულებრივ კრინოიდების ნაშთებით არიან მდიდარი და ბრეჭიული, რომელშიც უფრო მჭიდრო აგებულების კირქვების უბნები უწესრიგოდაა გაბნეული შედარებით მარცვლოვან კირქვაში.

საველე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბრეჭიული კირქვები ყოველთვის ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება კირქვების დასტაში და ისინი ყოველთვის მონაცრისფრო-მორუხო ფერისაა, ხოლო წითელი კირქვები ნაკლებად არის ბრეჭიული.

ქვიშაქვებიდან კირქვებისაკენ თანდათან გადასვლას აქვს ადგილი. ჯერ ქვიშაქვების თიხოვან ცემენტში კალციტის ლაქები ჩნდება, შემდეგ ცემენტი მთლიანად კალციტურია და ხშირად კალციტური ცემენტი ისე უხვადაა, რომ ქვიშის მასალას თითქმის არ ჩამორჩება და ძნელი გასარკვევია თუ რა ვუწოდოთ ქანს: კირქვის ცემენტიანი ქვიშაქვა თუ ქვიშიანი კირქვა. ზედა ჰორიზონტში კირქვები უფრო სუფთა ხდება და მათში მექანიკური მასალის მინარევი 1—2%-მდე ეცემა.

ქვევით ცხრილებში მოცემულია 4 ადგილის დამახასიათებელი კირქვების უხსნადი ნაშთის შემცველობის ცვალებადობა ვერტიკალური დედმავალი მიმართულებით და უხსნადი ნაშთის მექანიკური შედგენილობის სურათი.

4 ცხრილიდან 3 სამხრეთი პერიფერისაა, ხოლო ერთი ჩრდილო პერიფერიის.

სალიეთიც ანალოგიურ სურათს იძლევა.

ამ ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ ქვევიდან ზევით უხსნადი ნაშთის რაოდენობა საერთოდ მცირდება, მაგრამ ზოგან (მაგ. საქსარია) უხსნადი ნაშთის დიდი რაოდენობა ზედა ჰორიზონტებში გამოწვეულია იქ ტუფური მასალის შერევით კირქვებთან. ასეთი ტუფოგენური კირქვების, უკეთ რომ ვთქვათ, კირქვიანი ტუფოგენების დასტა ყველაზე კარგად გამოხატულია მდ. ყვირილაზე, სადაც ის წითელი კირქვების ქვეშ და რუხი ბრეჭიული კირქვების თავზე არის მოქცეული და სიმძლავრით 43 მ აღწევს.

მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ უხსნადი ნაშთის შედგენილობაში



მდ. ყვირილის კირქვების უხსნადი ნაშთის რაოდენობის ცვალებადობა და მექანიკური შედგენილობა

ცხრილი 3

ძირულის მასივის ლიასური ნალექების ლითოლოგია

161

მდ. ყვირილის კირქვების უხსნადი ნაშთის რაოდენობის ცვალებადობა და მექანიკური შედგენილობა

ცხრილი 3

ნომ.	უხსნადი ნაშთი	უხსნადი ნაშთის მექან. შედგენილობა				
		ფრ. >0,5	0,5-0,2	ფრ. 0,2-0,1	0,1-0,01	<0,01
	29,7	—	—	—	4,6	95,4
	34,6	—	—	—	2,5	97,5
	53,7	—	—	—	4,5	95,5
	62,4	1,4	1,7	3,7	14,1	80,5
	76,7	—	—	1,4	1,5	98,1
	66,7	—	—	2,75	1,5	96,2
მდ. გლინავეი						
	11,4	—	3,5	—	5,2	91,2
	12,4	—	0,8	—	10,4	88,7
	66,8	—	0,4	1,8	10,4	79,4
	16	—	1,3	—	30	68,7
	22,2	—	0,9	11,8	6,9	81,6
	45	—	—	2,6	21,7	74,7
	24,8	—	—	3,4	24	72,6

საქასრიას კირქვების უხსნადი ნაშთის რაოდენობის ცვალებადობა და მექანიკური შედგენილობა

ცხრილი 4

ნომ.	უხსნადი ნაშთი	უხსნადი ნაშთის მექან. შედგენილობა				
		>0,5	0,5-0-2	0,2-0,1	0,1-0,01	<0,01
1	55,4	7,9	16,2	5,2	47,7	22,9
	33,6	—	1,6	7	25	56,4
	5,4	—	—	—	5,9	94,1
1	7,6	—	—	—	2,1	97,9
A	5,4	—	—	—	18,5	81,4
	4	—	—	—	15,8	85
	1,1	—	—	—	6,4	93,6
	18	14,5	3,4	7,3	16,7	57
	20	2	2,2	15,2	18,6	67,4

## კაცის კირქვების უხსნადი ნაშთის რაოდენობის ცვალებადობა და მექანიკური შედგენილობა

ცხრილი 5

№№ ნიმ.	უხსნადი ნაშთი	უხსნადი ნაშთის მექან. შედგენილობა				
		>0,5	0,5—0,2	0,2—0,1	0,1—0,01	<0,01
86	8	—	—	—	5	95
85	3	—	—	—	3,3	96,7
84	6,2	—	—	—	3,8	96,2
83	4,3	—	—	—	7,5	92,5
82	2,6	—	—	—	12,3	87,7
81 <sup>1</sup>	10,6	—	—	—	7,5	92,5
80 <sup>1</sup>	30,2	—	—	—	12,5	87,5
80	29,8	—	—	—	14,9	85,1
79 <sup>1</sup>	8,8	—	—	—	13,6	86,4
79 <sup>1</sup>	10,6	—	—	—	9,4	90,6
78	2,9	—	—	—	2,7	97,3
78	2,8	—	—	—	5,7	94,3


მთავარ როლს პელიტური ფრაქცია თამაშობს (80—90%); მცირე რაოდენობით გვხვდება ალვერიტული მასალა, რომელიც ქვედა ნაწილებში ზოგჯერ 18—20% აღწევს. დანარჩენი ფრაქციები სრულიად არ გვხვდება.

მსხვილი ფრაქციები საგრძნობი რაოდენობით მონაწილეობს მხოლოდ საქასრიას და ხახულიახოს ქვედა კირქვებში და წარმოდგენილია მსხვილი არკოზული მასალით.

ფაუნა კირქვის ზოგ შრეში საკმაოდ გვხვდება, მაგრამ მეტწილად ცუდად დაცულია და ისეთი ნამტვრევებით არის წარმოდგენილი, რომ პალეონტოლოგებს განსაზღვრაც უჭირთ. ფაუნა მრავალგვარია. ა. ჯანელიძის მიხედვით, ამ კირქვებში ვხვდებით მარჯნებს, ღრუბლებს, კრინოიდებს, ზღვის ზღარბებს, ქიებს, ხავსცხოველებს, ბრაქიოპოდებს, გასტროპოდებს, ორსაგდულიანებს და თავფეხიანებს. ეს ფაუნა ჩვენ მიერაც არის ნაპოვნი კირქვებში მაკროსკოპულად ან მიკროსკოპში. ზოგჯერ ნამარხები ისე დამტვრეულია, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს დეტრიტულ კირქვებთან, რომლებიც ცალკეულ ლინზებს ჰქმნიან კირქვების შრეთა შორის. ზოგჯერ გვხვდება კრინოიდებით ისე გამდიდრებული შრეები, რომ ნამდვილი კრინოიდებიანი კირქვები გვაქვს. ეს უკანასკნელნი თითქოს უფრო ზედა ჰორიზონტებს უკავშირდება და შედარებით სხვა კირქვებთან უფრო სუფთაა მექანიკური მინარევებისაგან (სურ. 4).

აღსანიშნავია ღრუბლების მნიშვნელოვანი გავრცელება კირქვებში, რაც შლიფის მიკროსკოპული შესწავლის გზით იქნა დადგენილი.

კირქვის ზოგ შლიფში (შლ. 120, სურ. 4) ღრუბლების სპიკულები ბლო-  
მადაა, ხოლო ზოგში კი მხოლოდ ერთეული სპიკულები გვხვდება (შლ. № 116,  
სურ. 5). უმეტეს შემთხვევაში სპიკულები კალციტისაგან შედგება. ძალიან




სურ. 4. კრინოიდებიანი, და ღრუბლის სპიკულებიანი კირქვა.  
C—კალციტი; Cr—კრინოიდი; Sp—სპიკული. ნ. კ. ||. გად. 26X

იშვიათად ქალცედონის სპიკულები გვხვდება, ან კალციტიან-ქალცედონიანი, რის გამო ძნელი საოქმელი არის, თუ პირველადი ნივთიერება სპიკულისა რა იყო, რადგან ცნობილია, რომ ტალმაყანგიანი სპიკულები კალციტით ჩანაცვლებას განიცდიან და, პირიქით, კალციტისა ტალმაყანგით. სპიკულების ფორმებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს კირქვიან ღრუბლებთან, რადგან სპიკულების ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ტრიკლინური—ცენტრიდან გამომავალი, მეტწილად თანაბარი სიგრძის სამი სხივისაგან შემდგარი სპიკულები, რომლებიც სწორედ კირიანი ღრუბლებისათვის არის დამახასიათებელი. შედარებით იშვიათად გვხვდება ტალმაყანგიანი ღრუბლების ოთხსხივიანი სპიკულები და ერთღრძიანიც, მეტწილად ორივე წაწვეტებული ბოლოთი (ოქსენი).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ე. წ. ბრექჩიული კირქვები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უპირატესად ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება, სიღრმიდან ალბებულ საღ გამოუფიტავ ნიმუშებში ბრექჩიული სტრუქტურა არა ჩანს. დიდი ყუაღლებით გასინჯვისას ასეთ ნიმუშებში მხოლოდ ლაქებრივი აგებულება შეიძლება შევამჩნიოთ, რადგან ღია ნაცრის-

ფერ ოდნავ მარცვლოვან ძირითად მასაში გაბნეულია მცირე ზომის უფორმის ოდნავ უფრო მუქად შეფერილი, მაგრამ უფრო მკიდრო აგებულების კირქვების ლაქები. რადგან ამ ლაქებს გამოფიტვის აგენტების მიმართ მეტი გამძლეობა ახასიათებს, ამის გამო გამოფიტულ ზედაპირზე ეს ლაქები შესამჩნევი ლაქებრივი სტრუქტურის კირქვები ნამდვილ წვრილ ბრეკჩე კირქვად იქცევა. კირქვებში ჩართული ნატეხები სხვადასხვა ფორმის ზოგჯერ საკმაოდ შემოკრიბი ნაპირებით, ხოლო ზოგჯერ კი კარგად დამლეულიცაა; როგორც ჩანს, ამ ნატეხებს ჯეროვანი გადამუშავება განუცხადებიათ. ნატეხების ზომა ცვალებადობს 0.1 მმ—2—3 მილიმეტრამდე; იშვიათად აღემატება 5 მილიმეტრს, რამდენიმე სანტიმეტრამდე.



სურ. 5. ლაქებრივი კირქვა დრუბლის სპიკულებით. C—კალციტი; Sp—სპიკულიტი. მ. 11. გ. დ. 26x

ამ კირქვების შლიფების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბრეკჩიული კირქვის ორგანიზაციის უბუნებრივად შედგება: ქანის მთავარ მასას—მის ბაზისის წვრილკრისტალური ლია ნაცრისფერი კირქვა, რომელიც მრავლად დრუბლის სპიკულებს და მიკროორგანიზმების ნაშთებს. ამ წვრილკრისტალურ მასაში მოქცეულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის პელიტომორფული მიკრომარცვლოვანი კირქვის ნატეხები მეტად შეკრიბულ-შემოკრიბულ უსწორ ნაპირებით. ამ ნატეხებს ნაპირებიდან ჩამოშორება მცირე ზომის ლითები, რომლებიც მის მახლობლადვე არიან გაბნეული. ქანში ხშირად გვხვდება ჩანს, რომ ზოგი ნაფლეთი თავისი მოხაზულობით საგსებით უკვე იმ ყურეს, რომელიც მისი მოგლეჯის შედეგად გაჩნდა მთავარ ნატეხში.

ქანისაგან განსხვავებით, ამ ნატეხებში სპიკულები თითქმის სრულებით არ გვხვდება. აღწერილი მოვლენები გამოხატულია ქვემოთ ბრექჩიული კირქვის შლიფის მიკროსკოპულ სურათზე (ნახ. 5).

ამ ნატეხების ტიპის ქანები ცალკე შრის სახით ჩვენ შეგვხვდა ნარულისა და ყვირილის კირქვებში. უდავოა, რომ ბრექჩიული კირქვები გაჩნდა ქვედა შრის ოდნავ გამკვრივებული შლამოვანი კირქვის ნატეხების მოყოლით ზედა შრის მასალაში, ე. ი. საქმე გვაქვს ქვედა შლამოვანი კირქვის შრის გარეცხვასთან ზედა წვრილმარცვლოვანი სპიკულებიანი კირქვის შრის დალექვისას. ამგვარი გარეცხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სანაპირო ზღვის პირობებში ტალღების მოქმედებით.

ასეთი ლაქებრივი კირქვები საკმაოდ ხშირი მოვლენაა სხვადასხვა ქვეყნის გეოლოგიურ ჭრილებში. მკვლევარები მათი გენეზისის სხვადასხვა ახსნას იძლევიან მაგ., ნ. პრეობრაჟენსკის აზრით<sup>1</sup>, ლაქები ღრუბლების ნაშთებს წარმოადგენენ, რასაც ის ადასტურებს ზოგი მათგანის ფორმით. დიკსონი და ვოგანი ლაქების გაჩენას მიაწერენ კირქვის ზოგი უბნის გადაკრისტალებას ფორამინიფერებიანი კირქვის შლამში.

ჯორჯის მიხედვით, ამგვარი ლაქების გაჩენა შეიძლება მოხდეს ნალექის კოშტებათ სეგრეგაციის შედეგად. თუმცა ზოგი შემთხვევისათვის, მისი აზრით, აუცილებელია დავუშვათ სინგენეტური ბრექჩიების გაჩენაც.



როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტიური მასალიდან ჩანს, ჩვენი კირქვებისათვის არც ერთი ეს ახსნა არ გამოდგებოდა, გარდა უკანასკნელისა, რადგან ჩვენ კირქვებში: 1) ლაქებს არავითარი მსგავსება ღრუბლის ნარჩენებთან არ აქვს, 2) ისინი გარკვეულად წარმოადგენენ ქანის ნატეხებს, შემცველი კირქვებისგან განსხვავებული სტრუქტურით და, რაც მთავარია, განსხვავებული ფაუნით და 3) მათში ვხვდავთ არა სეგრეგაციის, არამედ მკაფიოდ გამოხატული დაქუცმაცებისა და დამსხვრევის პროცესს.

ამგვარად, ბრექჩიული კირქვების წარმოშობის ჩვენ მიერ მოყვანილი ახსნა ერთადერთი შესაძლებელი უნდა იყოს ჩვენი შემთხვევისათვის, ქვედა და ზედა შრის მუდმივი შერევით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ბრექჩიული კირქვების შრეები უხეშმარცვლოვანია და ცალკეულ შრეებს არ ემჩნევა მიკროშრეებრივობის რაიმე ნიშანი, რაც საერთოდ დამახასიათებელია შლამოვანი ფორამინიფერებიანი კირქვებისათვის.

აღნიშნული კირქვები რომ თხელი ზღვის ნალექებია და ხანდახან გაშიშვლებულიც კი იყო ზედაპირზე, დასტურდება მათში ხმობის ნაპრალების არსებობით. მრავალ შლიფში კარგად ჩანს თუ პელიტომორფულ ან წვრილმარცვლოვან კირქვებში ნაპრალების ქსელი როგორაა ამოვსებული მსხვილკრისტალური კალციტით, რომელიც მრავლად შეიცავს ნიჟარების დეტრიტუსს და კვარცის მარცვლებს. ამგვარი ქვიშაქვის „ძარღვებიანი“ კირქვის მიკროსკოპული სურათი მოყვანილია ქვემოთ (სურ. 6). როდესაც ზღვის გათხელების პირობებში კირქვის შლამოვანი ნალექები ამომზეურდებოდა ზედაპირზე მცირე


<sup>1</sup> ციტირებულია მ. შვეცოვის მიხედვით.

ხნით მაინც, ჩნდებოდა უწყესო ნაპრალების მთელი ქსელი. შემდეგ ზღვით ხელახლად გადაფარვისას ნაპრალები ამოივსებოდა ქვიშით (სურ.7) ორგანული



სურ. 6 და 7. ბრეჭილული კირკვები. ნაპრალებში დაგროვილია ქვიშის ნაწილაკები და ნიჟარების დეტრიტუსი. C—კალციტი; Pl—პლაგიოკლაზი; Qu—კვარცი; Or—ორთოკლაზი  
ნიკ. II. გად. 26 X

დეტრიტუსით ან ისევე კირქვისვე შლამით, რაც აგრეთვე იწვევდა თავისებური ბრექჩიული კირქვების გაჩენას. უკანასკნელში, ლაქებრივი კირქვებისაგან განსხვავებით, სადაც ლაქა ჩამჯდარია ცემენტში და მასთან შედარებით რაოდენობრივად უფრო ხშირად დამორჩილებულ როლს ასრულებს, მთავარ მასას ქმნის „ნატეხები“, ე. ი. დანაპრალეზული კირქვა, ხოლო ცემენტის როლს ასრულებს რაოდენობრივად მკვეთრად დამორჩილებული ხმობის ნაპრალეზის ამომვსები მასა, წარმოდგენილი დეტრიტუსით, კირქვიანი ქვიშით ან შლამოვანი კირქვით. დეტრიტულ კირქვას შემდეგ გადაკრისტალდება განუცდია, რისი შედეგიცაა მსხვილი კრისტალური კალციტის ძარღვები ზოგ ბრექჩიულ



სურ. 8 და 9. ბრექჩიული კირქვები შეცემენტებული მსხვილკრისტალურ კალციტით (ნატურალური სიდიდე). C—კირქვის ნატეხები; C<sub>1</sub>—ძარღვის კალციტი

კირქვის ცემენტში (სურ. 8, 9). ამ კირქვის თხელ სანაპირო ზოლში წარმოშობისა და გადარეცვის მოვლენები, ფაუნაზე დაკვირვების საფუძველზე, აღრევე იყო გამოთქმული აკად. ა. ჯანელიძის მიერ [15]; ქვემოთ მოგვყავს მისი მოსაზრება ამ საკითხზე:

„ყველა ნიშნის მიხედვით შროშის კირქვები სანაპირო ზოლში არიან დალექილი ძლიერ მოძრავ წყალში, ორსაგდულიანთა საგდულები დაცილებულია და მეტად ან ნაკლებად შემტვრეული, ამონიტების საცხოვრებელი კამერა, თუ კი გადარჩენილა, ნიჟარების ნამტვრევებით არის სავსე; ქანშიაც გვხვდება პაწია ლინზები, მთლიანად ნიჟარების დეტრიტუსისაგან შემდგარი... ის გარემოება, რომ ერთ ორ შიგა კალაპოტზე ჭიები ზის, ნათლად გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ახლად დალექილი და შემტკიცებული ქანი გადარეცვის მსხვერპლიც ხდებოდა და მეორად დალექვის მასალას იძლეოდა“.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მიღებული დასკვნები, რაც საველე დაკვირვებასა და მასალის მიკროსკოპულ შესწავლას ემყარება, სავსებით ადასტურებს ა. ჯანელიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

მსგავსი ბრეჩიული და ლაქებრივი კირქვები დეტალურად აღწერილი აქვთ მ. შვეცოვს და ლ. ბირინას მოსკოვის ნახშირის აუზიდან. ამ კირქვების წარმოშობას ასეთსავე პროცესს მიაწერენ.

ამრიგად, სამხრეთი და ჩრდილო პერიფერიის კირქვები თხელი სანაპირო ზღვის ნალექებია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიის მერგელოვანი ნალექები უფრო ღრმა ზღვის ნალექებს წარმოადგენს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სამხრეთ პერიფერიაზე რკინოვანი ნალექები წარმოდგენილია ჰემატიტით, ზოგჯერ მკაფიოდ ოოლითური სტრუქტურით, რაც უდავოდ უშუალოდ სანაპირო ზოლში დალექვის მაჩვენებელია, ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთ პერიფერიის ნალექებში რკინის ნაერთები მხოლოდ თიხოვანი სიდერიტის კონკრეციებს ქმნიან და, მაშასადამე, უფრო ღრმა ზღვას ახასიათებენ.

ჩვეულებრივ მიღებულა, რომ თიხოვან-მერგელოვანი ნალექები უფრო თხელ ზღვაში და ნაპირთან ახლოს გაჩენილი ნალექებია, ვიდრე კირქვები. მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ასეთი შეუსაბამობა, ძირულის მასივის პერიფერიებისათვის. ჩვენის აზრით, ამის ახსნა რელიეფის განსხვავებულ ხასიათში შეიძლება ვეძიოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ძირულის მასივი საკმაოდ ამალღებული და დასერილი იყო, რის გამო მის მოსაზღვრე შედარებით ღრმა ზღვას საკმაო რაოდენობით აწვდიდა წვრილ ქვიშას და თიხოვან მასალას. ზღვაში ამ დროისათვის უკვე დაიწყო კარბონატის გამოყოფა, მაგრამ, შედარებით მექანიკურ მასალასთან მისი მცირე რაოდენობის გამო, ის თიხებს შეერია და სუსტად მერგელოვანი არგილიტები და იშვიათად ქვიშიან-თიხიანი მერგელები მოგვცა.

სამხრეთი პერიფერიის ეროდირებული ზედაპირი კი აწვდიდა მოსაზღვრე ზღვას გახსნილ კარბონატს, ხოლო მექანიკური მასალა მკვეთრად დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამო აქ ილექებოდა სუსტად ქვიშიანი კირქვები.



უხვი და მრავალგვარი ფაუნა გვიჩვენებს, რომ ზღვის მარილიანობა ამ კირქვების დალექვის მთელ მანძილზე ნორმული იყო. მართლაც ამ კირქვების ხსნად ნაწილში  $MgO$ -ს შემცველობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ვერტიკალური მიმართულებით ზღვის მარილიანობის ზრდას ან შემცირებას ადგილი არ ჰქონია.

#### 4. ტუფური ფაციესი

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კირქვების ზედა ჰორიზონტებში მდინარეების ნარულის და ყვირილის ლიასურში საკმაო რაოდენობით ვხვდებით პიოველად პიროკლასტურ მასალას, რომელიც ზოგჯერ მარტო ქმნის მთელ შრეებს; მეტწილად ტუფოგენურ კირქვებთან გვაქვს საქმე, რომლებშიც აუზის დანალექი მასალა კალციუმის კარბონატითაა წარმოდგენილი, ხოლო მათში შერეულია პიროკლასტური მასალა. უკანასკნელი წარმოდგენილია პლაგიოკლაზისა და პიროქსენის მარცვლებით. პლაგიოკლაზი საღია, ანდუზინის რიგია, ზოგჯერ ოდნავ ზონალური. პიროქსენი უფერო ავგიტითაა წარმოდგენილი, მეტწილად საღია, თუმცა გვხვდება ქლორიტ-სერპენტინით ჩანაცვლებული მარცვლებიც. აღსანიშნავია, რომ ტუფოგენური კირქვები ტუფური დასტის ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება, სადაც კირქვა ორგანიზმების ცუდად დაცული ნაშთებით მდიდარია და შეიცავს ლიმონიტის ცალკეულ ლაქებს და ოლითებს (შლ. № 27). ზედა ჰორიზონტებში კი ტიპური აგლომერატული ტუფები გვაქვს, რომლებშიც კალციტი სრულებით აღარ ჩანს და პლაგიოკლაზის ნატეხები მეტწილად ინტენსიურად პელიტიზებული ალბიტით და ოლიგოკლაზ-ალბიტით არის წარმოდგენილი.

პირველადი პიროკლასტური მასალის მცირე რაოდენობა გვხვდება ზედა ჰორიზონტის კირქვებში სამხრეთ პერიფერიაზე თითქმის ყველგან, მაგრამ მეტწილად უმნიშვნელო რაოდენობით. ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე კი ასეთივე ხასიათის ტუფური მასალა შეგვხვდა სოფ. გვირგვინას მიდამოებში, მაგრამ აქ უკვე ქვედა ჰორიზონტებში, თუ მოვიგონებთ, რომ სამხრეთი პერიფერიის კირქვები სტრატиграფიულად ჩრდილო-აღმოსავლეთი პერიფერიის მერგელებისა და არგილიტების ექვივალენტებია, ნათელი გახდება, რომ პიროკლასტური მასალა ორივე შემთხვევაში სტრატиграფიულად ერთსადაიმავე დონეზე გვხვდება და ზედა ლიასურ დროს უპასუხებს.

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ვულკანური მოვლენები უკვე ზედა ლიასურში დაწყებულია. უდავოა, ეს იმ ვულკანიზმის დასაწყისია, რომელმაც ბაიოსში მძლავრი ვულკანოგენური წყება შექმნა.

#### 5. ლიასური ნალექების ძველბაზის სუბსტრატის ლითოლოგია

ლიასური ნალექების მკვებავი სუბსტრატის პეტროგრაფიული აღნაგობის თავისებურების გარკვევა თანამედროვე მასივის პეტროგრაფიული შედგენილობის ცოდნას მოითხოვს. ჩვენ ამ მიზნით ძირითადად ლიტერატურული წყაროები გამოვიყენეთ და აგრეთვე ჩავატარეთ მასივის ქანთა მძიმე და მსუბუქი ფრაქციების მინერალოგიური შედგენილობის შესწავლა დიფერენციალური და ფლუვიონტეგრაფიული ხერხით. ეს მონაცემები საკმაოდ ვრცლად არის გან-

ხილული ჩვენს შრომაში, რომელიც 1950 წელს გამოქვეყნდა [12], ამიტომ აქ ამ საკითხს მხოლოდ მოკლედ შევეხებით.

თანამედროვე ძირულის მასივში შემდეგი ფორმაციები გამოიყოფა: ა) მეტამორფული კომპლექსი, წარმოდგენილი კრისტალური ფიქლებისა და ფილიტების წყებებით და ბ) კალედონიურ ოროგენეზისთან დაკავშირებულ ინტრუზივები. მეტამორფულ კომპლექსში შემავალი წყებები უძველეს გეოსინკლინურ ნალექებს უნდა წარმოადგენდეს და ხნოვანებით კამბრიულზე და კამბრიულსწინა დროზეა მიკუთვნებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ კრისტალური ფიქლების წყების დიდი ნაწილი მაგმის ინტენსიური ინექციით მიგმატიტებად გადაქცეულა. ფიქლების ის ნაწილი, რომელსაც ეს პროცესები არ შეხებია, ვავრცელებით დამორჩილებულ როლს თამაშობს და მეტწილად ლინზისებური სხეულების სახით არის წარმოდგენილი. ასეთ უბნებში ძირითადად ქარსფიქლებს ვხვდებით, რომელთა შორის გამოირჩევიან: ბიოტიტიანი, მუსკოვიტ-ბიოტიტიანი, კვარციტული, გრანატ-ქარსიანი, ნაკლებ მეტამორფული მუსკოვიტ-სერიციტიანი და ქლორიტ-სერიციტიანი ფიქლები.

ამავე კომპლექსში ამფიბოლიტები და ნორმული პარაგენეზებიც აღინიშნება, ფიქლების ეს სახეობანი გამდიდრებულია გრანატიტით, სილიმანიტით და კორდიერიტით.

ფილიტების წყებაში ფიქლების თითქმის ყველა სახესხვაობა გვხვდება. აქ არის სუსტად სახეშეცვლილი თიხიანი და ნახშირიანი ფიქლები და ინტენსიურად მეტამორფული ქარს-ფიქლებიც.

კალედონიურ ოროგენეზისთან დაკავშირებულ ინტრუზივებში გამოიყოფა: კვარციანი დიორიტები (მეტწილად გნეისისებური), ჰიპერბაზიტები და პირველადი გაბროები, ვარდისფერი გრანიტები მათთან დაკავშირებული გაბრო-დიბაზებითა და აპლიტ-პეგმატიტებით.


მასივის შემადგენელი ძირითადი ტიპების დიფერენციალური და ფლუვიონტეგრაალური ხერხით შესწავლამ გვიჩვენა, რომ კრისტალური ფიქლების მძიმე ფრაქცია ბიოტიტის დიდი შემცველობით ხასიათდება. ფილიტები საკმაოდ განსხვავდება კრისტალური ფიქლებისაგან და ხასიათდება მადნეული მინერალების და ქლორიტის ჭარბი შემცველობით. გნეისებური კვარციანი დიორიტების მძიმე ფრაქცია კრისტალური ფიქლებისაგან ბევრად არ განირჩევა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ კვარციან დიორიტებში კრისტალურ ფიქლების რელიქტური უბნები მნიშვნელოვან ადგილს იჭერს; ამიტომაცაა, რომ ბიოტიტი აქაც საკმაოდ რაოდენობით გვხვდება, მაგრამ კრისტალური ფიქლებთან შედარებით მისი მძიმე ფრაქცია აპატიტის მეტ რაოდენობას შეიცავს. ამ ქანებიდან მკაფიოდ გამოიყოფა გრანიტ-მიგმატიტები, რომელთათვის ეპიდოტ-ციოზიტის დიდი კონცენტრაცია და მდგრადი მინერალების მნიშვნელოვანი შემცველობაა დამახასიათებელი. ვარდისფერი გრანიტები აპატიტის ჭარბი შემცველობით ხასიათდება, ხოლო გაბროები და გაბრო-ამფიბოლიტები, მასივის სხვა ქანებისაგან განსხვავებით, მძიმე ფრაქციაში დიდი რაოდენობით შეიცავს რქატყუარას.

ამრიგად, ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ლიასისწინადროინდელი ქანები

შემდეგი მინერალოგიური ასოციაციით ხასიათდება: ბიოტიტი, ეპიდოტ-ციოზიტი, ჩვეულებრივი რქატყუარა, მეტად მცირე რაოდენობით მდგრადი მინერალი და აპატიტი. რაც შეეხება სხვა მდგრად მინერალებს: გრანატს, ტურმალინს, რუტილს და სხვა, მათ აქ უმნიშვნელო რაოდენობით ვხვდებით და მკვებავი არის ხასიათის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ.

ასეთია ძირითადად ამჟამად დენუდაციის არეში მოქცეული ლიასის წინა-დროინდელი ქანების პეტროგრაფიული ბუნება.

ლიასის ტერიგენული ნალექების მკვებავი არის ლითოლოგიური ბუნების თავისებურება პირველყოფლისა ამ ნალექების ჩვეულებრივი პეტროგრაფიული შესწავლის გზით შეიძლება იქნეს გარკვეული. მასივის ფარგლებში წარმოდგენილი ნალექებიდან ამ მხრივ საყურადღებო აღმოჩნდა ქვიშაქვების ფაციესი და მასთან დაკავშირებული ფუძის კონგლომერატები, რომლებიც თითქმის ყველგან გვხვდება, სადაც ტექტონიკურ აშლილობას არა აქვს ადგილი.



სურ. 10. ვიტროფირული ტუფი კონგლომერატის ქვარგვადიდან.

Y—ვეულკანური მიწის ნატეხები. ნიკ. II. გად. 26X

კონგლომერატის ქვარგვალეების შესწავლამ გვიჩვენა, რომ კენჭების 79—80% კარგად დამრგვალებულ კვარცხორფირებს და, ნაკლებად, მის ტუფებს მიეკუთვნება. კენჭების დანარჩენი ნაწილი მიკროპეგმატიტებზე, ძარღვის კვარცხე და, იშვიათად, კვარციან დიორიტებზე მოდის. გარდა ამისა ორხევის და ბჟინევის მიდამოებში ნაგორებ კენჭებს შორის მეტად გამკვრივებული, წვრილმარცვლოვანი კვარციანი ქვიშაქვებიც შეგვხვდა. ეს ქვიშაქვები კვარცი-ტული ჰაბიტუსისაა, შედგება მკაფიოდ ტალღობრივ კვარცისა და სერიცი-

ტული ცემენტისგან; ცემენტი საკმაოდ ბევრია და კვარცის მარცვლების კოროზიას ახდენს; ქანში მინდვრის შპატის ნიშნებიც კი არა ჩანს. ამავე კონგლომერატებში (ორხევის ჭრილი) კვარცპორფირული წყების ნაგორებ კენჭებს შორის ყურადღებას იპყრობს მორუხო ფერის ქვარგვალი (სურ. 10), რომელიც მიკროსკოპში ტიპური ვიტროფირული ტუფი აღმოჩნდა, მაგრამ საყურადღებო, აქ ისაა, რომ ტუფში კარგად დამრგვალბული, მჭიდრო აგებულების კვარციანი ქვიშაქვის მარცვლებიც არის მოყოლილი. ქვიშაქვის ეს მარცვლები კვარციტული იერის მქონეა. აშკარაა, რომ ეს მარცვლები შემცველ მინებრივ ტუფზე აღრინდელი დანალექი წყებიდან არის წარმომდგარი.

თითქმის ყველგან კონგლომერატების ცემენტი არკოზული მასალითაა წარმოდგენილი და კონგლომერატების ზევით მომდევნო არკოზული ქვიშაქვებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება; ამავე დროს ცემენტის მასის მთავარ შემადგენელ კომპონენტს ეფუხიური და გრანიტული კვარცი წარმოადგენს. მინდვრის შპატებიდან საკმაოდ სალი მიკროკლინი და ოლიგოკლაზი გვხვდება. ქარსების ჯგუფიდან უმთავრესად მუსკოვიტს ვხვდებით. ამრიგად, კონგლომერატის რიყის ქვები და მათი ცემენტიც თითქმის მთლიანად მჟავე ქანების—კვარცპორფირების, გრანიტებისა და კვარციანი დიორიტების დაშლით არის წარმოშობილი.

კონგლომერატების ზევით მდებარე ქვიშაქვები სუფთა არკოზებს როდი წარმოადგენს,—მათში გრანიტულ და კვარციან-დიორიტულ მასალასთან ერთად კვარცპორფირების და იშვიათად კვარციტული ფიქლის ნატეხებს ვპოულობთ; მაგრამ, რადგან ეს მასალა მხოლოდ კრისტალური ფუძის ქანების გადარეცხვის ხარჯზეა წარმოშობილი, ჩვენ ამ ქვიშაქვებს მაინც არკოზულ ქვიშაქვებს ვუწოდებთ: ისინი ძირითადად კვარცპორფირებისა და გრანიტ-დიორიტების დაშლით არის მიღებული.

სტრატиграფიულად ზევით მომდევნო პსამიტ-ალევიტული ქვიშაქვები ქანების ნატეხებს აღარ შეიცავს; მათში მთავარი შემადგენელი კომპონენტები კვარცი და ქარსია; მინდვრის შპატი ძლიერ ცოტაა და ამავე დროს შეცვლილიც. ამ ქვიშაქვების ცემენტი მეტ შემთხვევაში ქლორიტულია, იშვიათად კი თიხოვან-სერიციტული. ქვიშაქვის მთავარი მასა აქაც იმგვარივეა, როგორც ქვეშმდებარე არკოზული ქვიშაქვებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა კვარცისა და მუსკოვიტისაგან შექმდგარი საკმაოდ წვრილმარცვლოვანი, უფრო მეტად ალევრიტული ხასიათის მასალა გვაქვს. კვარცი აქაც ორგვარი ხასიათისაა—ეფუხიური და გრანიტული. კარგად ჩანს, რომ ამ ქვიშაქვების მასალის წყარო გრანიტები, კვარციანი დიორიტები და კვარცპორფირული წყებია.

რაც შეეხება კირქვიან ფაციესს, აქ მართალია ძლიერ ცოტას, მაგრამ მაინც ვხვდებით გრანიტული მასალის აშკარა ნიშნებს.

სხვანაირი სურათი გვაქვს ამ მხრივ მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე გავრცელებულ ქვიშაქვებისა და მერგელოვან არგილიტურ წყებაში. აქ ქვიშაქვების მთავარი მასალა არკოზულია და წარმოდგენილია მოხაიკური კვარციტით, კალიშპატიტით, ოლიგოკლაზით, მუსკოვიტითა და ზოგჯერ ბიოტი-

ტი; ეფუზიური კვარცი მხოლოდ ერთ ადგილას იქნა ნახული. ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში ყველგან ეფუზიური კვარცის და საერთოდ კვარცპორფირული მასალის არარსებობა და აგრეთვე უხეშმარცვლოვანი ქვიშაქვების მხოლოდ არკოზული, და არა გრაუვაკური, ბუნება, სადაც მსხვილ, ნაგორებ მასალაში. მხოლოდ გრანიტული ელემენტებია წარმოდგენილი, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში წარმოდგენილი ლიასური ნალექებისათვის მასალა ძირითადად გრანიტების გადარეცხვის ხარჯზე წარმოიშობოდა და, მაშასადამე, ამ დროს აქ მხოლოდ გრანიტები იყო გაშიშვლებული. ერთ ჭრილში ეფუზიური კვარცის პოვნა შესაძლოა ავსხნათ გრანიტებთან დაკავშირებული ძარღვული კვარცპორფირების გარდარეცხვით, რადგან ამ მასალის მხოლოდ ცალკე უბანში და მცირე რაოდენობით პოვნა მისი წყაროს უმნიშვნელოდ გავრცელებაზე მიუთითებს. ამგვარად, როგორც მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებს, კვარცპორფირული წყება მასივის ამ ნაწილში თავიდანვე არ ყოფილა წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით ახლა შეიძლება განვიხილოთ ამ წყების (კვარცპორფირული წყების) გეოგრაფიული გავრცელების საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზი ამ საკითხზე საკმაოდ გარკვეულ პასუხს იძლევა.

მასივის დასავლეთ პერიფერიაზე კვარცპორფირულ, ანუ ქვედა ტუფოგენურ, წყებას ამჟამადაც ფართო გავრცელება აქვს ნარულის, ყვირილის და ძირულის ხეობებში. ამავე დროს, ხსენებულ მდინარეთა აუზში წარმოდგენილი მდინარეული წარმოშობის ლიასური ნალექების ქვიშაქვების ფაციესი მდიდარია კვარცპორფირული მასალის საკმაოდ დამრგვალებული კენჭებით, ეს გარემოება ამ წყების შუა ლიასისწინა დროში უფრო ფართოდ გავრცელებაზე მიგვითითებს. შრომის ზოლიდან აღმოსავლეთ და სამხრეთ მიმართულებით კვარცპორფირული წყების გამოსავლები ამჟამად არსად გვაქვს, მაგრამ ამ წყების ნაგორები მასალა ლიასის ფუძის ფორმაციაში ყველგან საკმაოდ მდიდრად არის წარმოდგენილი. საკმარისი იქნება მივუთითოთ, რომ მარტო ორხევისა და ქარტალის ლელის ხეობებში, მოლითის და სურამის რაიონებში, ლიასის ფუძის კონგლომერატული მასალის 80% კვარცპორფირებისა და მისი ტუფებისაგან შედგება. რადგანაც ამ ხასიათის მასალა აღმოსავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიებზე უწყვეტლივ გვაქვს, ამიტომ ბუნებრივია დაეუშვათ, რომ მასივის ამ პერიფერიებზე წარსულში შუა ლიასისწინა კვარცპორფირულ წყებას, ანუ ქვედა ტუფიტებს, საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონდა. რაც შეეხება მასივის ჩრდილო პერიფერიას, იქ ეს წყება ამჟამადაც ფართო გავრცელებით სარგებლობს, ხოლო ლიასის წინ, აღმოსავლეთი მიმართულებით, იგი, როგორც ჩანს, მდ. დუმალის ხეობამდე აღწევდა.

ახლა ვნახოთ, რა შედეგს იძლევა ლიასური ნალექების ტერიგენული კომპონენტების მინერალოგიური ანალიზი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესწავლილ ნალექებში მინერალთა თითქმის ერთგვაროვანი ასოციაცია გვაქვს. მძიმე ფრაქციების მინერალებიდან წარმოდგენილია: პირიტი, ჰემატიტი, მაგნეტიტი, ლიმონიტი, მდგრადი მინერალი, გრანატი, ტურმალინი, რუტილი, შპინელი, აპატიტი, ტოპაზი, ანატაზი, მონაციტი, სტავროლითი, მარგარი-

ტი, ბარიტი, ავეტი, რქატყუარა, ეპიდოტ-ცოიზიტი, ბიოტიტი, ქლორიტი, კარბონატი (სიდერიტი).

მსუბუქ ფრაქციაში შედის: კვარცი, კალიშპატი (მიკროლინი), პლაგიოკლაზი, მუსკოვიტი, ქლორიტი.

მინერალთა ამ სიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მადნეულ მინერალებს, რომელთა დიდი ნაწილი შემცველი ნალექების სინგენეტურია, უმთავრესად მთავე ქანებისათვის (გრანიტული და გაბრო-დიორიტული) დამახასიათებელი მინერალთა ასოციაცია გვაქვს. გამონაკლისს წარმოადგენენ სტავროლითი, გრანატი და მარგარიტი, რომლებიც მეტამორფული კომპლექსის ქანებიდან არიან მოტანილი.

მიმე ფრაქციის ზოგიერთი დამახასიათებელი კომპონენტის ცვალებადობა %-ში ლიასურ ნალექებში

ცხრილი 6

№ რიგზე	ადგილების დასახელება	მინერალები								
		პიროტი	სხვადასხვა მადნეული	მდგარი მინერალი	ავეტი	რქატყუარა	ეპიდოტ-ცოიზიტი	სტავროლითი	მარგარიტი	
1	მდ. ნარულა . . . . .	34	3,6	1,6	0,7	0,3	1,1	2,84	—	
2	მდ. ყვირილა . . . . .	1,54	67,1	6,6	4,9	1,8	0,5	—	—	
3	სოფ. წიფლავაკე . . . . .	1,1	30,6	44	2	0,1	1	1,5	3,3	
4	გლინაის ღელე . . . . .	8,58	18,5	14,1	0,2	0,2	0,7	—	—	
5	სოფ. შროშა . . . . .	10,9	32,6	23,5	0,2	0,3	0,7	—	—	
6	მდ. საქარია . . . . .	17,7	60	9,5	0,8	0,7	0,17	—	—	
7	მდ. ბეინეურა . . . . .	0	41,4	16,5	1,8	0	0,1	—	—	
8	მდ. ჩხრიალეთი . . . . .	45,9	24,2	17,7	0	0,55	0	—	—	
9	მდ. ლადვანთას წყალი . . . . .	19,2	5,76	6,4	1,2	0,9	0,4	—	1,6	
10	მდ. ვახანისწყალი . . . . .	30	32	7	2	0,7	0,07	—	—	
11	მარეღისის ქედი . . . . .	15,4	46,2	11,6	0,11	0,3	—	—	—	
12	მდ. კარტალა . . . . .	18,8	34,8	23,2	0,2	0,9	0,05	—	—	
13	მდ. ორხევი . . . . .	7,8	58,9	23,1	5	0,08	0,34	—	—	
14	მდ. ხევა-კობთან . . . . .	65,6	12,8	11,7	0,8	0,5	1,13	—	—	
15	სოფ. კაცხი . . . . .	0	32,3	2,2	0,2	—	—	—	—	
16	სოფ. სალიეთი . . . . .	0,08	89	2,3	6,5	—	0,2	—	—	
17	მდ. დუმალა . . . . .	46	11,9	18,1	0	6	1,08	5,5	—	
18	მდ. კარტაულა . . . . .	40	18,8	27,6	0,3	0,15	0,4	—	0,6	
19	ძირულა-ჩონთო . . . . .	42,05	20,8	20,6	0,6	0,1	0,8	—	—	
20	მდ. ჭერათხევი . . . . .	21	36,5	8,9	0,15	0,15	3,04	—	—	
21	მდ. ოტრია . . . . .	20,6	29,2	28,8	0,13	0,4	0,9	—	—	
22	სოფ. გვირგვინა (მდ. ლოპანის-წყალი) . . . . .	18,65	52,4	5,2	3,7	1,1	0,8	—	—	
23	მდ. ფრონე . . . . .	44,3	45	3,2	3,0	—	1	—	—	

გრანატებისა და გრანოდიორიტებისათვის დამახასიათებელ მძიმე მინერალთა ასოციაციებში მინერალურ სახეთა მეტი წილი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი და საშუალოდ 1%-ზე ნაკლებია. ამიტომაც მათი საშუალებით რაიმე პალეოგეოგრაფიული საკითხის გადაწყვეტა ძნელია; ასეთი მინერალებია: ტურმალინი, რუტილი, შპინელი, აპატიტი, ტოპაზი, ანატაზი, ბარიტი, რქატყუარა და სხვ., რომლებიც ერთეულ მარცვლებად თუ გვხვდებიან.

ძირულის მასივის ლიასური ნალექებისათვის დამახასიათებელ მინერალთა მეტ-ნაკლებად მულმივი ასოციაცია ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული (ცხრილი 6).

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ავგიტს, რქატყუარას და ეპიდოტ-ციოზიტის ჯგუფის მინერალებს, უმნიშვნელო რაოდენობასთან ერთად, გავრცელებაში არაკანონზომიერება ახასიათებს. ასე მაგ., ავგიტის რაოდენობა მეტ შემთხვევაში 1%-ზე ნაკლებია. მაგრამ ყვირილაზე, ბჟინევში, ლალვანთაზე, ვახანში, ორხევში, სალიეთში, გვირგვინაში და ფრონეზე მისი რაოდენობა ოდნავ იზრდება და ზოგჯერ 5—6%-მდე აღწევს. ავგიტის რაოდენობის ზრდა ამ ადგილების ლიასურ ნალექებში ზედა ლიასურში ტუფური მასალის გამოჩენით არის გამოწვეული. რაც შეეხება რქატყუარას, იგი ავგიტთან შედარებითაც კი ძლიერ ცოტაა და მხოლოდ ორ კრილშია 1%-ზე მეტი, ამასთან ორივე შემთხვევაში იგი ავგიტთან ერთად ტუფურ მასალასთან არის დაკავშირებული. სრულიად არაკანონზომიერი განაწილება ახასიათებს ეპიდოტ-ციოზიტს, რომლის რაოდენობა ბევრ ადგილას ნულამდე ჩამოდის და სულ რამდენიმე შემთხვევაშია 1%-ზე მეტი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მათ შესამჩნევი რაოდენობით იქ ვხვდებით, სადაც ამჟამად მიგმატიტების გამოსაკლები ვაჟკეს.

როგორც ჩანს, ლიასისწინა სუბსტრატში მიგმატიტები უზნობრივად იყო გაშიშვლებული და სწორედ ისინი წარმოადგენდა წყაროს ეპიდოტ-ციოზიტისას, რადგან მათ გარდა სხვა ქანების მძიმე ფრაქციებში ჩვენ მიერ ეპიდოტ-ციოზიტი არ ყოფილა აღნიშნული. ანალოგიური სურათი ჩანს სტავროლითისა და მარგარიტის გავრცელებაში. ეს კომპონენტები მხოლოდ ზოგიერთ ადგილას გვხვდება. მათი სპორადიული გამოჩენა, ეპიდოტ-ციოზიტის მსგავსად. მიგვითითებს იმაზე, რომ ლიასის წინ მეტამორფული კომპლექსი მცირე ფართობს ფარავდა. ალბათ, ნაწილობრივ მაინც, ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ლიასის ნალექებში ბიოტიტის მეტისმეტი სიმცირე, რადგან კრისტალური ფიქლების მთავარი კომპონენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ბიოტიტია.

მოდენულ მინერალებს (პირიტი, ჰემატიტი და ლიმონიტი) თითქმის ყველგან საკმაო რაოდენობით ვხვდებით. ისინი უმთავრესად ალვერიტული ქვიშაქვებისა და კირქვიანი ფაციესისათვის არის დამახასიათებელი. მკვებავი არის თავისებურების გარკვევისათვის ამ კომპონენტებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც პირიტი და ჰემატიტი შემცველი ნალექების სინგენეტურია, ხოლო ლიმონიტი, პირიქით, ეპიგენეტური წარმონაქმნია და მათი დაჟანგვის

ხარჯზეა გაჩენილი. ზოგიერთი მათგანის გენეზისზე ჩვენ ცალკე გვაქვს გამოთქმული ჩვენი მოსაზრებანი, ამიტომ მათ შესახებ აქ აღარას ვამბობთ.

მძიმე ფრაქციის მინერალთა შორის ყველაზე მეტ ინტერესს მდგრადი მინერალი იწვევს. ეს მინერალი, მისი საგრძნობლად გაზრდილ რაოდენობასთან ერთად, მორფოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესოა.

ჩვენ მიერ შესწავლილ ნალექებში მდგრადი მინერალი ძირითადად ორგვარია. მის ერთ ნაწილს გრძელპრიზმული აგებულება და ბოლოებზე მკაფიოდ გამოსახული პირამიდული წახნაგებით შემოფარგულა ახასიათებს. ზოგჯერ ოვალურ ბუშტულებს და პრიზმულ კრისტალების ჩანართებს შეიცავს. ასეთი კრისტალების წახნაგებს გლუვი, გამჭვირვალე ზედაპირი აქვთ. წიბოები და კუთხეებიც ჩვეთრად აქვთ გამოხატული.

მეორეგვარი სახესხვაობა, რომელიც რაოდენობით პირველს ქარბობს, მოკლეპრიზმული ჰაბიტუსისაა, პირამიდული წაწვეტება ბოლოებზე მასაც ენჩნევა, მაგრამ წიბოები აღარსად უჩანს. ამათ გვერდით ისეთი მარცვლებიც გამოირჩევა, რომელთაც იდეალურად მომრგვალებული ფორმა აქვს. ასეთი ფორმები უმთავრესად წვრილ კრისტალებს ახასიათებს. ზოგის აზრით, ამგვარი მორფოლოგია მაგმური კორაზიით ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, „შემოღობით“ აიხსნება. ასეთი ფორმის მინერალს სრულკრისტალურ ქანებში აღნიშნავენ როგორცაა, მაგალითად, მისაკიტები და სხვ. რამდენად სწორია ამგვარი შეხედულება, ჩვენ ამაზე გადაწყვეტი პასუხის გაცემა არ შეგვიძლია; ერთი კია, რომ ამ შეხედულების სისწორე გადასინჯვას მოითხოვს, რადგან ამ მინერალის შემცველ მთელ რიგ მაგმურ ქანებში ასეთ მოვლენას მეტ შემთხვევაში აღვიღო არ აქვს. კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილ მჟაფე კრისტალურ ქანებში დაპრევალებული მდგრადი მინერალი ვერსად ვიპოვეთ და ამიტომ ჩვენთვის ეხლაც საძებარია მისი წყარო, ჩვენი აზრით, ამ მინერალის მორფოლოგიის თავისებურება შესაძლოა მისი გორვითი დამრგვალების შედეგი იყოს და არა მაგმური კორაზიისა. თუ კი ეს ასეა, მაშინ დამრგვალებული მინერალის წყარო მასივის შემადგენელი კრისტალური ქანები კი არ არის, არამედ რომელიღაც ძველი დანალექი წყება, რომელიც ლიასურამდე არსებობდა. ამ აზრის სასარგებლოდ ის ფაქტიც ლაპარაკობს, რომ ჭერათხევის ხეობაში გრანიტზე უშუალოდ განლაგებულია არა არკოზული, არამედ კვარციანი ქვიშაქვები. ცხადია, გრანიტული მასივის დეზინტეგრაციის პროდუქტების აქვე მახლობლად დალექვის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ამგვარი არა-არკოზული ქვიშაქვის წარმოშობა. ამიტომ სავსებით ლოგიკურია დასკვნა, რომ ეს კვარციანი ქვიშაქვები წარმოიშვა რომელიღაც ძველი დანალექი წყების გადარეცხვის შედეგად. ამ ძველი წყების არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ლიასური ნალექების ფუძის ფორმაციაში კვარციანი ქვიშაქვების ქვარგვლების პოვნა და აგრეთვე კვარცპორფირული წყების ვიტროფირულ ტუფებში ამგვარივე ქვიშაქვების კენჭების დადგენა. რაც შეეხება მდგრადი მინერალის სრულწახნაგოვან სახეობას, იგი კვარცპორფირული წყებისათვის არის დამახასიათებელი, რაც დასტურდება კვარცპორფირების მძიმე ფრაქ-



ციებში შესამჩნევი რაოდენობით წახნაგებშენარჩუნებული ფორმების არსებობით.

მასივის სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიულ ზოლში ძირითადად გვაქვს მდგრადი მინერალი, რომელსაც ყველა კუთხეები კარგად აქვს შენარჩუნებული და გადამუშავების ნიშნები არ ეტყობა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლში კი ეს მინერალი დამრგვალებულია. თუ მოვიგონებთ ზემოთქმულს, რომ ამ დაუმუშავებელი მინერალის წყარო კვარცპორფირული წყებაა, მაშინ უდავო იქნება დასკვნა, რომ კვარცპორფირული წყება არ იყო გავრცელებული მასივის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე და რომ მისი პერიფერიის დანარჩენ ნაწილებში ეს წყება მნიშვნელოვან ფართობს ფარავდა.

ახლა საჭიროა რამდენიმე სიტყვით ითქვას ზოგიერთი სხვა კომპონენტის შესახებ.

დიფერენციალური და ფლუვიონინტეგრალური მეთოდის გამოყენებით დადგინდა იქნა ზოგიერთი კომპონენტის მჭიდრო გენეტიური კავშირი ამა თუ იმ ტიპის ქანთან. მაგ., კრისტალური ფიქლებისათვის დამახასიათებელი ფრაქცია ბიოტიტიანია, გაბროებისა და ამფიბოლიტების კი — რქატყუარაინი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამ კომპონენტთა რაოდენობა ლიასურ ნალექებში უმნიშვნელოა, ხოლო ზოგჯერ ისინი სრულიადაც არ გვხვდება. ბიოტიტის არარსებობა ქრილებში გაუგებარი რჩება, რადგან მისი შემცველი ქანები ლიასისწინა დროში არსებობდა და ირეცხებოდა კიდევ. მაშ როგორ უნდა ავხსნათ ბიოტიტის არარსებობა ამ ქანებში. ექვს გარეშეა, რომ ბიოტიტის ერთი ნაწილი გაუფერულდა და მუსკოვიტს დაემსგავსა. ამ გარემოებაში კი მისი ცალკე გამოყოფა გააძნელა, რის გამო ბიოტიტის ნაწილი მუსკოვიტთან ერთად გვაქვს ნაანგარიშევი; ბიოტიტის გაუფერულების მრავალი ფაქტი ჩვენ მიერ იყო აღწერილი როგორც შლიფებში, ისე ფრაქციებში. ამ მინერალის მეორე და ამავე დროს მთავარი ნაწილი დაიშალა და მეორადი ქლორიტი მოგვცა. ამგვარი ქლორიტული მასები კი მეტად დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი კვარციან-ქარსიანი ქვიშაქვების ცემენტში. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილის ლიასურ ნალექებში მსუბუქი ფრაქციის მინერალური შედგენილობის ცვალებადობის ცხრილი (იხ. ცხრ. 7), საიდანაც კარგად ჩანს ქლორიტული მასების სიჭარბე.

რაც შეეხება ლიასურ ნალექებში ამფიბოლის არარსებობას ან მის უმნიშვნელო რაოდენობას, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ლიასის წინ მისი შემცველი გაბროული ქანები, რომელთაც ამჟამად მცირე ფართი უჭირავთ, კიდევ უფრო უმნიშვნელოდ იყო გაშიშვლებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ლიასისწინადროინდელი სუბსტრატი შემდგარი უნდა ყოფილიყო კვარციანი დიორიტების, გრანიტების, კვარცპორფირების, რომელიც დანალექი წყებისა და კრისტალური ფიქლებისაგან. უკანასკნელთ, მიგმატიტების ჩათვლით, შედარებით სხვებთან, უმნიშვნელო ადგილი ეკავათ. ამიტომ ლიასური ნალექების ძირითად მკვებავ

მსუბუქი ფრაქციის ხასიათი ძირულის მასივის ზოგიერთი ადგილის ლიასური ნალექებში  
ცხრილი 7

ადგილ. დასახელება	ნომრების №№	ნალექების ტიპები	კვარცი % -ში	კალიშხატი % -ში	პლაგიოკლაზი % -ში	თიხა-ქლორიტული მასები % -ში	ლორჯანული ნივ-თიერება % -ში	კარბონატი % -ში	თიხის აგრეგატული მიწვალის % -ში	მუსკოვტი % -ში
I	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	2	წითელი კირქვა	—	—	2	—	—	—	98	—
	2 <sup>1</sup>	კრისტალური კირქვა ზოლის სახით	—	—	15	85%	—	—	—	—
	4	მერგელი ტუფური მასალით	2	—	1	—	—	97	—	—
	5	ქარსიანი ალვერიტული ქვიშაქვა	2	—	3	95	—	—	—	—
	6	კლასტური თიხიანი კირქვა	—	—	3	97	—	—	—	—
	8	ქვიშიანი კირქვა	5	—	1	90	—	—	—	4
	9	ალვერიტული ქვიშაქვა	25	—	2	—	—	2	51	20
	11	კირქვიანი ალვერიტული ქვიშაქვა	17	—	16	50	—	—	—	17
	12	არკოზულ-გრაუვაკური ქვიშაქვა	30	5	2	51	—	—	—	12
	98	არკოზ-კონგლომერატები	35	10	6	42	—	—	—	7
	99	არკოზ-კონგლომერატები	20	10	8	54	10	3	—	5
	100	წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა	—	—	—	96	—	—	—	4
	101	ფიქლებრივი თიხა	10	2	—	73	—	2	—	8
	102	თიხა ცეცხლამძლე	—	—	—	100	—	—	—	—
	105	არკოზ-კონგლომერატი	20	19	10	41	—	—	—	10
	105	არკოზ. ქვიშაქვები	18	8	4	66	—	—	—	4
	106	"	31	6	11	45	—	—	—	7
	106	"	12	5	8	65	4	—	—	6
	107	არკოზ-კონგლომერატი	41	12	13	26	—	—	—	8
	107 <sup>3</sup>	ნახშირიანი ქვიშაქვა	45	6	13	28	—	—	—	8
	107 <sup>5</sup>	"	15	—	5	65	5	—	—	—
	108 <sup>2</sup>	რუხი კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	30	5	8	40	3	—	—	—
	108 <sup>3</sup>	"	35	5	20	30	5	—	—	10
	109	კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	28	15	10	33	5	—	—	10
	110	"	30	7	10	40	2	—	—	12
	113	რუხი კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	50	5	10	25	—	—	—	10
	114	მოწითალო ქვიშაქვა	30	2	12	—	—	—	38	10
	114 <sup>4</sup>	კირქვიანი ქვიშაქვა	15	—	5	—	—	—	70	1
	116	ოღნავ ქვიშიანი კირქვა	15	—	—	—	75	—	—	5
	117	წითელი კირქვა	20	20	—	—	60	—	—	0
	120	"	20	—	—	—	—	80	—	0
	130	კვარციანი ქვიშაქვა	45	28	5	18	—	—	—	13
	131	ქვიშიანი მერგელი	7	—	2	88	—	—	—	—
	132	არგილიტი	2	—	—	98	—	—	—	—
	133	მარცვლოვანი კირქვა	—	—	2	98	—	—	—	—
	134	სერიციტიანი არგილიტი	—	—	უმ. რ.	100	—	—	—	—
	135	ალვერიტული ქვიშაქვა	25	—	18	57	—	—	—	4
	136	არგილიტი	5	—	1,5	85,9	—	—	—	7
	139	ალვერიტული ქვიშაქვა და თიხა	13	—	2	78	—	—	—	5
	140	კვარც-არკოზული ქვიშაქვა	30	5	15	45	—	—	—	7
	366	კონგლომერატის ცემენტი	10	—	3	78	—	—	—	14
	367	არკოზული ქვიშაქვა	16	1	4	55	—	—	—	10
	368	რუხი მომწვანო ქვიშაქვა	18	2	—	70	—	—	—	11
	369	საშუალო მარცვლოვანი ქვიშაქვა	22	14	—	53	—	—	—	8
	372	კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	28	7	6	—	6	—	45	10
	374	ქარსიანი ქვიშაქვა	20	10	8	—	10	—	42	10
	375	"	38	18	16	18	—	—	—	—
	376	"	40	5	10	35	10	—	—	—
	377	კვარც-ქარსიანი ქვიშაქვა	46	5	10	32	—	—	—	7

წყაროს. კვარცპორფირები, ამჟამად გადარეცხილი დანალექი წყება, კვარციანი დიორიტები და გრანიტები წარმოადგენდა.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ლიასურ ნალექებში ძირულის მასივის გადარეცხვის პროდუქტების როლის გამორკვევასთან დაკავშირებით ჩატარებულ სუბსტრატის ქანების მძიმე ფრაქციების მინერალურ შესწავლას მნიშვნელობა აქვს საერთოდ საქართველოს ბელტის პალეოზოოურის შემდგომი ნალექების მკვებავი წყაროს ხასიათის გარკვევისათვის. ამ მხრივ ეს ნაშრომი აუცილებელი საფეხურია საქართველოს დანალექი ქანების პეტროგრაფიული შესწავლის საქმეში.


#### VI. ლიასურ ნალექებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ფორმების ზოგ საბადოთა გენეზისის საკითხისათვის

ძირულის მასივის ლიასურ ნალექებში ცნობილია შროშის ცეცხლგამძლე თიხების საბადო, რომელიც ჯერჯერობით არათუ საუკეთესოა, არამედ ფაქტიურად ერთადერთიცაა საქართველოში. აქვე გვხვდება ჰემატიტის საბადო, რომელიც ადრე კარგი ხარისხის რკინის სურინჯს იძლეოდა, მაგრამ შემდეგ მარაგის გამოლევის გამო მიტოვებულ იქნა.


ჩვენ საბადოთა შესწავლა არ გვიწარმოებია და ეს ჩვენს მიზანს არც შეადგენდა, მაგრამ საბადოთა შემცველი წყების შესწავლასთან დაკავშირებით, ამ საბადოთა გენეზისის შესახებ გარკვეული აზრები დაგვებადა, რაც მიზანშეწონილად ვცანით აქ მოგვეყვანა.

ჰემატიტის საბადო. ჰემატიტის გამოსავლები გვხვდება სოფ. შროშაში, უბისაში, წიფლავაკისთან და სანახშირესთან. შროშის ლიასის შესწავლისას გამოირკვა, რომ ჰემატიტი ლიასურ ნალექებში შესამჩნევი რაოდენობით ჩნდება მხოლოდ წვრილმარცვლოვან ქარსიან ქვიშაქვების ზედა ჰორიზონტებში და ვრცელდება კირქვებში. მართალია, რკინის ქანგის კალკული ლაქები გვხვდება უფრო ქვევითაც, მაგრამ მას არა აქვს კავშირი ჰემატიტის საბადოსთან. მაგ., ჭერათხევის ლიასის ქვედა ჰორიზონტებში არკოზული ქვიშაქვების ცემენტში კალციტის კარგად განვითარებული რომბოედრები გვაქვს, რომელშიაც ზონალურად არის განწყობილი ლიმონიტი (სურ. 11). უნდა ვიფიქროთ, რომ კალციტი და ლიმონიტი აქ ერთდროული წარმონაქმნებია.

შროშის ლიასში მკაფიოდ ჩხვდავთ ქვევიდან ზევით ქანების ჰემატიტით თანდათან გამდიდრებას. პირველად ქვიშაქვაში გამოჩნდება ცემენტის ლაქბრივად ჩამნაცვლებელი ლიმონიტი (შლ. 113, სურ. 12); მისი როლი აქ სრულიად უმნიშვნელოა. ზევით ჰემატიტის როლი საგრძნობლად იზრდება და თიხოვან ცემენტს თითქმის მთლიანად აძევებს (სურ. 3). უფრო ზევით კი ქვიშაქვა მხოლოდ რკინოვან ცემენტს შეიცავს და ეს ცემენტი მეტნაკლებად მკაფიოდ გამოხატულ ოლითურ სტრუქტურას იჩენს. ასეთი ქვიშაქვის მთავარი მასა უკვე წარმოდგენილია ჰემატიტით და არა ქვიშით. მაგრამ ჰემატიტით უფრო მდიდარი უბნები მცირე ზომის ლინზების სახით გვხვდება კირქვებს შორის. ერთ-ერთი ასეთი ლინზიდან აღებული ნიმუშის მიკროსკოპ-



სურ. 11. კვარციანი-არკოზული ქვიშაქვა კრისტალური კალციტის ცემენტით. C—კალციტი ლიმონიტის რკალით; Qa—კვარცი; Or—ორთოკლაზი. ნიკ. II. გად. 26 X



სურ. 12. ალფერიტული ქვიშაქვა ლიმონიტის ლაქებით. Qa—კვარცი; Mu—მუსკოვიტი; L1—ლიმონიტი. ნიკ. II. გად. 26 X

ულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ აქ ჰემატიტის მთავარი მასა ოოლითების სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც ზოგ უბნებში მჭიდრო გროვებს ჰქმნიან, სხვა უბნებში კი ოოლითები არეულია ნიჟარების ნამტვრევებთან, კვარცის მარცვლებთან და ჰემატიტის გარდა კალციტურ ცემენტსაც შეიცავს. კარგად ჩანს სხვადასხვა ორგანიზმების ნაშთების ჩანაცვლება ჰემატიტით, ნიჟარების სტრუქტურა კი სავსებით არის შენახული. შეგვხვდა მხოლოდ ერთი ოოლითი, რომელიც ჰემატიტისა და კალციტის შორიგეობით არის წარმოდგენილი. შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ კალციტის ოოლითის ჰემატიტით ჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე; მაგრამ უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს ოოლითი გაჩნდა კალციტისა და ჰემატიტის ერთდროული გამოყოფის შედეგად, ე. ი. ჰემატიტის გამოყოფის გარკვეულ რითმულობასთან გვაქვს საქმე. ან კიდევ შესაძლოა ჰემატიტის ზოგი ზოლი შემდეგ ჩანაცვლა კალციტით, რადგან ლიასური კირქვების მთელ ზოლში კალციტის ოოლითები არსად არ შეგვხვედრია. ჩვენ ჩავატარეთ ჰემატიტის ოოლითების წყლის დაკარგვის ხასიათზე დაკვირვება. აღმოჩნდა, რომ 83°-მდე გახურებული მინერალი ჰკარგავს მხოლოდ 1,5% წყალს. ცხადია, რომ სუფთა ჰემატიტთან გვაქვს საქმე და რკინის წყლიანი ქანგები თითქმის სრულებით არ ურევია.

შროშის ჰემატიტები რომ ზღვიური წარმოშობისაა, ამას მტკიცება არ ესაქიროება, რადგან ისინი ზღვიური ფაუნის შემცველ კირქვებშია მოქცეული. მათი ოოლითური აღნაგობა, კავშირი ქვიშაქვებთან და დეტრიტულ კირქვებთან მიგვითითებს მათ უშუალო სანაპირო ზოლში წარმოშობაზე, რის შესახებაც ზემოთ იყო თქმული. რჩება მხოლოდ გასარკვევი რკინის წყაროს საკითხი. მკვლევარები საერთოდ ამ საკითხს ზოგად ფორმებში წყვეტენ: რკინის წყაროა პენეპლენიზებული ხმელეთის ქანების ინტენსიური ქიმიური გამოფიტვა, ზომიერი ან ტროპიკული ნესტიანი ჰავის პირობებში და აგრეთვე რკინის შემცველი სულფიდების დაშლა. ჩვენ შემთხვევაში კრისტალური მასივი და ქვედა ლიასური ვულკანოგენური ქანები იფიტებოდნენ და მათი დაშლის ხარჯზე წარმოშობილი რკინის დალექვამ გააჩინა ჰემატიტის ლინზები, მაშინ რატომ არა გვაქვს ჰემატიტი მეტ-ნაკლებად თანაბრად გავრცელებული სამხრეთი პერიფერიის ლიასური ნალექების მთელ ზოლში? ჩვენის აზრით, ჰემატიტის კონცენტრაცია შროშა-უბისის უბანზე აიხსნება აქ ქვედა ლიასური კონტინენტური წყების არსებობით, რომელიც უხვად შეიცავდა პირიტის კონკრეციებს და ზოგჯერ ლინზებსაც კი (მაგ., შროშის თიხებში). ამ პირიტის დაშლა, მასივის ქანებიდან გამოტანილ პირიტთან ერთად, იყო მიზეზი აღნიშნულ უბანზე ჰემატიტის საგრძობი დაგროვებისა. ხოლო სხვა უბანზე, სადაც რკინის ეს დამატებითი წყარო არ იყო, ზღვაში შემოტანილი რკინის ქანგი წვრილი ლაქების სახით ილექებოდა კირქვებთან ერთად და უკანასკნელთა წითლად შეფერვას იწვევდა, მხოლოდ ცალკე ჰემატიტის ლინზები კი არ მოუტია.

ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე ჰემატიტი არა გვაქვს, სამაგიეროდ აქ სიდერიტის კონკრეციები გვხვდება, ისიც საკმაოდ იშვიათად. ჩვენ მიერ ჩატარებული ერთი კონკრეციის ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს:

უხსნადი ნაშთი—30,48%, ხსნადი ნაწილი—69,52%.

როგორც ვხედავთ, კონკრეციის შემადგენელი მასის მნიშვნელოვანი ნაწილი უხსნადი მექანიკური მინარევია, რომელიც წარმოდგენილია პელიტური ფრაქციით.

ხსნადი ნაწილის ანალიზი შემდეგ სურათს გვაძლევს:

$Al_2O_3$ —5,60%;  $Fe_2O_3$ —3,33%;  $FeO$ —18,96%;

$CaO$ —12,28%;  $MgO$ —3,67%. ამ ანალიზის კარბონატებზე გადაანგარიშების შედეგად ვღებულობთ კონკრეციაში კარბონატების შემცველობის შემდეგ სურათს:  $FeCO_3$ —29,96%;

$CaCO_3$ —21,60%;  $MgCO_3$ —7,63%. ჩრდილო პერიფერიაზე სიდერიტის გაჩენა ზღვის მეტი სიღრმით და აღდგენითი პროცესების არსებობით აიხსნება, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ რით უნდა ავხსნათ, რომ შედარებით სამხრეთ პერიფერიასთან აქ რკინის ნაერთები, თუნდაც სიდერიტის სახით გამოვლინებულნი, ასე იშვიათია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის ძირითადი მიზეზი ისევ ქიმიური გამოფიტვის პროცესების, ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე სამხრეთთან შედარებით, ნაკლებ ინტენსივობაში უნდა ვეძიოთ, რაც აგრეთვე ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ ამავე საკითხზე მოყვანილ მოსაზრებას.

Г. С. ДЗОЦЕНИДЗЕ, Н. И. СХИРТЛАДЗЕ, И. Д. ЧЕЧЕЛАШВИЛИ

## ЛИТОЛОГИЯ ЛЕЙАССКИХ ОТЛОЖЕНИЙ ДЗИРУЛЬСКОГО МАССИВА

### Резюме

Лейасские отложения окаймляют Дзирульский массив со всех сторон в виде прерывистой полосы. Изучение всех выходов этой полосы показало, что везде лейас начинается крупнозернистыми песчаниками или конгломератами, которые выше переходят в средне- и мелкозернистые песчаники. На южной и югозападной периферии, а частично и на северной, лейас заканчивается известняками. Но на северо-восточной периферии известняки отсутствуют и мелкозернистые песчаники переходят в глинисто-мергелистые породы, пачки которых чередуются с подчиненными прослоями мелкозернистых слюдястых песчаников.

Материал конгломератов и песчаников состоит, главным образом, из продуктов размыва кислой эффузивной толщи: кварцевых порфиров и кварцевых альбитофиров. Обломки гранитов попадают в подчиненном количестве. Выше роль гранитного материала возрастает и не редки слои почти чистых аркозовых песчаников.

В лейасе окрестностей сел. Шроша нами установлено наличие континентальной фации. Во всех выходах, кроме Шроши, общая мощность лейаса колеблется в пределах 80—150 м. В окрестностях же этого села она

достигает 300 м. Нижние 150 м этих образований представлены грубообломочными песчаниками с линзами и отдельными гальками конгломератов.

В самой нижней части залегает 7-метровый пласт конгломерата без каких-либо следов слоистости. Вышележащие песчаники характеризуются грубовыраженной слоистостью, плохой сортировкой, наличием значительного количества растительных остатков. С нижней же частью этой толщи связана 7-метровая пачка тонкослоистых сланцеватых глин, к которым приурочена залежь высококачественной огнеупорной глины, имеющей черную окраску в виду присутствия в ней значительного количества углисто-го вещества. Известно, что залежи высококачественных огнеупорных глин, как правило, приурочены к континентальным осадкам. Шрошинские глины, повидимому, представляют озерно-болотную фацию толщи, которая в основном сложена речными отложениями. Эти речные отложения заканчиваются четырехметровой пачкой тонкослоистых песчаников, содержащих тонкие пласты угля. В толще фауна совершенно не встречена. Все указанные признаки с несомненностью доказывают континентальную природу осадков.

Над угленосной пачкой залегают мелкозернистые слюдястые песчаники часто с железистым цементом в виде гематита, иногда имеющего оолитовое строение. В этих песчаниках найдена аммонитовая фауна среднего лейаса. Таким образом, эти песчаники с оолитовым гематитом начинают морские отложения, которые без видимого углового несогласия перекрывают нижележащие континентальные образования.

Лейас Дзирульского массива залегает или непосредственно на границах или же на вулканогенной толще, известной под названием нижних туффитов. Существовало мнение, что эта вулканогенная толща сложена из кислых пород: кварцевых порфиров, альбитофиров и их туфов. В окрестностях ст. Мартотубани нами в толще установлено значительное участие и основных эффузивов — оливинных базальтов и диабазов. Мощность вулканогенной толщи в ущелье р. Квирилы достигает 1000 м, к востоку же, в окрестностях с. Кандара она спускается до 300 м, а у сел. Шроша даже до 100 метров. Еще восточнее, в районе Шрошинского месторождения, в описанной выше континентальной толще встречаются лишь отдельные прослой туфов кварцевого порфира и один покров базальта. Эти факты указывают на выклинивание вулканогенной толщи в восточном направлении и замещение ее континентальными образованиями речно-болотного озерного комплекса.

Если учесть, что под фаунистически охарактеризованными слоями среднего лейаса находится континентальная толща, мощностью 150—170 м, то естественно считать вполне возможным принадлежность последней к нижнему лейасу.

А из факта замещения континентальной толщи вулканогенными образованиями, т. н. свитой нижних туффитов, можно сделать вывод и о нижелейасовом возрасте последних.

Средний лейас начинается горизонтом грубозернистых песчаников, почти всегда содержащих то или иное количество сравнительно хорошо окатанной гальки. В некоторых разрезах под песчаниками лежат конгломераты, мощностью от 5 до 20 м. Как песчаники, так и конгломераты состоят из материала размыва кристаллического массива, при чем всегда значительную роль играют эффузивный кварц и обломки альбитофиров.

Сравнительно плохая сортировка, линзовидное строение слоев, грубозернистость, не всегда ясно выраженная слоистость, наличие растительных остатков и иногда небольших линз угля говорят в пользу отложения этих песчаников и конгломератов в литоральной зоне. Мощные же конгломераты (15—20 м) образовались в приустьевых участках этой зоны. Цемент песчаников представлен серицито-каолиновой массой. Кальцит и лимонит, играющие важную роль в вышележащих мелкозернистых песчаниках, здесь почти совершенно отсутствуют.

Вышележащие мелкозернистые, иногда алевритовые, песчаники по составу относятся к аркозово-слюдистым разностям с глинистым цементом. В верхних горизонтах появляются также лимонит или гематит, часто в виде оолитов, и кальцит. В нижних горизонтах нередок пирит. В песчаниках найдена богатая аммонитовая фауна среднего лейаса.

Мелкозернистость и хорошая отсортированность этих песчаников, ясная слоистость и наличие в них хорошо сохранившейся фауны открытого моря, по сравнению с нижележащими грубозернистыми песчаниками, указывают на отложение их в более глубоких и менее подвижных условиях моря. Но наличие оолитов гематита и растительных остатков говорят о том, что их отложение происходило все же недалеко от берега.

Наличие в нижних слоях этих песчаников пирита, выше сменяющегося лимонитом и гематитом, указывает на смену восстановительных условий окислительными.

Этот горизонт, хорошо представленный на южной периферии массива, совершенно отсутствует на северной периферии. Например, в окрестностях сел. Салиети и Кацхи известняки непосредственно налегают на грубозернистые песчаники.

Восточнее, по р. Думала, наоборот, этот горизонт хорошо представлен и имеет мощность до 100 м, но еще далее к востоку, по р. р. Дзирула, Отрия, Картнаула, Чератхеви и др., он сменяется горизонтом слюдистых песчаников и мергелистых аргиллитов, которые часто содержат конкреции

А из факта замещения континентальной толщи вулканогенными образованиями, т. н. свитой нижних туффитов, можно сделать вывод и о нижелейасовом возрасте последних.

Средний лейас начинается горизонтом грубозернистых



Вообще, осадки северо-восточной периферии массива имеют характер флишевых отложений, в отличие от типичных фаций эпиконтинентального моря на его южной периферии.

Песчаники выше постепенно переходят в известняки: сперва в цементе песчаников появляются пятна кальцита, количество которого все увеличивается и получаются известковистые песчаники и песчаные известняки, а потом и чистые известняки. Последние микроскопически разделяются на: 1) плотные, однородные, богатые остатками криноидей и 2) брекчиевидные разновидности; фауна в известняках очень разнообразна, встречается в значительном количестве, но плохой сохранности, чаще наблюдаются ее остатки в виде детритуса. По данным А. Джанелидзе, она представлена кораллами, губками, криноидеями, морскими ежами, червями, мшанками, плеченогими, брюхоногими, двустворчатыми и головоногими. Спикулы губок чаще кальцитовые, реже халцедоновые.

Брекчиевидные известняки в свежем виде кажутся пятнистыми. Под микроскопом видно, что в мелкокристаллическом сером известняке находятся включения пелитоморфного известняка с изрезанными очертаниями; фауна в этих обломках отсутствует, в то время как в мелкокристаллическом известняке в большом количестве встречаются микроорганизмы и спикулы губок.

Породы, аналогичные включениям, встречаются в виде самостоятельных слоев. Нет сомнения, что эти брекчиевые слои образовались в результате размыва еще не очень уплотненного известкового ила, что могло происходить лишь в прибрежных условиях, подобно брекчиевидным известнякам, описанным М. Швецовым и Л. Бириной из Подмосковского каменноугольного бассейна. Что известковый ил иногда совершенно освобожден от воды и обнажался, это подтверждается также наличием в известняках трещин усыхания, выполненных песчаным материалом и органическим детритусом.

Как видим, и в этом случае имеем дело с типичным образованием прибрежной зоны. Таким образом, смена песчаников известняками не всегда является указателем углубления морского бассейна.

По р. р. Квирила и Нарула в известняках верхних горизонтов встречается значительное количество первичного пирокластического материала, образующего местами мощные туфовые пачки. Материал состоит из свежего зонального андезина и бесцветного, иногда хлоритизированного, авгита.

Наличие этих туфов указывает, что вулканические явления, давшие в байосе мощную вулканогенную толщу, начались в верхнем лейасе.

Изучение материала конгломератов и песчаников и минералогический анализ тяжелой фракции песчаников позволили восстановить литологию питающей области для лейасских осадков, развитых вокруг Дзирульского массива. Выяснилось, что в отличие от современной картины, в предлейасское время на Дзирульском массиве имели широкое распространение кислые эффузивные толщи типа нижних туфитов, которые окаймляли весь массив, за исключением его северо-восточной периферии, где в лейасских осадках материал размыва кислых эффузивов практически отсутствует.

В тяжелой фракции песчаников лейаса северо-восточной периферии массива были встречены окатанные минералы из группы устойчивых. Изучение минералов тяжелых фракций всех пород, слагающих современный Дзирульский массив, показало, что среди них не встречаются окатанные формы. Исходя из этого, мы пришли к выводу, что источником этих окатанных зерен устойчивого минерала являлась какая-то осадочная толща, которая уже во время лейаса была полностью размыва. Подтверждением этому служит нахождение обломков кварцевых песчаников среди пород толщи нижних туфитов.

#### ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჰ. გამყრელიძე და ს. ჩიხელიძე. მდ. ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის. საქ. გეოლ. ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, ნაკვ. 2, თბილისი, 1933.
2. Г. Дзодендзе. Домиоценовый эффузивный вулканизм Грузии. Ин-т. геол. и минер. АН Груз. ССР, Монографии, № 1, Тбилиси, 1948.
3. ივ. კახაძე. საქართველოს ბელტის ლიასური ფაციესები. საქ. მეცნ. აკად. საქ. ფილ.-ის მოამბე, ტ. I, № 2, თბილისი, 1941.
4. ივ. კახაძე. საქართველოს ლიასური და ბაიოსური ინტერვალები. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები. გეოლ. სერია, ტომი IV (IX), თბილისი, 1948.
5. И. Кахадзе. Грузия в юрское время. Труды Геол. Ин-та, серия геол., III (VIII), Тбилиси, 1947.
6. Неметаллические ископаемые СССР. Том 4, „Глины огнеупорные“. Изд. Ак. Наук СССР, Москва—Ленинград, 1941.
7. ქ. ნუცუბიძე. ძირულის მასივის პერიფერიის ბრაქიოზოდები. გეოლ. ინსტიტუტის შრომები, გეოლ. სერია, ტომი V (X), 2, თბილისი, 1949.
8. Г. Смирнов, и М. Роква. Петрографическое описание мраморовидного известняка и некоторых прилегающих пород в окрестностях сел. Молити. Мат. по петрографии Грузии. Тр. Груз. Гос. Геол. Упр., вып. V, Тбилиси, 1941.
9. П. Топурия. Рквийский интрузив порфировидного гранита в Дзирульском массиве. Изв. Геол. Ин-та Грузии, т. III, в. 4, Тбилиси, 1938.
10. ს. ჩიხელიძე. თურისწინა ნალექები საქართველოში. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, მინერ.-პეტრ. სერია, ტ. I, თბილისი, 1948.
11. ს. ჩიხელიძე. გეოლოგიური დაკვირვებები ძირულის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გეოლ. ინსტიტუტის შრომები, გეოლ. სერია, ტომი IV (IX), 3, თბილისი, 1948.
12. გ. ძოწენიძე, ნ. სხირტლადე და ი. ჩეჩელაშვილი. ძირულის მასივის ლიასური ნალექების მკვებავი სუბსტრატის ლითოლოგიის შესახებ. გეოლ. ინსტ. შრომები, მინ.-პეტრ. სერ., ტ. II, თბილისი, 1950.

13. გ. ძოწენიძე და ნ. სხირტლაძე. ახალი მასალები ქვედა ლიასური ვულკანოგენური წყების პეტროგრაფიისათვის. გეოლ. ინსტ. შრომები, მინ.-პეტრ. სერია, ტ. II, თბილისი, 1950.
- ✓ 14. გ. ძოწენიძე და ნ. სხირტლაძე. იურული კვრცინი დიორიტის ახალი გამოსავალი ძირულის კრისტალურ მასივში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XI, № 2, 1949.
15. ა. ჯანელიძე. ძირულის მასივის წითელი კირქვების ასაკის შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, № 4, 1946.



ОГЛАВЛЕНИЕ—სარჩევნო

1. Т. В. Иваницкий. К вопросу о влиянии вмещающих пород на процесс гидротермального рудоотложения . . . . .	3
2. Т. В. Иваницкий. О структурах и текстурах сфалерита и дисульфидов железа коллоидного происхождения . . . . .	17
3. Г. М. Заридзе и Н. Ф. Татришвили. О возрастных взаимоотношениях и генезисе древних кристаллических пород Дзирульского массива . . . . .	33
4. Г. М. Заридзе и Н. Ф. Татришвили. К петрографии верхней части бассейна рек Большой и Малый Зеленчук . . . . .	81
5. გ. ძოწენბიძე, ნ. სხირტლაძე და ი. ჩეჩელაშვილი. ძირულის მასივის ლიასური ნალექების ლითოლოგია . . . . .	109